ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№104 (165) 25 იან3.-1 თებ. 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ნაციონალთაგან დასაცავი ინვესტიციები

ერთი საბჭოური დროის „წვერებიანი“ ანეკდოტით უნდა დავიწყოთ ეს წერილი.

კოლმეურნეობის საერთო კრებაზე მეველეს ირჩევენ, რომელმაც კოლმეურნეთა საერთო შრომით შექმნილი დოვლათი უნდა დაიცვას ხელმრუდე ადამიანებისაგან. ერთი „მაკვარანცხი“ გლეხი ადგა თურმე და ითხოვა:

– მე დამნიშნეთო კოლმეურნეობის მეველედ!

– შენ რომ ამ სოფელში ცხოვრობ, იმიტომ გვჭირდება მეველე, რომ არაფერი მოიპარო და შენ მეველედ როგორ აგირჩევთო! – უთქვამს თავმჯდომარეს.

ჩვენთანაც ასეა – ინვესტიციების დამცველად ვნიშნავთ მათ, ვისი ხელყოფისგანაც არის სწორედ დასაცავი ეს უცხოური ინვესტიციები.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, თუ როგორ მიითვისა შიდა ქართლის გუბერნატორად მუშობის პერიოდში ლადო ვარძელაშვილმა დევნილთა დასახმარებლად გამოყოფილი თანხის ნახევარი – 4 მილიონი ევრო, მაგრამ ამ გახმაურებულ საქმეს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია – გამინისტრებული გუბერნატორი კვლავაც განცხრომით განისვენებს საკუთარ სავარძელში, ახალი ინვესტიციების მოლოდინში...

ჩვენ იმაზეც ვწერდით, რომ ამას წინათ ზუგდიდში სამართალდამცავებმა დააკავეს ბიზნესმენთა დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელსაც უტყუარ ბრალად ედებოდა მსხვილი იტალიური ფირმა “ფერეროს” მიერ განხორციელებული ინვესტიციის ნაწილის დანაშაულებრივად მითვისება. ესენი იყვნენ პრეზიდენტის რწმუნებულთან სამეგრელოსა და ზემო სვანეთში ზაზა გოროზიასთან დაახლოებული ბიზნესმენები, ფირმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი დალაქიშვილი და მისი თანამზრახველები თემურ ჩიქოვანი, ირაკლი გოგოხია და კობა აბრალავა. როგორც იცით, თუნდაც ძალიან მძიმე დანაშაულზე წასწრებულ პიროვნებას ერთი სატელეფონო ზარის უფლება აქვს და ერთ-ერთმა დაკავებულმა თემურ ჩიქოვანმა გამოიყენა ეს უფლება და თურმე პირდაპირ გუბერნატორ ზაზა გოროზიას დაურეკა.

როგორც ჩანს, სამართალდამცავებიც წავიდნენ გარკვეულ კომპრომისზე და დამნაშავეთა ნაწილს საპროცესო გარიგების თანახმად გირაოს თანხა (საკმაოდ სოლიდური) შეატანინეს, იმის პირობაც მიიღეს, რომ “სასჯელშემსუბუქებულები” ანაკლიაში სასტუმროს ააგებდნენ და პატიმრობიდან გაანთავისუფლეს. ზოგიერთი კი, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, მაინც პატიმრობაში დარჩა.

და აი, 2011 წლის 26 იანვარს ზუგდიდის სასამართლოში, მოსამართლე დავით კეკენაძის თავმჯდომარეობით, გაიმართა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის საქმის პირველი მოსმენა, სადაც გამაოგნებელი განცხადება გააკეთა ერთ-ერთმა ეჭვმიტანილმა დალაქიშვილმა. მან დაასახელა ზაზა გოროზიასათვის ქრთამის გადაცემის ექვსი ეპიზოდი, დანაშაულის დროისა და ადგილის დაკონკრეტებით (ერთხელ ქრთამი თბილისის სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გადაუცია). აშკარაა, რომ საქმე ეხებოდა დიდ პოლიტიკურ სკანდალს, ამიტომ, მოსამართლე კეკენაძემ შეწყვიტა სასამართლო პროცესი და გადაიტანა იგი 2011 წლის 2 თებერვლისათვის. მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ ამბავს საგულდაგულოდ უმალავენ პრესას (ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ ამბავის შესახებ ფართო საზოგადოებამ რამე შეიტყოსო) და ადგილობრივ მოსახლეობას და არც ის გახმაურებულა, თუ რისი მომიზეზებით გადასდო მოსამართლემ სასამართლო პროცესი, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მოსამართლე სათანადო იურიდიული არგუმენტირების გარეშე ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. ჩვენ შევეცადეთ დავკავშირებოდით სამართალდამცავებს, ადვოკატებსა თუ ჟურნალისტებს, მაგრამ ყველამ წყალი ჩაიგუბა პირში და მივხვდით, რომ, მათგან ბევრს ვერაფერს შევიტყობდით. ამგვარ გარემოებათა გამო, არა გვგონია, მოსამართლეს საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაებრუნებინა, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად იკვეთება სრულიად ახალი დანაშაული – არა მხოლოდ თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღება, არამედ უცხოური ინვესტიციების მითვისების მიზნით დანაშაულებრივ ჯგუფთან გარიგებაში შესვლა, რაც ერთ-ერთი უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულია. ისიც ფაქტია, რომ ამ საქმის ობიექტურად გამოძიებას, დამატებითი სამხილების წარმოჩენის შემდეგ, ერთი კვირა აშკარად არ ეყოფა.

მაშინ ისმის სავსებით ლოგიკური შეკითხვა: რა მიზეზით გადასდო საქმის განხილვა მოსამართლე კეკენაძემ, ერთი კვირით?

იმედია, რომ, ამ, ვიღაცის არც თუ მთლად კეთილი ნებით, აშკარად აბურდულ საქმეს როდისმე მაინც მოეფინება ნათელი!

მაგრამ ჩვენ, ყველა შემთხვევაში, მაინც ვიმედოვნებთ, რომ საქმეში ჩაერევა სამეგრელოს სამხარეო პროკურატურა და ჩვეული პრინციპულობითა და გულისხმიერებით მიიყვანს ბოლომდე ამ მართლაც აბურდულ და მეტად სამარცხვინო საქმეს, რომელიც ჩირქს სცხებს არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ სრულიად საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტს.

“კვამლი ცეცხლის გარეშე არ არსებობსო”,– ამბობენ რუსები. ჩვენი თვითმიზანი არ გახლავთ კიდევ ერთი ადამიანის შეგზავნა ისედაც უზომოდ გადატენილ ქართულ ციხეში. ჩვენი მიზანია ჭეშმარიტების დადგენა, რათა ოდნავ მაინც ჩამოვრეცხოთ ტალახი საერთაშორისო არენაზე მრავალგზის თავმოჭრილ და გათახსირებულ საქართველოს. რაც შეეხება მავანთა შიშს იმის თაობაზე, რომ ეს უბედურება ხალხმა არ შეიტყოსო, აქ მეორე უკიდურესობასთან გვაქვს საქმე – “ბრმას ცოლი მოუკვდა თურმე და მეზობლებმა მოილაპარაკეს – ნუ ვეტყვითო! კი მაგრამ, გვერდით რომ არ მოუწვება, როგორ გგონიათ, ვერ გაიგებსო?” – გაუპროტესტებია ერთ-ერთს.

ასეა, ნაციონალები უმალავენ ქართველ ხალხს იმას, რასაც ვერ უმალავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

მაგრამ, ქართველებმა ისიც კარგად ვიცით, რომ „კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა“! ნაციონალთა თითოეული ასეთი „ცელქობა“ ხომ უაღრესად მძიმე შედეგის მომტანი იქნება ჩვენი ისედაც გაუბედურებული ქვეყნისათვის.

მმართველი ძალის მტკიცებით საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო გადაერჩინა დემოკრატია, საქართველომ განახორციელა ღრმა ეკონომიკური რეფორმები, რამაც თურმე ნაყოფი გამოიღო. სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა კი თურმე კორუფციის სრული აღმოფხვრა ყოფილა. მათი მტკიცებით “ნაციონალებმა” გააცამტვერეს კორუფცია, ანუ შესძლეს გაეკეთებინათ ის, რაც ვერ მოახერხა მსოფლიოს ვერცერთმა ქვეყანამ კაცობრიობის მთელი ისტორიაა მანძილზე!

მაგრამ, აი, უბედურება: რამდენიმე დღეში კიდევ ერთი, ეროვნული მასშტაბის კურიოზი მოხდა. საერთაშორისო ორგანიზაცია Transparency International-მა, ეტყობა, არ გაითვალისწინა ჩვენი პრივატული ავტორიტეტული მოსაზრებანი და გამოაქვეყნა წლიური ანგარიში მსოფლიოს ქვეყნებში კორუფციის დონის შესახებ, რომლის თანახმად საქართველო პირველ, ან მეორე ადგილზე კი არ არის დასახელებული, არამედ 68-ზე. თუმცა, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ჩვენზე წინ არიან მხოლოდ ბალტიისპირელები. სამულველი რუსეთი კი ტაჯიკეთთან და ყირგიზეთთან ერთად 154-ე ადგილზე იმყოფება. ეს ფაქტი ცოტას გაგვიხალისებს გუნებას, მაგრამ ესაა და ეს: ქართული კორუფციის აღმოფხვრაზე არავინ ლაპარაკობს.

და სწორადაც იქცევიან!

მიუკიბ-მოუკიბავად ვთქვათ, რომ გუბერნატორები, მინისტრები, მინისტრების მოადგილეები, სხვა ჩინოვნიკები ღირსნი არ არიან ატარონ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” პარტიის წევრების სახელი. გავიხსენოთ, რომ ლენინური პარტია თავისი რიგებიდან ულაპარაკოდ რიცხავდა მექრთამეებს, და სასამართლოს წინაშე ისინი პარტიული სამხრეულების გარეშე წარდგებოდნენ ხოლმე. ხომ შეიძლება ჩვენც გადმოვიღოთ ეს, ყველას მიერ დავიწყებული მეთოდი?

უცხოური სპეციები ამტკიცებენ, რომ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის ზღვარი ძალიან მაღალია, კორუფცია კი ცხრაკლიტულს მიღმაა დამალული. პარტიული და სამთავრობო აქტივი დემაგოგიური ხრიკებით ჩქმალავს უცხოელების იმ დასკვნებს, რომლებითაც არცთუ მომგებიანად წარმოაჩენენ საქართველოში არსებულ რეალობას. გონებაშეზღუდულები მხოლოდ ქებით ტკბებიან, ნეგატიურ შეფასებებს კი აფოფრილნი ხვდებიან.

დასკვნა ერთადერთია: ასეთი ერთსულოვნების პირობებში საეჭვოა, დემოკრატიის განვითარების იმედით განვიმსჭვალოთ.

ეკონომიკასაც არაფერი ეშველება!

სწორედ მაღალი თანამდებობის პირთა მიერ ამგვარი მძიმე დანაშაული გახლავთ იმის მიზეზი, რომ საქართველოში აშკარად არ მართლდება მთავრობის საინვესტიციო მოლოდინი, რის თაობაზეც ასევე არაერთგზის აღუნიშნავთ გაზეთებს “ილორს”, „საქართველო და მსოფლიოს“ და საინფორმაციო სააგენტო საქინფორმს. ამ საქმეს დიდად ვნებს არა მხოლოდ ქურდობა, არამედ ინვესტიციების არარაციონალურად განთავსებაც.

ავიღოთ თუნდაც იგივე ანაკლიის ზონა. არსებობს საერთაშორისო სტანდარტი, რომლის თანახმადაც ზღვაში მდინარის შესართავიდან, ორივე მხარეს, დაახლოებით ერთ კილომეტრზე ახლო მანძილზე არ შეიძლება დასასვენებელი კომპლექსების მოწყობა, რადგან მდინარეს ზღვაში შეაქვს ფეკალიებისა და სხვა ხრწნადი სხეულებისაგან გამოყოფილი მავნე ბაცილები და ჩხირები, რაც შეიძლება მძიმე ინფექციური დაავადებების გამომწვევ მიზეზად იქცეს. ამიტომაც, ჯერჯერობით ვერაფერი მოუფიქრებიათ ანაკლიის “საერთაშორისო კურორტად” გადაქცევის მსურველებს, თუ სად წაიღონ ენგური, რომელიც, საკმაოდ თვალშისაცემ გარემოებათა გამო საკმაოზე მეტადაც კი აბინძურებს შავ ზღვას.

არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ანაკლიაში მომქმედ ჯერჯერობით ერთადერთ სასტუმროში ნომრის სადღეღამისო ღირებულება 150 ლარზე მეტია, მაშინ, როცა, თუნდაც თურქეთის პრესტიჟულ კურორტებზე იგივე კატეგორიის სასტუმროს ნომრის სადღეღამისო ღირებულება მხოლოდ 15 ევროს შეადგენს!

მოკლედ, თუ ამ „ძალითმცხონე“ სასტუმროებში მუქარითა და დაშინებით არ შერეკავენ ხალხს, საეჭვოა, რომ იქ თავისი ნებით რომელიმე ჭკუათმყოფელი წავიდეს!

მოკლედ, როგორც დიდი მუხრან მაჭავარიანი იტყოდა, საქართველოს საინვესტიციო სივრცეში რომ შავი საქმეები ტრიალებს, მართლაც “მტრისას!..”

სერგეი კრემლიოვი
ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი 4
თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ქართველები საქართველოდან გარბიან! 9

საქართველოს ენერგეტიკა 1992-2010 წლები: დაუსჯელი დანაშაული 7

ტერენტი გრანელი საკუთარი გედის ავტორი 3

სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი".

ბროსეს აზრი დავით დადიანზე. მთავრის კანცელარია: ქართული და რუსული. ივა-ბერი, ანდრი გეგეჭკორი. ვარანცოვის ბეჭდის ძებნა.

იმ დროებში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ანდრი გეგეჭკორი იყო, თუ არა ერთად-ერთი, იშვიათი მეგრელი, რომელმაც რუსული წერა-კითხვა იცოდა. ამის გამო ამ საჩინო კაცის თავგადასავალი დღემდის არ დავიწყნია სამეგრელოს. დავით დადიანმა რაღაც შემთხვევის გამო ის გალახა, გაროზგა. საზოგადოდ დავით დადიანი ყოველ ხელობას და სწავლას დიდად აფასებდა თავის სამთავროში და რა იყო მიზეზი მთავრის ამ ზომამდის გულის წყრომისა ვერ შევიტყვე. თუ მიდგომაში არ ჩამოერთმევა მის ძმას გრიგოლ დადიანს, მან მიამბო: **"ანდრი გეგეჭკორი წაეკიდა ერთ მწერალს, მის ამხანაგს და დავითმა ამის გამო ის დატუქსა. ამან თურმე იუკადრისა შენიშვნა და სიტყვა შეუბრუნა მთავარს, "დედა შეაგინაო" და მთავარმა ამის გამო ის დასაჯაო".** ბესარიონ ხოფერიას, გეგეჭკორის დასჯის მიზეზად ის გაუგონია, რომ ის გაარშიყებია მთავრის ადიუტანტის არლოვის ცოლს, რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი გეგეჭკორის დასჯისა. ანდრი გეგეჭკორი იმდენად შეაძრწუნა მთავრის ძალადობამ, რომ ის ჭკუიდან შეირყა. რომ დადიანი გონს მოეყვანა, როზგის ქვეშ მწოლარე ანდრიმ დაუძახა თურმე მთავარს:

– ვისა სცემ, დავით?

– ანდრისოო, – დაუძახა თურმე გულმოჯერებულმა, მაგრამ შეუბრალებელმა მთავარმა.

მეორე მწერალს ევგენ დგებუაძესაც აქვს ნათქვამი ერთი სიტყვა დავით დადიანის ისტორიაში. ამას რომ დაუმთავრებია სწავლა მარტვილის სასწავლებელში, მამა მისს ის გაუგზავნია ქუთაისს ექვთიმე წერეთელთან, რომელიც გუბერნიის მმართველის სეკრეტარი იყო, ამ უკანასკნელს კი გაუმწესებია ჯამაგირზე უეზდის სასამართლოს მწერლად 120 მანეთად წელიწადში. ეს რომ მთავარს შეუტყვია, დაუბარებია მამა მისი და უთხოვნია მისი შვილი მიეყვანა და მთავრის კანცელარიაში დაეყენებია. მამამ მთავრის თხოვნა ბრძანებად ჩასთვალა და ის მაშინვე წავიდა ქუთაისს, მაგრამ იქ ურჩიეს, ნუ წაიყვან, სწავლას მოცდებაო, გაფუჭდებაო და მამა ხელ-ცარიელი დაბრუნდა. ეს რომ მოახსენეს მთავარს, ბრძანა: ოთხი მოსახლე გლეხი ჩამოართვით დგებუაძეს, სანამ შვილი არ მოიყვანოსო. მეტი გზა არ იყო, ქუთაისის უეზდის სასამართლოდამ ევგენი დგებუაძე მთავრის კანცელარიაში გადმოიყვანეს.

როგორც **მერაბ გრიგოლიამ** მიამბო – ქართული კანცელარია მთავრისა იდგა სასახლის ეკლესიის გვერდით. რუსული კანცელარია იმაზე ცოტა მოშორებით, არხის გადაღმა. რუსული კანცელარიის სეკრეტრად იმან დამისახელა ერთი ვიღაც **ლატარი.**

მთავრის კანცელარიას დიდ-ძალი მიწერ-მოწერა ქონდა გამართული. ეს კანცელარია იყო ერთად-ერთი დაწესებულება სამეგრელოში, საცა მიდიოდა მთავრის სახელზე ყოველგვარი ქაღალდი, როგორც შიდა სამეგრელოდამ (თხოვნები), ისე ცირკულიარები გუბერნატორიდამ და სხვადასხვა უწყებიდამ. როცა დავით დადიანი მმართველი იყო სამეგრელოსი იმას თხოვნას აძლევდენ შემდეგის ტიტულით: **"მემკვიდრე მმართველს მინგრელიისას დავით ლეონის ძე დადიანს"** (ნახე დაბეჭდილი ბლანკი უზენაეს სასამართლოშის საქმეში 1832 წ.). სამეგრელოს გარედამ მთავარს ქაღალდი მოსდიოდა რუსულ ენაზე. მთავრის კანცელარია თუ ქაღალდის ხასიათი ითხოვდა გზავნიდა მოწერილობის ასლს მაზრის მდივანბეგებთან რუსულს ენაზე და მაზრის მდივანბეგები მოხსენებას წარმოუდგენდნენ მთავარს ქართულად. და რაზე გინდა მოწერილობა არ მიეღო მთავარს! ესა და ეს ფრანცუზი კილიანი გაქცეულა და თუ სამეგრელოში აღმოჩნდეს დაიჭირეთ და წარმოადგინეთო; ამა და ამ მეგრელმა ამა და ამ კაცს ცხენი მოპარა და თუ აღმოაჩნდეს ჩამოართვით და პატრონს გამოუგზავნეთო; ამა და ამ ჯანოევს სომხის ფული მართებს, გადაახდევინეთ და გამოუგზავნეთ მოვალეს დასაკმაყოფილებლადო და სხვა და სხვა.

ამ სხვა და სხვაობაში მე ერთს ახირებულ მიწერ-მოწერას წავაწყდი გუბერნიის მმართველობის საქმეებში. 1852 წელს მთავარს მოუვიდა ქუთაისის გუბერნატორის ქაღალდი, რომელშიაც აცნობებდნენ მას, რომ ქუთაისსა და გორს შუა მთავარმართებელს ვარანცოვს დაკარგვია თითზე წამოსაცმელი ბეჭედი და თხოვდნენ გამოეცხადებიათ სამეგრელოში, რომ ამ ბეჭდის მპოვნელს საჩუქრად მიეცემა გლეხთაგანს 50 მანეთი. მთავარმა ეს მიწერილობა ყველა მდივანბეგს დაუგზავნა ცირკულიარით და შეიქმნა ოდიშ-ლეჩხუმში და გორდში დაკარგულის ბეჭდის ძებნა. ამ ცირკულარის პასუხად ჯვარის დივანბეგი თავადი ჩიქვანი სწერდა მთავარს 3 თებერვალს 1853 წელს №99: "შევუდექი რწმუნებულ ჩემდამი მაზრასა შინა ყოველს სოფელშიდ თითოეულად მოპოებას კავკასიის ნამესტნიკის მოგზაურობის დროს დაკარგულის ბეჭდისა, მაგრამ ვერა სადა გავხადე ღონე მისის მოპოებისათვის".

№ ახალი საქმე იყო სამეგრელოში და თუ უნომროდ რამე დაიწერებოდა არ ეგონათ თანამდებობის კაცებს. ერთხელ მაზრის მდივანბეგმა კაცია დადიანმა მოსწერა ჯვარიდამ მთავარს დავით დადიანს:

– ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ბატონო მთავარო, მთაში ვიმყოფები და ამ მოხსენებას უნომროდ გიგზავნიო.

– არაფერია, ბიძიავ, – მისწერა იმას ხუმრობით მთავარმა, – მე დიდი ხანია ვიცი, რომ შენ ნომერი გაკლიაო.

(გაგრძელება იქნება)



"ილორის" დებიუტანტები

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ახალგაზრდა პოეტის მიერ მეგრულ ენაზე შექმნილ ლექსებს.

თე ჩქინი რინა ვაღირ ნარღშა

თე ჩქინი რინა ვაღირ ნარღშა,
მარა თესუ მი თქუანცუ?
ამდღა შურო ქოყინუნცდა,
ჭუმანი გვალო მითუანცუ.
თე სოფელი ართ წამირე,
თიშ თება თოლც აწოშირე,
ჩქინი წვალება ვაღირ თიშა,
გიწოილე ვარ აწომილე.
შურ წკონდა დო ჯგამუშელი
ბოლოს არძას მეულ თავრე,
სკანი ნახანდა, ნამუშერი,
თოლიშ მერქას მედინაფე.
ანწი ვარა ქეგებგათუ
თე ქიანაშ ერთი-მორთი,
დო თაქ მითინქ ვათქუასუ,
მუ მოკოდ დო მუშა მობრთი.
სანძღოთ ირო აშათხოზუ,
ღორონთიში სინთე, ორო.
მაზაკვალეფ ქაშაქოსუ,
მეყუნცუ დო მეურც ხოლო.
დოსკიდუნ ფერი მითინ ვარე,
ცოდა არძას ხუც ეკაბუ,
წკვარამიას ხვათახვალე
მინ გიშმურცდო. მინქ ვეკაგუ.
არძა თავრე ულირეფი,
თი ქიანას მიყონუნა.
იალონშე მუმულეფი
ჯვეშებური ყიონუნა!

ჯგირც იფრელც ნტერი ყუნცუ

ელია დო დალიაშე,
გურც მიჭუანც ათე რჩქინა.
ჭკვერი კოც ბრელი ნტერი ყუნცუ,
მითინც ვაკო თიში რინა.
თე ქიანას თაში ყოფე,
გლახა ჯგირც დუც უდარენცუ.
უჩქუნი დო ვაუჩქუნი
იშენი თქუანც მუდგარენცუ.
მონას დღას ვარაგადე,
თიშე თინი ვეყუაფუ.
უჩქენჯი რე გეზიკონდუ,
გირინცალო გიყუაფუ.
თეში გოირე იაკვამუანც
ოღრაშობა ათაშუშუ,
ვაუჩქ ბოროს, ოდინუანც,
ღორონთიში წკონდა შურცუ.
მარა ირკოჩ იფოთუანც,
ჯგირც ირო ონდურუნა,
მესიაკონი რდასუნ ხოლო,
თორსა ლეტას დოფულუნა.
მუშენირე თაში თენა,
ირო ალმაკილოთანცუ,
ღორონთქ ნიჭი ქიმერჩუდა
მიში ჩიჩიე გიყოთანცუ.
პეულ ვარდუ ეფალირი,
ბარცხინიაქ, ქუმაძღირკუ,
რაშის ზისხირც უსქირუანც,
მინი ჭანდი დო მინი გირდღ.
ელია დო დალიაშე,
გურც მიჭუანც ათე რჩქინა.
ჯგირ იფრელც ნტერი ყუნცუ
თაქ ჭყელი რე თიში რინა!

ზაალ ჯალაღონია

ნოდარ ჯავახიშვილი: საქართველოში უმუშევართა შემცირებაზე ლაპარაკი სასაცილოა

ეკონომიკის საკითხებში ექსპერტის, პოლიტიკური გაერთიანება **"ეროვნული ფორუმის"** ერთ-ერთი ლიდერის, ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, საქართველოში უმუშევრობის შემცირებაზე ლაპარაკი სასაცილოა.

"მედიანიუსთან" საუბრისას მან მთავრობის იმ ოფიციალურ მონაცემებზე გააკეთა კომენტარი, რომლის თანახმადაც, 2010 წელს საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 0,4 პროცენტით შემცირდა და ეს ტენდენცია მიმდინარე წელსაც გაგრძელდება.

ჯავახიშვილის თქმით, უმუშევართა რაოდენობა მატულობს. აბსურდულია ოფიციალური სტატისტიკა, თითქოსდა ქვეყანაში უმუშევართა მაჩვენებელი მხოლოდ 16 პროცენტია.

"სინამდვილეში უმუშევართა რაოდენობა 56 პროცენტზე მეტია. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, დასაქმებულებში ქვეყანაში მცხოვრები მილიონზე მეტი თვითდასაქმებულიც ითვლება, რაც არასწორია. ამიტომ უმუშევრობაზე, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საუბარი აბსურდულია", — აღნიშნა ნოდარ ჯავახიშვილმა.

ექსპერტის მოსაზრებით, საქართველოში კრიზისი გრძელდება და უმუშევრობისა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებაც გაგრძელდება. თუმცა ეს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში არ აისახება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში 2010 წელს უმუშევართა რიცხოვნობის 0,4 პროცენტით კლებაზე განცხადება პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გასული წლის ეკონომიკური შედეგების შეჯამებისას გააკეთა.

მოგვიანებით კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ აღნიშნა, რომ 2011 წელი უმუშევართა რაოდენობის შემცირებით უნდა იყოს მნიშვნელოვანი.

მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ სიტყვებია.

საგადასახადო კოდექსის მუხლების განმარტება 5-დან 10 ათას ლარამდე ეღირება

შემოსავლების სამსახურის ახალი მომსახურება, რომელიც კომპანიებისთვის საგადასახადო კოდექსის ბუნდოვანი მუხლების განმარტებას გულისხმობს, 5-დან 10 ათასამდე ეღირება. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ახალი მომსახურება კომპანიებს საშუალებას მისცემს, ზუსტად გათვალონ გადასახადები და ჯარიმები თავიდან აიცილონ.

„მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციაში" აცხადებენ, რომ მსხვილი კომპანიებისთვის 5 და 10 ათასი ლარის გადახდა სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა წვრილი საწარმოებისთვის ეს თანხა დიდი ტვირთია. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის — ლევან კალანდაძის განცხადებით, ასეთი მომსახურება შემოსავლების სამსახურის მხრიდან საერთოდ უფასო უნდა იყოს. მისი თქმით, დღეს ეს სერვისი ფუფუნების საგანია და, თუ ფასი დაიკლებს, მეტი შედეგი ექნება.

ხელისუფლება დამსვენებლებს თოვლის ნაცვლად უკრაინელი ლამაზმანებით იზიდავს?!

მცირე ნალექის გამო ზამთრის კურორტებზე დამსვენებლების ნაკლებობაა. ბაკურიანსა და გუდაურში სასტუმროებისა და კოტეჯების ნაწილი დაკეტილია, ნაწილი

კი მხოლოდ რამდენიმე დამსვენებელს მასპინძლობს. დაკეტილია საბაგიროებიც, თუმცა ამაში უჩვეულო არაფერია, თოვლი არ არის და შესაბამისად საბაგიროთი არავინ სარგებლობს. სეზონის გახსნამდე ნომრების დაჯავშნის მაღალი მაჩვენებლის გამო სასტუმროს მეპატრონეები იმედოვნებდნენ, რომ სეზონი წარმატებული იქნებოდა, მაგრამ ახლა ყველა ჯავშანი გაუქმებულია და ადგილობრივები შიშობენ, რომ, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ტურისტული სეზონი ჩაიშალოს. ხელისუფლება კი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი. ტურიზმის დეპარტამენტში დაჟინებით აცხადებენ, რომ სეზონი წარმატებული იქნება და მხოლოდ უცხოეთიდან 100 ათასამდე ტურისტს მიიღებენ. ძნელი წარმოსადგენია უკრაინელმა შოუბიზნესის წარმომადგენლება ამდენი ადამიანი მიიზიდოს.

ტერენტი გრანელი საკუთარი გედის ავტორი

წუხელ სიზმარში მიმიძღოდა ჩემი ცხედარი.

(ტერენტი გრანელმა საკუთარი სიკვდილი თითქმის ზუსტად იწინასწარმეტყველა)

ეს წერილი ამ ორი წლის წინ გამოვაქვეყნეთ გაზეთ "ილორში", მაგრამ მაშინ ჩვენ გაზეთს არ გააჩნდა გავრცელების ისეთი არეალი, როგორიც დღეს აქვს. ამიტომ, მისი გაცნობა ვერ შესძლო ქართველ მკითხველთა ფართო აუდიტორიამ. ამიტომ გადავწყვიტეთ მისი კიდევ ერთხელ გამოქვეყნება, რათა ყველამ შესძლოს ერთადერთი ქართველი პესიმისტი პოეტის ნაღვლიანი ბიოგრაფიის და მისი სევდიდან ამოზრდილი ნაწარმოების რამდენიმე სტრიქონის წაკითხვა.

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.
სული საზღვარს გადასცდება ფრენით,
ახლაც მახსოვს მისამართი შენი.
ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,
რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენ.
წინ მეშლება სხვა ოცნების არე,
მიწის ცქერით დაიღალა მთვარე.
გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

მე ვწერ ამ სტრიქონებს ქარიან ღამეში, როცა წვიმის წვეთები ეცემიან მიწას და როცა სიშორეზე ტირის როიალი.

მე ახლა მაგონდება ჩემი ცხოვრების ქარიშხლიანი დღეები და სინანულის ჟრუანტელი მივლის.

თანაც მიხარია, რომ ვარ ტერენტი გრანელი.

წინ უფსკრულია და შავი ნისლი მახვევია ირგვლივ.

მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მოვდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე.

ალბათ მიზიდავდა შორეული და უხილავი.

მოვედი ადრე. და ახლა ისევ ვუახლოვდები სიბნელეს, როგორც ზღვას, სადაც სამუდამოდ ჩაიძირება ჩემი სხეული.

ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიშორეზე.

და მეშინია...

ვფქრობ: მოვა წამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი. მაინც მჯერა ჩემი უკვდავება.

მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული.

ქარიშხლიანი ღამეა და მინდა ვიყო სხვაგან.

პოეზიამ იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას.

მე არ მინდოდა სიცოცხლე. არც სიკვდილი.

მე რაღაც სხვა მსურდა. ახლაც ვფიქრობ და მწამს მესამე გზის არსებობა, როგორც იდუმალების.

მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდულ საზღვართან ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაცდელისაგან.

და მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე.

მე მივმართავ მთელ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით: მე მინდა გაფრენა. მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი.

ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა.

არა სიცოცხლე.

არა სიკვდილი.

არამედ რაღაცა სხვა.

ვამბობ: არ არიან სიტყვები გრძნობებისათვის, გარეთ ისევ ქარიშხალია, წვიმის წვეთები ისევ ეცემიან მიწას და ისევ სიშორეზე ტირის როიალი.

ქართული ლიტერატურის მკვლევარებმა იციან, რომ ტერენტი გრანელის ხელნაწერი ლექსები, დღიურები, წერილები და სხვა, რომელნიც დაკარგვას გადაურჩნენ, პოეტის გარდაცვალების შემდეგ მის დას მაშოს (მარიამს) სათუთად აკინძული და „წიგნებად" შეკრული, გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურეს მუზეუმისათვის ჩაუბარებია და იქ მათ დიდი მზრუნველობით უვლიან. აქ დაცულ ცისფერყდიან სასკოლო რვეულში, რომლის ოთხ ფურცელზე ტერენტი გრანელს თავისი „მოკლე ბიოგრაფია" აქვს დაწერილი, რომელსაც გთავაზობთ:

ტერენტი გრანელი

(მოკლე ავტობიოგრაფია)

ტერენტი გრანელი, იგივე კვირკველია, დაიბადა 1901 წელს სოფელ წალენჯიხაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მამამისის სამსონ კვირკველიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა, მაგრამ სოფლის მეურნეობის შემოსავალი ისე მცირე ჰქონდა, რომ ცოლ-შვილი ყოველთვის ნახევრად სამათხოვრო მდგომარეობაში ჰყავდა. ამ მდგომარეობამ სამსონი აიძულა გაეჩინა შემოსავლის დამატებითი წყარო – შეისწავლა ხელოსნობა და სიკვდილამდე სოფლის მეურნეობასთან ერთად ეწეოდა ხელოსნობას – მეუნაგირეობას.

ტერენტის მეტად დუხჭირ პირობებში უხდებოდა გაზრდა, ხოლო ნაადრევად დედის, ივლიტას სიკვდილმა (ორი წლის იყო ტერენტი) კიდევ უფრო გაამწვავა ეს.

როდესაც ტერენტი შვიდი წლის შეიქმნა (ამ დროს სამსონს მეორე ცოლი ჰყავდა, დარია მებონია), შეიყვანეს წალენჯიხის სოფლის სასწავლებელში, სადაც მან სწავლების მთელ პროცესში უდიდესი ნიჭი და უნარი გამოიჩინა – ის მთელ სკოლაში ითვლებოდა წარჩინებულ მოწაფედ – და ამიტომ არც არის გასაკვირი, თუ სკოლის დირექტორი პავლე შანავა ტერენტის მეტსახელად მოწაფეთა „მეფეს" ეძახდა.

ტერენტის წიგნებისადმი სიყვარულის გაღვივებაში დიდი როლი ითამაშა იაკო შანავამ, რომელსაც ჰქონდა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა და სისტემატურად აძლევდა წასაკითხად და ეხმარებოდა გაუგებარი საკითხების გარკვევაში.

ის არა მარტო კითხულობდა, არამედ თავიდანვე ჰქონდა უნარი წაკითხულის და გაგებულის აზრების მასების გადატანის: ხშირად უყრიდა ხოლმე თავის ამხანაგებს თავს და ესაუბრებოდა წაკითხულ წიგნზე. ამით ის აინტერესებდა და აყვარებდა წიგნებს მის ტოლ ბიჭებს. მოჯიუტე ამხანაგებს ხშირად უსაყვედურებდა: თქვენ რა იცით, წიგნი და ხილიაო.

ტერენტის უყვარდა განვლილი მუშაობის შეჯამება და თავის თავზე ანგარიშის გაკეთება. ხედავდა წიგნებით მუშაობის ზრდას. ამიტომ ხშირად აკეთებდა დასკვნას: „წიგნებზე მუშაობა ჩემთვის ყველაფერია. მხოლოდ ამით შემიძლია მე წარსულის, აწმყოს და მომავლის გაგებაო". ტერენტი არა მარტო სწავლაში იჩენდა ჯინიანობას და ბეჯითობას, არამედ ყოველივე, თუ გინდ წვრილმან საოჯახო საქმეებშიც ყოჩაღი იყო. ის ყოველგვარი ყოყმანის და ბევრი მითითების გარეშე დიდ დახმარებას უწევდა მამას და ამიტომ მამა – სამსონი ხშირად იტყოდა ხოლმე თავის ნათესავებში და მეზობლებში: „ტერენტი ეს ჩემი მარჯვენა ხელიაო".

მშობლებიც ატყობდნენ ტერენტის ნიჭს და უნარს. ამიტომ ცდილობდნენ ის სწავლისათვის არ მოეწყვიტათ, მაგრამ ბედმა უკუღმა დაატრიალა: 1914 წელს მამამისს დაეწვა სახლ-კარი მთლიანად. ისედაც ღარიბი გლეხი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა.

ნათქვამია: „გაჭირვებულს ქვა აღმართზე მოეწიაო". ასე დაემართა სამსონსაც. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სამსონი იძულებული გახდა, ამავე წელს ტერენტი მე-6 კლასიდან გამოეყვანა და ამოეყენებინა გვერდზე. მეტი რა საშველი იყო, ტერენტიც დაემორჩილა ამ მდგომარეობას, ხოლო მამას გამოართვა მტკიცე პირობა, რომ ის მალე დაუბრუნდებოდა სწავლას. ტერენტის სკოლის გარეშე ყოფნამ გასტანა სამი წელიწადი. ამ პერიოდში ის არ ანელებდა წიგნებზე მუშაობას, პირიქით, მეტი მონდომებით ეტანებოდა შანავას ბიბლიოთეკას.

ყველაზე მეტ ინტერესს მასში იწვევდა ლიტერატურა. ძალზე ბევრს კითხულობდა ქართველ მწერლებს ჭავჭავაძეს, ორბელიანს და სხვებს. მას ახალგაზრდობიდანვე დაებადა ინტერესი, შეეტანა ახალი რამ ქართულ ქართულ პოეზიაში. ჯერ კიდევ თორმეტი წლის ტერენტი წერს და მონაწილეობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მისი პირველი წერილების გამოქვეყნებამ კიდევ უფრო გაათამამა და ბრძოლის უნარი შემატა მას.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მოუსვენრობა ემატებოდა, ვერ აკმაყოფილებდა სოფლის მყუდრო ცხოვრება. ის მრავალჯერ შეჩივლებდა მშობლებს: „აქ, ამ პირობებში, სული მეხუთებაო".

მალე აისრულა წადილიც. 1917 წელს ტერენტი მოდის ტფილისში, თავის და მაშოსთან ერთად, ეწყობა იმავე წელს ტფილისის რკინიგზის კონდუქტორად, მაგრამ აქ ბევრ ხანს ვერ ჩერდება, უკავშირდება მწერლებს და რედაქციას, თავს ანებებს კონდუქტორობას და იწყებს სხვადასხვა სახის წერილებისა და ლექსების წერას.

აქვს მრავალი სხვადასხვა სახის წერილები და პოემები დაწერილი. ტერენტი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ენერგიით სავსე დაავადმყოფდა სულის ავადმყოფობით. მიუხედავად მრავალი ზომებისა, მას საშველი არ დაადგა და 1934 წლის 15 ოქტომბერს გარდაიცვალა ქ. თბილისში. დასაფლავებულია თბილისში, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

უნდა დავასკვნათ, რომ ტერენტი თავისი ნიჭის და უნარის მიხედვით ერთ-ერთ დიდ ადგილს დაიკავებდა ქართულ პოეზიაში, მაგრამ მისი ახალგაზრდული ნიჭის გაფურჩქვნას საშუალება არ მისცა უდროო სიკვდილმა".

ბოლოსიტყვა – ყოველივე ამას თავზარდამცემი სიმშვიდით წერს ადამიანი საკუთარ თავზე. მძიმე სულიერი და ფიზიკური ტკივილებით გაწამებული პოეტი აბუჩად იგდებს სიკვდილს, რადგან იცის, რომ ფიზიკური სიკვდილი მისი შემოქმედებითი დიდების დასაწყისად იქცევა.

ცნობილი ქართველი მეცნიერი გივი ცქიტიშვილი აღნიშნავდა, რომ **„მის უმაღლეს პოეტურ განცდებთან შეუთავსებელ, არაადამიანურ პირობებში ცხოვრებამ, ბოლოს კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხშირმა იძულებით „მკურნალობამ", რომელსაც „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის" თხოვნით თბილისის „მილიციის სამმართველო" პერმანენტულად, თანაც მთელი სიმკაცრით ახორციელებდა, უზენაესი სულის ჭეშმარიტი პოეტის ნებისყოფა საბოლოოდ გატეხა."**

ამას დაერთო იმ დროს მეტად გავრცელებული მუცლის ტიფი და, როცა ფიზიკურად ისედაც დაუძლურებული ტერენტი გრანელი თბილისის პირველი საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში აღმოჩნდა, მიხვდა, რომ ხსნა არსაიდან იყო და ცოცხალი ვედარ გააღწევდა აქედან.

და ვინ იცის, გონების როგორი დაძაბვის ფასად აიძულა საკუთარი თავი, უკანასკნელად გასაუბრებოდა თავის სათაყვანებელ მკითხველს – ქართველ ხალხს.

და სწორედ იმ მოქუფრულ დღეს დასწერა გრანელმა **„მოკლე ავტობიოგრაფია"** – საკუთარი სულის რექვიემი.

რაც შეეხება ტერენტი გრანელის გარდაცვალების ზუსტ თარიღს, **„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის"** სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთ სალიტერატურო გაზეთს, არც ერთ ჟურნალს ამის შესახებ არა თუ სამთავრობო ნეკროლოგი, უბრალო ცნობაც არ გამოუქვეყნებია. სახელისუფლებო პრესაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – გაგანია სოციალიზმის ეპოქაში, როცა ყველანი იძულებული იყვნენ ვირტუალური ბედნიერებისათვის ემღერათ, პესიმისტი პოეტი ხელისუფალთ კომუნისტური გონის მუხრუჭად და იდეურ ბალასტად მიაჩნდათ.

პოეზიის ზეგრძნობიერი ძალა ასულდგმულებდა მხოლოდ ტერენტი გრანელს, ამაღლებული პოეზია მიაფრენდა ზეცისაკენ, მოუხილავ მესამე გზისაკენ, და ოდნავაც არ ადარდებდა მიწიერი უსახლკარობა...

მძიმე იყო და ეკლიანი მისი ცხოვრება, ხოლო პოეზია და კაცობა მისი – დევნილი...

ლერი ალიმონაკი,
მწერალი

სწორედ მისი რაობაა ჩაქსოვილი ტერენტი გრანელის ნაღვლიან სტრიქონებში:

წუხელ სიზმარში
მომიძღოდა ჩემი ცხედარი,
და მივდიოდი, მივკიოდი
საშიშ ქარიშხალს.
ზარი რეკავდა: სამარადოდ
იყავ ნეტარი!
წუხელ ანაზდათ უკუნეთმა
თავი აიშვა.

რამაზ კუპრა
ოროიან დარინალი

"ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი, და
დო ჯიმა ჩქიმი".

შულადირ ბჟა, სინტუანი,
ჩქიმო ენუმურსი ზღუაშა,
ღორონთქ დუს ვემკოიჭუანი
მაჟიათი მოულაშა...
უღურალი თე ჟამეთის
ვაყოფე დო ვართი ორე,
მუ ამბე რე ოშურეთის,
– აბრზე: მუ მობბ, მუ მუმორე...
ღორონთ, თე ქიანას ვორექ
მარენჯი დო მარინალი,
ომურიცხეს გამსინთორი
ოროიან დარინალი...
სერესქენი მურიცხეფი –
ჩქიმი და დო ჯიმალეფი,
უგურჩქინუს გომრჩქინანა
შურიშ ონწეს გომირჩანა...
ლიბას ეშმოღვაღვუანა,
რქიათ დომიქანცუანა,
ლურით ოროიანითი
შურს ჩქიმს ქიმშალურუა...

გილურქ, შურ მიდგ

სოთინ, მითინ
ვა მაპალუ,
ვართ დინახლე,
ვართი გალე,
ჩქიმი მითინს
ვაარჩქილე,
ვართ ჯიმას დო
ვართ მაყალეს...
გურს დაძხირი
ენიკარკატ,
გილურქ,
შურ მიდგ
ხვათახვალე...

მუსხი მემიძ

ტყვაც-გურგინშა ვა მოშქურუ,
მოშქურ შურიშ უკმელაშა...
ქუმორჩქინას, მუსხი მემიძ
თე უკმელაშ მოულაშა...
ორჩქინელქი გემენწარუ,
შურ ვენტირე ჭიჭე კარეს,
ტერს ტერულო დობხვადენი
გურს თიშენი ვა მანგარე...
კოჩ ვორექ დო ღურაშ წოხლე
ჩილამურით ვამანგარე...

ეშე ცა დო გიმე დიხა

შურქ გეგოლოფ
გურ ვექანცუ,
ქიმთოდვასი
ნოტე დიხას,
თე ქიანას
მუ ისოფუ,
მუ იგვარგვალ
მა ვაბკითხა...
შქასერ ბორჯის
ხვათახვალე,
მივოჯინექ
რუხიშ ჯიხას,
კოჩიშ
სისანდობა ვა რე:
– ეშე-ცა დო
გიმე-დიხა...

მუზა

ზღუაშ ქვინჯს ენოძ უმინჯურო,
კონოხ ნწყვილი ღუფიშ ღუზა,
წყარიშ თუდო გაქვარქვუნა
ჩხომე ჭიფე დო მედუზა...
მა ჭარუას თიწკმა იბჭყანქ:
გომიძიცანს თუთა-მუზა...
სი ჭარუა ვეშეილებდა,
ვეშეილებდა, ვა მაღუზა...



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ამიტომ, ჩვენ ულამაზეს ზოია რიბკინა-ვოსკრესენსკაიასთან ერთად შევაბიჯებთ ლავრენტი ბერიას ვრცელ კაბინეტში, რათა უფრო ხელშესახები და თვალნათელი გავხადოთ იქ განვითარებული მოვლენები.

ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ვოსკრესენსკაია ჩართეს განსაკუთრებული ჯგუფის შემადგენლობაში, რომელსაც ევალებოდა **"დივერსიული ჯგუფების შერჩევა, მომზადება სწავლება და მტრის ზურგში გადასროლა"**. ახლა კი, 1941 წლის ოქტომბერში რიბკინა კვლავ ემზადებოდა მეუღლესთან, გამოჩენილ მზვერავთან ბორის არკადის ძე რიბკინ-იარცევთან დასამშვიდობებლად. როგორც მკითხველმა უკვე იცის, ბორისი შვეიცაში მიემგზავრებოდა, სადაც საელჩოს მრჩევლის თანამდებობას ამოფარებულს უნდა ემოქმედა.

და, აი, რა ხდებოდა შემდეგ:

"მისი (ქმრის – ს.კ.) გამგზავრების წინადღეს ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ყირაზე დადგა, რამაც ჩემი შემდგომი ბედიც შეცვალა. მე გამომიძახა სსრკ სახალხო კომისარმა და პირდაპირ მკითხა, თუ რას ვაკეთებდი იმჟამად. მე ვუპასუხე, რომ მტრის ზურგში სამუშაოდ ვემზადები. **"მაინც, რომელ ადგილზე იმუშავებ?" – "ყარაულად ვიმუშავებ სარკინიგზო გადასასვლელზე"**. სახალხო კომისარმა გულიანად გაიცინა: **"გერმანელები ასეთ ყარაულს დააპატიმრებენ და დახვრეტენ. ამიტომ, თქვენ შვეიცაში უნდა გაემგზავროთ..."**

საჩქაროდ მომიწია საქმეების გადაბარება... რამდენიმე დღის შემდეგ **"ორივენი მივფრინავდით Y-2 თვითმფრინავით, არხანგელსკში"**.

საინტერესოა **"უსახელო"** სახალხო კომისრის საუბრის ტონი, მისი უნარი, რომ გაფრთხილებოდა ადამიანებს და ყოფილიყო ყურადღებიანი მათ მიმართ, და შეეთავაზებინა მათთვის რისკიანი სამუშაოს ოპტიმალური ვარიანტი. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, რომ საუბარია სსრკ უშიშროების გენერალურ კომისარ ლავრენტი პავლეს ძე ბერიაზე.

ჩვენი მკითხველი თავად ამოიცნობს ამ პიროვნებაში, მზვერავი ქალის რიბკინას სხვა უფროსებისაგან უაღრესად განსხვავებულ, ქალის ბედით დაინტერესებულ, კეთილმოყვრულ, უაღრესად კომპეტენტურ პიროვნებას და არა ყველასათვის საძულველ **"დემონ"** და **"სისხლისმსმელ"** სახალხო კომისარს.

არა და, თავად ქალბატონ ზოია ივანეს ასულ რიბკინაზეც, გამორჩეული სილამაზის მქონე ქალბატონზე (ეს მისი ფოტოდანაც კარგად ჩანს) ხომ ავრცელებდნენ ბინძურ ჭორებს. მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი ე.პ. შარაპოვი წერდა, რომ ომის დამთავრებიდან დიდი ხნის შემდეგ, მოსკოვში, წითელარმიელთა ქუჩაზე, მის მეზობლად მცხოვრები პოეტი მარგარიტა (ალბათ – მარიეტა!) შაგინიანი აფრთხილებდა მეზობლებს, რომ მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ ზოია ვოსკრესენსკაიასთან ურთიერთობაში, რადგან ამ ქალს **"ხელები იდაყვებამდე ჰქონდა გასვრილი სისხლით..."**

ძალიან ნაცნობი ლექსიკაა!

მარიეტა შაგინიანისაგან ესტაფეტა **"დემოკრატმა"** პოეტმა მარინა კუდიმოვამ ჩაიბარა იგივე პოეტური უწყებიდან. და 1993 წლის 20 ოქტომბერს (ბორის ელცინის მიერ მოსკოვის **"თეთრი სახლის"** სისხლიანი დაცხრილვის შემდეგ), სატელევიზიო გადაცემა **"ლიასში"** კუდიმოვამ მსმენელებს მოუთხრო საბჭოთა ჩეკისტ ქალზე, რომელსაც **"ხელები იდაყვებამდე ჰქონდა გასვრილი სისხლით..."**

რა თქმა უნდა, ზუსტად ისე, როგორც ჩეკისტ ლავრენტი ბერიას ჰქონდა ხელი გასვრილი იდაყვებამდე!

ახლა კი, აუცილებელია, რომ მოკლედ მოვუთხრო მკითხველს ბერიაზე, როგორც **"პარტიზანსა"** და **"დივერსანტზე"**... **"რუსული არქივის"** მე-20 (9) ტომის შესავალ წერილში სტატიისათვის **"1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში პარტიზანული მოძრაობის შესახებ"**, ნათქვამია:

"1941 წლის ივლისში, პარტიული იატაკქვეშეთის უზრუნველსაყოფად და პარტიზანული რაზმების შესაქმნელად ჩამოყალიბდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისია, მაგრამ იგი მუშაობას არც კი შესდგომია. 1941 წლის აგვისტოდან სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში მოქმედება დაიწყო პარტიზანული მოძრაობის სპეციალურმა სამმართველომ, მაგრამ დეკემბრის დასაწყისში მანაც შეწყვიტა ფუნქციონირება, რადგან სტალინმა გასცა განკარგულება, რომ უმაღლესი მთავარსარდლის მთავარბანაკთან შექმნილიყო პარტიზანული მოძრაობის სპეციალური შტაბი (პმსშ). მაგრამ 1942 წლის იანვარში, როცა გენშტაბის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა პარტიზანთა შტაბის სამმართველოებისა და განყოფილებების დაკომპლექტება, მოვიდა უმაღლესი მთავარსარდლის განკარგულება, რომ ეს პროცესი შეჩერებულიყო... კადრები კი გადაეცათ სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატისათვის..."

ამ სტრიქონებს რომ კითხულობ, რადაცნაირი გაურკვევლობის განცდა გეუფლება: **"მაინც ვინ იყო ის პიროვნება, ვინც მანამდე წამოიწყო აქტიური პარტიზანული ბრძოლა შეტევაზე გადმოსული გერმანელების ზურგში?"**. და სტანდარტული პასუხი: **"პარტიამ..."** აშკარად ვერ იქნება ზუსტი და ამომწურავი.

აბა, მაშ ვინ? გამოდის, რომ პარტიზანებს კონკრეტულად არავინ ხელმძღვანელობდა, გერმანელთა ეშელონები კი იჩეხებოდნენ და იჩეხებოდნენ ხრამებში! რაღაც უცნაურია... და რატომ ვერ მოხერხდა დიდი ხნის განმავლობაში ამ საქმის ორგანიზება? ელცინის რუსეთის ლამის ოფიციალური გამოცემა (სერიით **"რუსული არქივი"**, რომელიც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით გამოდის) ყველაფერ ამაში ადანაშაულებს...

ვის?

ნათელია, ვისაც:

"...საქმის ასე მოულოდნელად შემოტრიალებაზე დიდი გავლენა იქონია ლ.პ. ბერიამ. მან მოახერხა დაერწმუნებინა იოსებ სტალინი, რომ არახელსაყრელი იყო სპეციალური ორგანოების შექმნა, რომლებიც უხელმძღვანელებდნენ "ხალხისაგან" ჩამოყალიბებული პარტიზანული რაზმების მოქმედებას, რამდენადაც, ბერიას აზრით, ამგვარი კატეგორიის ხალხისაგან დაკომპლექტებული პარტიზანული რაზმების მოქმედება იქნებოდა ქაოსური, სტიქიური და არ მოიტანდა სასურველ ოპერატიულ ეფექტს (ამაში, შეიძლება ითქვას, რომ ბერია ცამდე მართალი იყო! – ს.კ.). სასურველი შედეგი შეიძლებოდა მოეტანათ მხოლოდ კვალიფიციურ დივერსანტებს, რომელთა მოსამზადებლად და ხელმძღვანელობისათვის არსებობდნენ სპეციალური ორგანოები. "ეს გახლდათ მავნებლური თვალსაზრისი, – იხსენებდა პ.კ. პონომარენკო (ბელორუსიის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი – ს.კ.), რომელმაც, სამწუხაროდ, შეარყია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრთა პოზიციები და ცენტრალური შტაბის შექმნა გადაიფიქრეს". მაგრამ ასეთი ორგანოს შექმნის აუცილებლობა იმდენად თვალნათელი იყო (არაპროფესიონალებისათვის – ს.კ.), რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს.

პმსშ შეიქმნა ომის დაწყებიდან მეთერთმეტე თვეს – 1942 წლის 30 მაისს. მის უფროსად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დანიშნა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელორუსიის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ.კ. პონომარენკო..."

ბოდიშს მოვუხდი მკითხველს ესოდენ დიდი ციტატისათვის, მაგრამ მათში კონცენტრირებულია ბერიას წინააღმდეგ მიმართული ყველა ბრალდება, რომელიც თითქოს ხელს უშლიდა ნორმალური პარტიზანული მოძრაობის განვითარებას. ამ ბრალდებებში რომ გავერკვეთ, მე სხვა დიდი მოცულობის მქონე დოკუმენტების ციტირებაც მომიწევს. ვფიქრობ, რომ ეს გზა უფრო მარტივი და საიმედოა. აზრი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მაინც აზრია, ფაქტი კი, თუნდაც **"დემოკრატისათვის"** – ფაქტია.

აი, ფაქტებიც...

ცკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, გერმანელთა ჯარების ზურგში ბრძოლის ფართოდ გაშლის თაობაზე, მიღებულ იქნა 1941 წლის 18 ივლისს, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოუტანია, რადგან დადგენილების მოთხოვნათა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხამდე მიტანა შესაძლებელი არ გახლდათ. საჭირო იყო არა ზოგადი მოწოდებები, არამედ კონკრეტული ღონისძიებები. სამაგიეროდ, სპეცოპერაციების დიდოსტატის, შინსახკომის გენერალ სუდოპლატოვის დამოწმებით, ომის დაწყების პირველივე დღეს მას დაევალა გერმანული ჯარების ზურგში ჩასატარებელი სადაზვერვო-დივერსიული სამუშაოების ხელმძღვანელობა. პირველი იყო თუ მეორე, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ ამგვარი დავალება არსებობდა... სუდოპლატოვის ამ მოგონებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს დავალება ბერიას გაცემული იყო, რადგან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და სახელმწიფო უშიშროების კომისარიატი მაშინ ერთმანეთისაგან განცალკევებული იყო. უფრო მეტიც, 1941 წლის 5 ივლისს სწორედ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანებით სახალხო კომისართან შეიქმნა განსაკუთრებული ჯგუფი (რომელშიც ზოია რიბკინაც შედიოდა). სუდოპლატოვის მოადგილეებად დაინიშნენ დაზვერვის ისეთი გამოცდილი მუშაკები, როგორებიც იყვნენ სერებრიანსკი, მაკლიარსკი, დროზდოვი, მორდვინოვი, გუდიმოვიჩი, ორლოვი. 1941 წლის 3 ოქტომბერს განსაკუთრებული ჯგუფი გარდაიქმნა სსრკ შინსახკომის მე-2 დამოუკიდებელ განყოფილებად და იგი კვლავ ლავრენტი ბერიას განკარგულებაში დარჩა. დაბოლოს, 1942 წლის 18 იანვარს, შინსახკომის მე-2 განყოფილება გადაკეთდა სსრკ შინსახკომის მე-4 რწმუნებაგაფართოებულ სამმართველოდ.

პარტიული ფუნქციონერებისა და გენშტაბის გენერლებისაგან განსხვავებით, ბერია, როგორც ყოველთვის თავის ადგილზე იდგა და პასუხს აგებდა სიტუაციებზე.

დაიწყო ომი – საჭიროა სპეცოპერაციის სახელმძღვანელო ჯგუფი.

შემოდგომაზე გაირკვა, რომ ომი დიდ ხანს გასტანს. ჯგუფი გაფართოვდა და გახდა განყოფილება.

– შემდეგ გადაკეთდა სამმართველოდ.

ჩამოყალიბდა სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული დანიშნულების მოტომსროლელთა ცალკეული ბრიგადა 25-ათას კაციანი კონტინგენტით, რომელიც კადრების სამჭედლოდ იქცა პარტიზანული რაზმებისათვის, სპეცრაზმებისა და სპეცჯგუფებისათვის, რომელთანაც დაკავშირებულია მედვედევის, ვაუპშასოვის, სტეხოვის, პროკოპიუკის, კუზნეცოვის სახელები...

გენშტაბისა და სახალხო კომისარიატთა სამხრეებიანმა ბიუროკრატებმა ჩააფლავეს **"დიდი"** ომის დასაწყისი. ახლა ისინი ასეთივე **"წარმატებით აფლავებდნენ"** პარტიზანულ ომსაც. იდგა 1942 წლის იანვარი, გენერალური შტაბი კი ჯერ კიდევ **"სრული სვლით"** ახდენდა **პმსშ**-ს ფორმირებას.

ბერიას დაქვემდებარებაში მყოფმა უშიშროების კაპიტანმა დიმიტრი მედვედევმა ამ დროის მანძილზე მოასწრო სპეცრაზმ **"მიტიას"** ფორმირება, 1941 წლის 4 სექტემბერს რაზმთან ერთად გადავიდა ბრიანსკის ტყეებში, იქ და ბელორუსიაში ჩაატარა მთელი რიგი ოპერაციებისა, 1942 წლის 12 იანვარს დაბრუნდა მოსკოვში, 12 თებერვალს დაჯილდოვდა თავისი პირველი ლენინის ორდენით და მოემზადა როვნოს მიდამოებში გადასასროლად.

მაგრამ ჯერ კიდევ 1941 წლის 12 დეკემბერს სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ გაუგზავნა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს წერილი **"სსრკ შინსახკომის პარტიზანული რაზმის მეთაურის, უშიშროების სამსახურის კაპიტან მედვედევის ქმედებათა შესახებ"**, სადაც აღნიშნავდა, რომ უკანასკნელ პერიოდში აფეთქებულ იქნა ერთი დიდი სარკინიგზო ხიდი, გზიდან გადააგდეს სამხედრო ეშელონი, დაწვეს სამი ხიდი, გაანადგურეს სამი ზეთსახდელი ქარხანა, სკიპიდარის ქარხანა, გაანადგურეს სამხედრო კომენდანტურა და პოლიციის სამმართველოს შენობა, განადგურებულია ორი თვითმფრინავი, მოკლულია 10 ოფიცერი, 39 ჯარისკაცი, თარჯიმანი, ორი პოლიციელი, ერთი მოღალატე, სამი დეზერტირი.

რაზმის დანაკარგია: ერთი – მოკლული, ორი – მსუბუქად დაჭრილი მებრძოლი.

ბერიას წერილი ამ სიტყვებით მთავრდებოდა:

"ამ დროისათვის პარტიზანული რაზმი შეადგენს 218 ადამიანს და მისი რიცხოვნობა იზრდება გერმანელთა ალყიდან თავდაღწეული სამხედრო მოსამსახურეებით. ტყვია-წამლის და შეიარაღების მარაგს ივსებენ მოპოვებული ტროფეებით.

შენიშვნა. ამხანაგ მედვედევის პარტიზანული რაზმი ჩამოყალიბდა მოსკოვში და 1941 წლის სექტემბერში იქნა გადასროლილი მტრის ზურგში".

მედვედევის საქმიანობის ამსახველი ეს წერილი ნათელი, მაგრამ მაინც ერთი წერტილია სსრკ შინსახკომის მე-4 სამმართველოს მე-2 განყოფილების საერთო საქაღალდეში. გენშტაბი კი **"მუდმივი ფორმირების"** პროცესში იმყოფებოდა, წითელი არმიის ფორმირებისა და კომპლექტაციის მთავარი სამმართველოს უფროსი **შადენკო** სტალინს ერთმანეთზე სულელურ პროექტებს უწყობდა მაგიდაზე **"პარტიზანული ფორმირებების ჩამოყალიბების თაობაზე"**. იმდენად სულელურს, რომ მათი კომენტირებაც კი არ ღირს...

თვით **"არაჩეკისტური პარტიზანული შენაერთისა და მისი მეთაურის, მომავალი საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის სიდორ არტემის ძე კოვპაკის"** არსებობის თაობაზე სტალინმა სწორედ ბერიას მოხსენებითი ბარათიდან შეიტყო 1941 წლის 23 ნოემბერს. ეს იყო ინფორმაცია კოვპაკის რაზმის პირველ მოქმედებათა თაობაზე, რომელშიც თვით მეთაურის გვარი შეცდომით მოხსენიებული იყო როგორც **"კოლპაკი"**.

ესე იგი, რეალურ შედეგს იძლეოდა მხოლოდ სსრკ შინსახკომი. ამიტომაცაა გასაგები, თუ რატომ უჯერებდა სტალინი სახალხო კომისარს – როცა მოსკოველი კანცელარისტები ის-ის იყო აყალიბებდნენ *თავის შტაბებს*, ჩეკისტები უკვე აფეთქებდნენ გერმანელთა *შტაბებს*.

მაგრამ პანამარენკომ, როგორც ხედავთ, სტალინი მაინც **"მოიმწყვდია კუთხეში"**. და პარტიულ ფუნქციონერ პონომარენკოსა და ჩეკისტ ბერიას შორის წინააღმდეგობა იყო არა უწყებრივი შეუსაბამობა, არამედ პრობლემისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა. პონომარენკო საქმეს უდგებოდა ფორმალურად, **"თვალის მოსაჭრელად"**, მადლობების მოსახვეჭად, ბერიას კი მხოლოდ საქმე აინტერესებდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენა სულია ერისა

გაზეთ **“ილორში”** იბეჭდება ენათმეცნიერთა წერილები.

ლინგვისტთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ მეგრული ენა ქართული ენის **დიალექტია;** მეორე ჯგუფი კი მეგრულ ენას **დამოუკიდებელ, ცალკე** ენად მიიჩნევს.

მე ენათმეცნიერი არა ვარ. მინდა მოკრძალებით გამოვთქვა ჩემი შეხედულება და ორიოდე კითხვით მივმართო პატივცემულ ენათმეცნიერებს.

ენის ფილოსოფიის ფუძემდებელი ვილჰელმ ჰუმბოლდტი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ასაბუთებდა იმას, რომ ენა მსოფლმხედველობაა, მსოფლაღქმაა, რომ ენა ერის სულია **(T, Шадури, Общее языкознание, Тб. 1983. стр. 26-27).**

იცვლება ენის წარმოშობის და მისი განვითარების, კვლევის მეთოდების შესახებ არსებული თეორიები, მაგრამ ჰუმბოლტის ეს დებულება დღემდე კლდესავით დგას.

მონადირისა და ვეფხვის შებრძოლება სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე აზიის მრავალ ხალხს უნახავს, მიუძღვნიათ განსხვავებული ლექსები, ბალადები თუ ზღაპრები, მაგრამ ქართველმა კაცმა ქართული ენის წყალობით ეს ამბავი თავისებურად აღიქვა, გაიაზრა და დაღუპული მონადირის დედას ათქმევინა, წავიდე, ჩემსავით მოტირალი ვეფხის დედა ვნახო, მივუსამძიმრო, ვუთხრა, რომ ღირსეული, მამაცი შვილები გაგვიზრდია...

ამ გენიალურ ხალხურ ლექსში ერის სული გამოვლინდა!

დედამიწის ზურგზე მცხოვრებთ ვის არ უნახავს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მაგრამ ქართველმა კაცმა თავისებურად აღიქვა და გაიაზრა, მნათობები **მშობლებია,** ვარსკვლავები კი **და დო ჯიმა...** იგი **კოსმოსის შვილია...**

ვეკითხები მათ ვინც მეგრული ენის დამოუკიდებელ, ცალკე ენად მიიჩნევს: **აქვთ თუ არა მეგრულ ენაზე მეტყველთ (მეგრელებს) განსხვავებული სული, განსხვავებული კულტურა, მსოფლაღქმა ქართულ ენაზე მოლაპარაკეებთან შედარებით?**

თუ მეგრული ცალკე ენაა, მაშინ ამ ენაზე მოლაპარაკეთ განსხვავებული სული, განსხვავებული კულტურა და მსოფლაღქმა ჰქონიათ და ამიტომ ქართველები არა ყოფილან!

დღეს არავინ კამათობს იმის შესახებ, რომ ქართველური ენების ფუძე ენა **ლაზურ-მეგრულია.**

ვეკითხები მათ, ვინც მეგრულ ენას ქართული ენის დიალექტად მიიჩნევს: **როგორ შეიძლება ფუძე ენა დიალექტი იყოს?**

სომხეთის მოსახლეობის ერთი დიდი ნაწილი ძველი სომხურით რომ მეტყველებდეს, სომეხი მეცნიერები ამ ენას ახალი სომხურის დიალექტად მონათლავდნენ? ან ცალკე ენის სტატუსს მიანიჭებდნენ?

არა მგონია!

მეგრული, სვანური, ქართული პრეისტორიული ჭყონის ფესვიდან ამოზრდილი სამი ტოტია, რომელთაგან ერთ-ერთს ბედისწერამ და ისტორიის ქარტეხილებმა ქართული ენა დაარქვა, სახელმწიფო ენის როლის შესრულება დაავალა.

ქართული ენა იკვებება იმ სასიცოცხლო წვენით, რომლითაც იკვებება ლაზური, მეგრული, სვანური და ამიტომ არ შეიძლება მათ დიალექტები ან ცალკე ენები ვუწოდოთ. ერთი მუხის ტოტები სხვადასხვა ნაყოფს ვერ იძლევა. იგი ერთია და მისგან ყოველთვის მსგავსი აღმოცენდება. ამ დიდი მუხის ტოტებს ცალკე ენებსა და დიალექტებს კი ნუ ვუწოდებთ, არამედ ყველას ერთად ვუწოდოთ **იბერიული ენა.**

2004 წელს იუნესკოს კომისიის მონაწილეობით გამოიცა **“მსოფლიოს საფრთხის ქვეშ მყოფი ენების ატლასი”**, სადაც ნათქვამია **“თვითოეული ენის გაქრობა იწვევს უნიკალური კულტურული, ისტორიული და ეკოლოგიური ცოდნის აუნაზღაურებელ დანაკარგს... როცა ენა კვდება, ვკარგავთ... კაცობრიობის პრეისტორიის გაგებისა და მსოფლიოს მრავალფეროვანი ეკოსისტემის შენარჩუნების საშუალებას”** (ციტირებულია ლალი ეზუგბაიას წერილიდან **“ენები, ეკოსისტემები და თანამედროვე ტექნოლოგიები”**, ჟურნალი **“ჩვენი მწერლობა”**, №22,29. X. 2010 წელი).

იუნესკოს ატლასის ავტორები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს ეკოლოგიური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის, აუცილებელია ყველაზე მცირერიცხოვანი ერების გადარჩენა, რადგან აბორიგენმა ხალხმა თავის გარშემო ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დიდი ეკოლოგიური ცოდნა დააგროვა და ეს ცოდნა, როგორც აღნიშნავს ქალბატონი ლალი, **“დაუნჯებულია ენაში და მისი გამოცალკევება ეკოსისტემიდან არასწორია... ეკოკატასტროფები დემოგრაფიულ და მარადიულ პროცესებთანაა დაკავშირებული... წარმოვიდგინოთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე აბორიგენი მოსახლეობა, ქართველები და აფხაზები, სრულიად ჩაანაცვლეს სხვა ხალხებმა, ან ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ აღარავინ იქნება ქართულ (ასევე მეგრულ-სვანურ) და აფხაზურ ენებზე მოლაპარაკე. ეს ნიშნავს, რომ გაქრება აფხაზეთის ეკოსისტემათა ისტორიული გამოცდილებით მიღებული ცოდნა და შესაბამისად, გადაიდგმება ნაბიჯები, რომლებიც დააზიანებს, გაანადგურებს ბუნებას”.**

მე დავუმატებდი, არა მარტო ბუნებას!

უნიკალური გენეტიკური მემკვიდრეობის მიუხედავად, დღეს ქართულ ენას რეფორმატორთა ხელში **გადაგვარება ემუქრება.** ლინგვისტობა სულაც არ არის აუცილებელი, რათა დაინახო თუ როგორ **ირყვნება, ინგრევა ქართული ენა, მაშასადამე ქართული ცნობიერება.**

გრამატიკულ და სტილისტიკურ შეცდომებს ემატება უფრო საშიში ფონეტიკური სიმახინჯენი, ქართული ბგერების არაბუნებრივად წარმოთქმა, უმახვილო ქართულ ენაში წარამარა მახვილების დასმა, არაქართული ინტონაციები შესაბამისი არაქართული ჟესტიკულაციებით და მიმიკით, მშვენიერი ქართული სიტყვების გამოყენება განსწავლული კაცის შთაბეჭდილების მოსახდენად, ანუ საკუთარი სირეგვნის შენიღბვის მიზნით... თავზარდამცემად დარიბი სიტყვების მარაგი...

ამგვარად მეტყველებენ სნობი და კოხტაპრუწა ტელევიზიის დიქტორები, შოუწამყვანები, ტელევიზიის ხშირი სტუმრები ე.წ. ცნობადი სახეები, ესტრადის, თეატრისა და კინოს ახალი თაობის მსახიობები და რეჟისორები... ჩვენი პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობა სპიკერის ჩათვლით, მინისტრები და ოპოზიციის ლიდერები...

ენის წახდენას წინ მთელი საზოგადოება უნდა აღუდგეს, უნდა ვიბრძოლოთ ენის, ეროვნული სულის გადასარჩენად... ამ ბრძოლის ავანგარდში უნდა იდგნენ ენათმეცნიერები, ფილოლოგები, პედაგოგები...

ჩვენ უნდა ვიკამათოთ არა იმის შესახებ არის თუ არა მეგრული ქართულის დიალექტი ან ცალკე ენა, არამედ უნდა ვიბრძოლოთ იმ ვერაგული გეგმის წინააღმდეგ, რომელიც ქართული ენის გადაგვარებისათვის არის დამტკიცებული სადღაც შორს, ფარული ხელისუფლების კაბინეტში...

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ეს საშიშროება და კატეგორიულად მოვითხოვოთ სკოლებში მეგრული და სვანური ენების **სწავლა** იმგვარი პროგრამით, რათა ნებისმიერი კუთხის ქართველმა იცოდეს: **ლიხსიქითაც ქართველები ცხოვრობენ, რომ მეგრული და სვანური ენის არსებობა არა ნიშნავს მათ არაქართველობას!**

საუბედუროდ, ასე ფიქრობს თითო-ოროლა ტვინგამორეცხილი ქართველი!

არის კიდევ ერთი **“დაფარული საუნჯე”** (ა. შანიძე), რომლის გამოყენების შესახებ წერილებს აქვეყნებდნენ დიდი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია და დიდი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე.

ეს მამულიშვილები მოითხოვდნენ ასომთავრულის ხმარებას, წინადადების დაწყებას ასომთავრულით. გარდა იმისა, რომ მთავრულით წინადადების დაწყებას ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს, მას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმის შესრულება შეუძლია.

აკაკი შანიძე აღნიშნავს იმას, რომ ევროპის ბიბლიოთეკებში ინახება ასომთავრულით და ნუსხურით ნაწერი ხელნაწერები, რომლებსაც სომხურად მიიჩნევდნენ და რომლებიც **ქართველებსაც სომხური ჰგონიათ,** იმის გამო, რომ არ იციან მათი წაკითხვა (წერილები **“დაფარული საუნჯე”, “ასომთავრული ასოების ხმარების გამო ქართულში”, “ქართული ორთოგრაფიის ისტორიიდან”**. წიგნში ა. შანიძე, **“სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები”**, თბ. 1979 წელი).

ბატონი აკაკი ამგვარ შემთხვევასაც იხსენებს. ერთ ცნობილ ქართველ მეცნიერს მისთვის ხელში ძველი ხელნაწერები დაუნახავს და უკითხავს: აკაკი, თქვენ რა, სომხურიც იცით? დიახ, – უპასუხა აკაკიმ, – სომხური ვიცი, მაგრამ ეს ხელნაწერები ქართულია!

ვაგლახ, ასომთავრულისა და ნუსხურის სწავლა კი არა, სულ მალე გასინგაპურიზაციებულ საქართველოში სახელმწიფო ენად ინგლისურს გამოგვიცხადებენ!

მხოლოდ კოლხ-იბერიულ ეროვნულ მთავრობას ხელეწიფება გადაარჩინოს არა მხოლოდ ქართული ენა, არამედ მეგრული, სვანური, აფხაზური, ჩერქეზული, ჩაჩნური, წოვა-თუშური, დიდოური... გადაარჩინოს ზოგადკავკასიური სული და თუნდაც ბუნება!

თენგიზ კუბლაშვილი

შეცდომის გასწორება

“ილორის” 99-ე ნომერში, ბატონი თენგიზ კუბლაშვილის წერილში “მბორგავ სულთა სენტენციები”, ფრაზა “მკვდარ ღმერთისმეტყველების” ნაცვლად უნდა იყოს “მკვდარი ღმერთის ღმერთისმეტყველება”.

რედაქცია.

საქართველო (კოლხეთი) — კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა

იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე

პროფ. ლევან სანიკიძე

(დასაწყისი “ილორი” №97, 98, 100, 101, 102, 103)

ხოტუ (ჰოტუ) მატუა – აღდგომის კუნძულის პირველი მეფე

ვ. იანი წერს: **“კლდის უკან ჩრდილოეთით, ბედნიერი იბერიის მზიანი ნაპირები გადაშლილიყო. ამწვანებულ ჭალებსა და ველებზე საქონელი და ცხვრის ფარა ძოვდა. სამხრეთით, განიერი სრუტის იქით, აფრიკის მოვარდისფრო-ყვითელი მთები და კლდეები მოჩანდა. ამბობენ უწინ აფრიკისა და იბერიის ნაპირები ყელით იყო შეერთებული, მაგრამ ღმერთმა მელკარტმა ნაპირები ერთმანეთს დააშორა და გარეგანი და შიდა ზღვა სრუტით შეაერთა”**-ო.

კაპიტალისტი, მდიდარი ადამიანი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ჩაგრავს და მათ ხარჯზე ხდება მილიარდერი. სწორედ ისინი არიან ყველა უბედურების მიზეზი.

ძველი ფინიკიელების დროიდან 3-4 ათასმა წელმა გაიარა, მაგრამ სამწუხაროდ და კაცობრიობის საუბედუროდ, ვერ განხორციელდა ბრძენი მოხუცის სურვილები, რომ ჩვენს სამყაროში არ იყოს ომი და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა; ამ, უძველესი დროიდან კაცობრიობამ უამრავი ომი გადაიტანა, მათ შორის მსოფლიო ომები ატომური იარაღის გამოყენებით... მოსახლეობის ზრდის მარეგულირებელი ომები კი არ უნდა იყოს, არამედ მეცნიერული დასკვნები, თორემ გამართლდება მალთუსის თეორია ჭარბი მოსახლეობის შესახებ. ჩარლზ დარვინის შვილისშვილი, ფიზიკოსი, დალტონ დარვინი შემთხვევით არ ამბობდა, რომ ხუთასი წლის შემდეგ, თუ მოსახლეობა თანამედროვე ტემპით გაიზარდა, ადამიანები რომ თევზებივით დააწყო ერთმანეთზე, ხმელეთიდან ზღვაში გადაცვივა. უკანასკნელი მონაცემებით (2008 წლის მიწური) ჩვენს პლანეტაზე 213-215 მილიონი ადამიანი შიმშილობდა, მოსალოდნელია უარესი.

კაცობრიობა უსათუოდ, როდესმე მივა იმ შეგნებამდე, რომ ომები და ადამიანის ჩაგვრა, არ უნდა იყოს, მაგრამ, ვაი თუ ამას 2-3-4 ათასი წელი დასჭირდა.

ომი უნდა მოისპოს, მაგრამ ის ვერ მოისპობა, თუ არ მოისპობა ქვეყნის განვითარება ოლიგარქიული გზით. ოლიგარქია ომებისა და ყველა უბედურების მიზეზი და წყაროა. ადამიანები მივლენ სოციალიზმის, სამართლიანობის, თანასწორობის აღიარების აუცილებლობამდე. მაგრამ ამისათვის ვერ გამოდგება ვერც რუსული ყაზარმული სოციალიზმი და ვერც დასავლეთის ევროპული სოციალისტური თეორიები. კაცობრიობას რეალური სოციალიზმი სჭირდება, ადამიანთა სრული თანასწორუფლებიანობა.

კასიტური (კისების) ენა – ქართველური ენაა. ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 11 ათასი წლის წინანდელი (ნეოლითის) პერიოდის ეკლესია-ტაძრები წარწერებით.

უკანასკნელ პერიოდში ცნობილმა უცხოელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს მასალები სათაურით **“უცნობი ქართველური ენა და მესოპოტამიაში ქართულ დინასტიის მმართველობის 600 წლისთავი”.** ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იური მოსენკინი წერს: **“შეიძლება გარკვევით ვთქვათ, რომ ასიტური (კოსების) ენა ჯერ კიდევ უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა, მისი მატარებელი დინასტია მართავდა ბაბილონს XVIII საუკუნის შუაწლებიდან XII საუკუნის შუაწლებამდე ძველი წელთაღრიცხვით”**, რომ ქვეყანას მართავდნენ კოლხები და მმართველობა კოლხურ ენაზე ხდებოდა.

გარდა ამისა, გერმანელმა არქეოლოგებმა (კლაუს შმიდტის ხელმძღვანელობით) თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გიომეკლე-თებეს (თეფეს) მიდამოებში, ჭიპლარის მთაზე (ჭიპი – მეგრულად **“ჩუპა”** – ჩუპას მთაზე) აღმოაჩინეს ნეოლითის პერიოდის, 11 ათასი წლის წინანდელი ეკლესია-ტაძრები. კარგად შენახულ კირქვის სამშენებლო T-სებრი სვეტებზე გამოსახული იყო ქვის საუკუნის მთელი ზოოპარკი – ლეოპარდი, მელა, ველური ვირი, გველი, იხვი, ტახი, ველური ხარი წერო. უყურებ რა მათ, წარმოგიდგება, რომ **“იხვი ესეს არის ყიყინს დაიწყებს, მელა თავს დაესხმის მსხვერპლს, ველური ხარი საშიშრად წამოვა თქვენსკენ. ამ ეპოქაში მსგავსი სილამაზე და დახვეწილობა არავის უნახავს”.**

შესაძლებელია სამშენებლო ორნამენტებზე, სვეტებზე გრაფიკული კომბინაციების უკან იმალება სიტყვები და ფრაზები: **H** და **H** შებრუნებული 90 გრადუსით, **H** ოვალური წრე, ჰორიზონტალური და ვერტიკალური და ვერტიკალური ნახევარმთვარე, ჰორიზონტალური თამასა, მათ გვერდით ძველი სტილიზებული **“ალაფები”**. ჩანს საქმე გვაქვს ინფორმაციის უძველეს სისტემასთან, რომ გიობეკლე-თებეს მშენებლები შეტყობინების შესადგენად და ადამიანებისათვის გადასაცემად სარგებლობდნენ რთული სიმბოლიკით – წერს კ. შმიდტი და აგრძელებს: **“თუმცა საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში საიმედოდ იქნას განმარტებული გიო-ბეკლე – თემეს სიმბოლიკა”** (კლაუს შმიდტი, **“ისინი იშენებდნენ პირველ ტაძრებს”**, ბერლინი, 2006 წელი).

მეცნიერები ერიდებიან საუბარს დამწერლობის შესახებ, რადგან ეს ამსხვრევს ადამიანური კულტურის ჩამოყალიბების შესახებ დამკვიდრებულ წარმოდგენებს. კ. შმიტდი ნათლად ხედავს, რომ **“ველურები ველურთა შორის აგებდნენ ეკლესია-ტაძრებს”** და **“აქ აღმოჩენილი ძველებური სიმბოლოები ძალიან გვანან დამწერლობას, მაგრამ შესაძლებელია კი ეს?”** და რომ ეს დამწერლობა 11 ათასი წლის წინანდელია, ნუთუ მაშინ შეიძლებოდა დამწერლობა ყოფილიყო? კ. შმიდტი პირდაპირ აღიარებს, რომ **“მე ვიტყოდი, რაც პირველად გავიფიქრე, ჩვენ კვლავ ვხედავთ გიობეკლე-თებეს ინოგრაფიას”.**

ჩანს დიდი მეცნიერი კ. შმიდტი შესაფერისად არ იცნობს სამეგრელო-კოლხეთის ისტორიას, კოლხ-პელაზგების ისტორიას. ნეტავ იცის მან რომ, არა მარტო დღევანდელი თურქეთის და მიმდებარე სივრცეები მეგრული მიწები იყო, არამედ სხვა უდიდესი ტერიტორიები უძველესი კოლხ-პელაზგების სამფლობელო-საცხოვრისი ყოფილა. კ. შმიდტის წიგნის გამოსვლის დროს მისთვის ცნობილი არ იყო გია კვაშილავას მიერ გაშიფრული **“ფესტოსის დისკო”** – 4 ათასი წლის წინანდელი კოლხური დამწერლობა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან, ნან, ან...აააკ!

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას მწერალ რაფიელ გელანტიას წიგნიდან "ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი"

ასე მოვხვდი ოჩამჩირეს 24-ე ბრიგადაში, თუმცა გუმისთის სისხლიან ფრონტზე მინდოდა ყოფნა.

ოჩამჩირეს ფრონტი განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩეოდა, თავიდან არც მოწინააღმდეგე გვაწუხებდა მაინცდამაინც, თუმცა ყველა გრძნობდა, რომ ტყვარჩელში შეუსვლელობით ჩვენ შეცდომა დავუშვით. მტერს დავუთმეთ სამხედრო თვალსაზრისით პლაცდარმი, რომელსაც გონიერი და პროფესიონალი მტერი, ერთ მშვენიერ დღეს, შესანიშნავად გამოიყენებდა. ასეც მოხდა.

რა გაქვთ მხედველობაში? –დაინტერესდა საიდას ვეჭილი.

– ის რომ კავკასიის ხალხთა კონფედერაციამ შანსი ხელიდან არ გაუშვა და 93 წლის გაზაფხულში „აღმოსავლეთის ფრონტი" შექმნა; ამით ტყვარჩელის პლაცდარმის ამოქმედებას ჩაეყარა საფუძველი. მოკლედ, მათ ზუსტად გათვალეს: თანდათან გაენეიტრალებინათ გალის რაიონი, რომელსაც თავისი დიდი ადამიანური რესურსებით, სტრატეგიული განფენილობით, ეკონომიკით ნებისმიერ დროს შეეძლო სასიკვდილო საფრთხე შეექმნა აფხაზთა და ვოლონტერთა ძალებისთვის ქალაქ სოხუმამდე და მის იქითაც; ოჩამჩირეში განლაგებული ჩვენი ძალების დეზორგანიზაცია და დაქსაქსვა მოულოდნელი დარტყმებით და მოულოდნელადვე იქაურობას გაცლით; ეს ხელწერა – ეგრეთწოდებული პარტიზანული ომის ხელწერა, ცნობილი იყო ჩეჩნეთის ომის გამოცდილებიდან.

ვრცელდებოდა ხმა, რომ ბასაევი ოქტომბერში უკვე იმყოფებოდა აფხაზეთში, ორგანიზაციას უკეთებდა აღმოსავლეთის ფრონტს, რუსეთიდან დღე და ღამე შემოდიოდა სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება.

ცხადი გახდა, რომ სოხუმის ასაღებად წარუმატებელი ყოველი ოპერაციის შემდეგ, აღმოსავლეთის ფრონტი აქტიურდებოდა ან სინქრონულად ამოქმედდებოდა, გადაკვეთდა ავტომაგისტრალს, რკინიგზას, ქმნიდა პლაცდარმს ზღვიდან დესანტის გადმოსასხამელად, რითაც სოხუმის დამცველებს ჩამოაშორებდა სამხრეთის ზურგს, და ბოლოს, შეეცდებოდა **„ტომარაში"** მოექცია ოჩამჩირე და მისი შემოგარენი.

ჩემი იქ ყოფნის პერიოდში აღმოსავლეთის ფრონტი ადგილობრივი მოსახლეობის და ჩვენი შეიარაღებული ძალების ტერორს ეწეოდა, თესავდა პანიკას. აღმოსავლეთის ფრონტში ჩართეს უამრავი ქალი, რაც აფხაზი მამაკაცებისთვის უჩვეულო, ტრადიციების შეურაცხმყოფელი და მიუღებელი ბეგარა იყო, მაგრამ გარე ძალებისა და ზოგიერთი ადგილობრივი მოხელისთვის მისაღები.

ამდენად, ოჩამჩირეს რაიონის ბევრი აფხაზური და შერეული ოჯახის წევრები იძულებული გახადეს აეღოთ იარაღი, დაძახებისთანავე გასულიყვნენ ოპერაციაზე.

განსაკუთრებული მონდომებით კარგი ფიზიკური მონაცემების, ქართული და რუსული ენების მცოდნე ახალგაზრდა ქალებს წვრთნიდნენ, ამზადებდნენ მზვერავებად, დივერსანტებად, სნაიპერებად. ისინი გაანაწილეს ქართველების მიერ კონტროლირებად მთელ ტერიტორიაზე, ზოგი ვაჭრად, ზოგი მეძავად, ზოგი სამედიცინო დარგის მუშაკად, ზოგი ჩააბეს საქართველოდან და უცხოეთიდან შემოსული ჰუმანიტარული დახმარების განაწილებაში, გაჭირვებულთა შინა დამხმარეებად და ა. შ.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.

ქართული სარდლობა, ბუნებრივია, ღებულობდა კონტრაზომებს, მაგრამ ქალაქში, რაიონში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, ერთმანეთის ახლობელია, მტრის და მოყვრის გამოცნობა მეტად ძნელია.

მოსამართლემ სანდრო შეაჩერა:

– გაფრთხილებთ, უფრო ახლოს საქმესთან ბატონო სანდრო. თქვენ ადრე იცნობდით საიდას, იმუამად გვანცა ლოგუას?

– სად, როგორ და როდის გაიცანით ის?

სანდროს ყველაზე მეტად ამ შეკითხვის ეშინოდა. შეყოვნდა, ჭერზე დაკიდებული ნათურა უზარმაზარ ბურთად გადაიქცა, რომელიც ეს-ეს იყო აფეთქდებოდა და სანდროს უბედნიერეს კაცად აქცევდა. მან ბიჭის გარეთ გაყვანა ითხოვა.

თავმჯდომარე დაფიქრდა, საიდას ვეჭილს შეხედა. ვეჭილმა ბიჭის დარბაზში დარჩენა მოითხოვა. თავმჯდომარე დათანხმდა.

სანდროს არ შეეძლო გულწრფელი არ ყოფილიყო, ის ასეთი იყო და სხვანაირად არ შეეძლო.

– თავისუფალ დროს ვსეირნობდი სანაპიროზე, უფრო მეტად სამხედრო ფორმის გარეშე, თუმცა ეს რატომღაც აკრძალული იყო. მიყვარს ზღვა, საოცარია შავი ზღვა ქ. ოჩამჩირეში, ყოფილი რაიკომის შენობის გვერდით მდებარე პარკთან. იქ, მწვანეში მოვეწყვე და სახატავი მოწყობილობა გადავიტანე. საინტერესო პეიზაჟს გამოვიჭერდი, ესკიზებს მოვნიშნავდი, ღამით საუკეთესოს შევარჩევდი და თავისუფალ დროს, ფანქრით ან ზეთით სურათად ვაქცევდი. ასე იყო, რამდენადაც მახსოვს, მთელი ორი თუ სამი თვე.

ერთ მზიან დღეს ორი მშვენიერი ქალბატონი მომიჯდა გვერდით. არ გამკვირვებია, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა და ხელისუფლება მეტად ყურადღებიანი იყო ქართული ჯარის მიმართ, პროდუქტებს გვაწვდიდნენ, ოჯახებში გვიწვევდნენ.

თავი გამაცნეს, ასაკით უმცროსს გვანცა ერქვა. ჩემი სახელი ვუთხარი. შეკითხვებს გვანცას მეგობარი მაძლევდა, მეც ვპასუხობდი. გვანცა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, თითქმის ბავშვი, ღიმილით მომშტერებოდა თვალებში, რაც უხერხულობაში მაყენებდა. იგივე განმეორდა მეორე კვირას. გასეირნება შემომთავაზეს, მე სამხედრო ფორმაში ვიყავი და თავის არიდება ვცადე, მაგრამ მზის ჩასვლის ნახვის ცდუნებას ვერ გავუძელი.

სამწუხაროდ, სამხედროთა პატრულს გადავეყარე და ადრე წავედი ნაწილში.

მესამედ გვანცა მარტო მოვიდა, ნახატებით დაინტერესდა, პორტრეტის დახატვა მთხოვა, თავის ოჯახზე მელაპარაკა; რაღაცნაირად შემომაპარა, რომ გასათხოვარი იყო, სწავლას გადაჰყვა და ოჯახს არ მოჰკიდა ხელი, თუმცა ბევრი მთხოვნელი ჰყავდა მოსკოვში, სადაც ფსიქოლოგის სპეციალობას დაეუფლა, რაიონში სამსახური ვერ მოინახა, თბილისში სამუშაოდ კი მშობლები არ უშვებდნენ...

თავმჯდომარემ თარჯიმანს სთხოვა, საიდას თუ გააგებინეო, რადგანაც, მან თავიდანვე მოითხოვა ყველა დეტალის აფხაზურად თარგმნა.

საიდა სანდროს თვალს არ აშორებდა, ბიჭის რეაქციას აკვირდებოდა.

განაგრძეთო, ბრძანა თავმჯდომარემ.

– შემდგომ რამდენჯერმე შევხვდი საიდას, ასარჩევად მივეცი ნახატები, თავის პორტრეტზე ზედმეტად შემაქო, ლამის გენიოსი მიწოდა. თავის ნახევრად ქართველობა ახსენა და ომს ბოროტება უწოდა, რაც, მისი აზრით, უთავო პოლიტიკოსების ბრალი იყო. მე პასუხის გაცემა დავიწყე, მაგრამ შემაწყვეტინა: არ გვინდა, დრო ისედაც ცოტა გვაქვს, ვინ იცის რომელ ჩვენთაგანს იპოვის ბრმა ან დამიზნებული ტყვიაო. სიტყვა „დამიზნებულმა" გამომაფხიზლა: ეჭვი კვლავ გამიღრმავდა, რომ გვანცა შეიძლება მოგზავნილი ყოფილიყო. ტუჩზე ვიკბინე. გულში გადავწყვიტე ომის დამთავრებამდე არ შევხვედროდი, თუმცა მის მიმართ გულგრილი არ ვიყავი, ბევრჯერ დამესიზმრა.

საომარი მდგომარეობა ჩვენთვის დღითიდღე უარესდებოდა, აღმოსავლეთის ფრონტი არ გვასვენებდა, კოჩარაში ტრაგედია დაატრიალეს, ტამიშში ბიჭები დაგვიხოცეს, ელექტრომატარებელზე თავდასხმები გაახშირეს, ოჩამჩირე და რაიონის რამდენიმე სოფელი დაბომბა რუსულმა ავიაციამ. ჩვენც დღე და ღამ ფრონტის ხაზზე ვიყავით; გვანცა თითქმის გადამავიწყდა.

მაინც, მოხდა ისე, რომ ერთ წვიმიან საღამოს გვანცას ქუჩაში გადავაწყდი, ზურგზე ხელის რბილი შეხებით მიმაბრუნა, მომიკითხა. მეც მოვიკითხე. გაცლას ვაპირებდი, მაგრამ ქუჩიდან გადასვლა მთხოვა და ერთი დიდი ხის უკან ორივე ხელით გულში ჩამიკრა, ლოყაზე იმგვარად მაკოცა, რომ აფხაზური ტრადიციების მიმდევარი ქალიშვილისთვის შეუფერებლად მომეჩვენა. ლუღლუღით მთხოვა: მე, ჩემმა მეგრელმა ბებიამ ხათუნა დამარქვა და ასე მომმართე, ხვალ კი ილორში წავიდეთ, რაღაც საიდუმლო უნდა გითხრა, რაც მხოლოდ მე და შენ შეგვეხებაო. მორცხვად დაამატა, სანამ აქ ხარ ცოტა აფხაზურიც ისწავლეო. რაღაცნაირი ირონიით შემომაპარა, თქვენ, რომ ცოტა აფხაზური გესწავლათ, იქნებ აქამდე არც მისულიყო საქმეო.

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, თქვა და გაიქცა, განცვიფრებული დამტოვა.

ქალის გაცნობის თაობაზე საღამოს ოცეულის უფროსს მოვახსენე. იგი დაფიქრდა და ნახევრად სერიოზულად მითხრა, კარგია, შენ ხომ მეუღლე არ გყავს, აფხაზეთში მასპინძელი გაგვიხდები, სანათესავო გვეყოლება, ომიც დამთავრდება და ყველაფერი ძველებურად იქნებაო, ამასთანავე მთხოვა შემდგომი შეხვედრებისგან თავის შეკავება.

– შემდგომში ამის დროც არ დამდგარა. სოფელ ლაბრიდან სერიოზული დარტყმა მოგვაყენეს, ბიჭები დაგვიხოცეს. სარდლობას ჰქონდა სხვა ინფორმაციაც, ამიტომ დავიწყეთ სამზადისი ლაბრის ასაღებად. გაგვაფრთხილეს, რომ მძიმე ბრძოლები გველოდა, შემტევი ნაწილს გამოცდილი მებრძოლები დაამატეს, რომელთა შორის მეც აღმოვჩნდი.

საღამოს, 20 საათისთვის, ლაბრას მივადექით. 200-300 მეტრით ვიყავით შესული სოფელში, როცა სოფლის სიღრმიდან თავს დაგვატეხეს ქვემეხების და ჯავშნიანი მანქანების ცეცხლი. უახლესი რუსული იარაღი ჰქონდათ, ჩემის აზრით, ღამის ხედვის მოწყობილებით. ჩაგვაწვინეს, თავის აწევა ნაღდი სიკვდილი იყო, სნაიპერებიც მუშაობდნენ, ბევრი დაგვიჭრეს.

ჩვენი სარდლობა მოვიდა მძიმე ტექნიკით. იძულებული გავხდით რამდენიმე ტანკიდან და ჰაუბიციდან დაგვერტყა სოფლისთვის, რასაც, როგორც წესი, არ ვაკეთებდით მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად.

სოფელი ცეცხლის ალში გაეხვია, იწვოდა სახლები, სამეურნეო ნაგებობანი. სიმაღლეებიდან სროლები შენელდა.

წინ წაწევა ვცადეთ. ახლო მანძილიდან გაგვიხსნეს ჯვარედინი ცეცხლი. ვიცოდით, რომ იქვე, ახლოს, ძველი აფხაზური სანგრები იყო. ოჩამჩირელი ბიჭები გაგვიძღვნენ. ცეცხლით ვიცავდით სანგრისკენ მიმავალთ. იქაც მტერი დაგვხვდა, მაგრამ ასეთი ძალით შეტევას არ მოელოდნენ და სანგრის ლაბირინთებში დაიფანტნენ.

დამაეჭვა, ჩვენგან წინ და მარჯვნივ, სიმინდის ნაყანარში, ჩალის შეკვრათა სიმრავლემ, რადგანაც მათ, როგორც მახსოვდა, ჩალა შემოდგომაზე დაკიდეს ხეებზე. ვივარაუდეთ, რომ ეს შენიღბული კოლექტიური და ინდივიდუალური საცეცხლე წერტილები იყო.

ქვემეხის გასროლის ნათებაზე გავარჩიეთ, რომ წინ კიდევ ორი ახლად გათხრილი სანგარი იყო, ამასთან პროფესიონალის მიერ მოხერხებულად შენიღბული და გამაგრებული.

ცეცხლის რკალში მოვხვდით.

მდგომარეობა გართულდა, ჩვენ ამისთვის მზად არ ვიყავით, დილამდე საქმის გადადება არ შეიძლებოდა.

ოცეულის უფროსი „ვაშას" ძახილით წამოდგა და წინ გაექანა. მოცელილი დაეცა, ჩალის შეკვრები არავის ჰპატიობდნენ თავის აწევას. და მაინც წავედით წინ...

აი, ომის ჟინიც, როცა აღარაფერზე ფიქრობ, სიკვდილი არ არსებობს და თუ არსებობს, თავად მიდიხარ მასთან შესახვედრად. მთელი ომის მანძილზე პირველად გამიელვა თავში, რომ ადამიანის თავმოყვარეობა და ღირსება ყველაზე ძლიერი ინსტინქტია, რომელიც ყველაზე მეტად თავს იჩენს ლამის გამოუვალ სიტუაციაში.

– ბატონო სანდრო, უფრო საქმისკენ, მოითხოვა პროკურორმა.

ყველასთვის მოულოდნელად, აფხაზურ ენაზე, ხმა ამოიღო საიდამ.

– ბატონო თავმჯდომარევ, ნება დართეთ დაასრულოს, თუ შეიძლება. მეც იქ ვიყავი, მაგრამ ოდნავ მოშორებით და ყველაფერი წვრილად მაინტერესებს, ეს ჩემთვის და საქმისთვის მეტად მნიშვნელოვანია!

აუჩქარებლად უთარგმნეს თავმჯდომარეს.

– განაგრძოსო, ბრძანა მან.

– შევცვივდით მეორე სანგარში. არ გველოდნენ, საქმე ხიშტებსა და დანებზე მივიდა. მკვდრებით და დაჭრილებით გაივსო სანგარი, სისხლის და ნამწვის სუნი იდგა ირგვლივ. ჩვენი შეჩერება არ შეიძლებოდა, რადგანაც მოწინააღმდეგე ძალებს გადააჯგუფებდა და მესამე სანგარში მოგვიწყობდა რევანშს. ჩვენც ძალზე შევთხელდით, ჩალის ძირებიდან სამი თუ ოთხი ავტომატი და ტყვიამფრქვევი შეუჩერებლად გვიშენდა ცეცხლს.

ჩვენს რიგებში ხმაური ატყდა, ჯაბა მოსულიყო თავისი რჩეული ბიჭებით.

მხედრიონელებს დიდხანს არ უფიქრიათ, უმალ შეაფასეს სიტუაცია, ჩვენი მორალური უპირატესობა და მოწინააღმდეგის ცეცხლის წვიმაში გადაუფრინეს ჩვენს სანგარს და მესამე სანგარში ჩაცვივდნენ.

ხოხვით გავწიეთ წინ, ჩალიდან, ბუჩქებიდან და ხეებიდან ღვარად მომავალი ტყვიებისგან ვიცავდით ერთმანეთს და მოკლე გადარბენებით ვძლევდით აღმართებს.

– და, აი საოცრება! შუაგულ მინდორში, ტყვიების სეტყვაში, სამი თუ ოთხი წლის ბიჭი, მხოლოდ პერანგით შემოსილი, მორბის და სასოწარკვეთილი ხმით ან-ნან-ას უხმობს.

ჩემში რაღაც გადაბრუნდა. მე ახლა სიცოცხლე მჭირდებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ ბიჭი გადამერჩინა გარდუვალი დაღუპვისგან. წამოვდექი და ბიჭისკენ გავწიე.

ბინდბუნდი ახლოს აფეთქებულმა ნაღმმა გაანათა და დღემდე ვერ გამირკვევია, მომეჩვენა თუ ნამდვილად ვნახე ბავშვისკენ მხოხავი ქალი, რომელიც უკვე ჩემზე ახლოს იყო ბიჭთან, მაგრამ უჭირდა გადაადგილება მუხლამდე ტალახში. მას სამხედრო ფორმა ეცვა, მაგრამ რატომღაც შარვლის გარეშე. ისიც შევნიშნე, რომ ბარძაყი გადახვეული ჰქონდა. ამ მოჩვენებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ბავშვი ხელში ავიყვანე და იმ სანგრისკენ გამოვქანდით, სადაც ნაკლები საფრთხე გველოდა.

მიწაზე დავჯექი, თბილი ქურქი გავიხადე და ბავშვი შევფუთე. ზურგი მთლად სველი მქონდა, ხელი მოვისვი, სისხლი, – დავჭრილვარ.

– ჩემი ბიჭი, ჩემი ედიკი, ჩემი ერთადერთი, ჩემი სიცოცხლე. ეს შენ ხარ, ეს შენ ხარ! აყვირდა საიდა აფხაზურად, ქართულად, რუსულად და იმდენ ხანს იყვირა, სანამ ხმა არ ჩაუწყდა.

– ან, აან! დედაა! – აყვირდა კობა, სკამიდან წამოიჭრა და გისოსებს მივარდა, საიდას გამოწვდილ ხელებში მოექცა, ქალთან ჩახუტებას ცდილობდა, გისოსებს ერკინებოდა, თავს ურტყამდა.

რამდენიმე წამში დამსწრე ქალბატონებმა ბავშვი საიდას მოაშორეს, მის დამშვიდებას შეუდგნენ.

დარბაზში ყველა ტიროდა, გარდა სანდროსი, რომელიც ამ საოცარ სანახაობას თითქოსდა გულგრილად, განწირულის თვალებით მიშტერებოდა.

თავმჯდომარემ შესვენება გამოაცხადა.

სანდრო ცხაურთან მივიდა, ოფიციალური სახელით ცივად მიესალმა საიდას და გაშორდა. მერე შეეცადა ბავშვის ხელში აყვანას, მაგრამ იგი არ დანებდა.

კობა ტიროდა, კოტრიალობდა, იატაკს კაწრავდა ფრჩხილებით.

რაფიელ გელანტია

საქართველოს ენერგეტიკა 1992-2010 წლები: დაუსჯელი დანაშაული

(ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო "დრო და სივრცე" სპეციალურად "საძინეფორმისათვის")
(დასაწყისი, "ილორი №100")

სს "საქრუსენერგოს"

მფლობელობაში შედის 500 კვტ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი", რომელიც აკავშირებს ჩვენი ქვეყნისა და რუსეთის ენერგოსისტემებს. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული "კავკასიონის" მართვა ხორციელდება სს "საქრუსენერგოს" მიერ. რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებული "კავკასიონის" ნაწილი დე იურე სს "საქრუსენერგოს" საკუთრებაა. დე ფაქტო კი იმართება რუსეთის მიერ ("რაო ეეს") რეალურად რუსეთის საკუთრებაა.
მიუხედავად იმისა, რომ 1995 წ. შეიქმნა სს "საქრუსენერგო", 1998 წლამდე რუსეთიდან საქართველოს მისამართით ელექტროენერგიის ექსპორტი არ განხორციელებულა, მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს განიცდიდა. იმ დროის სს "საქრუსენერგოს" ხელმძღვანელობა მიზეზად ასახელებდა "კავკასიონის" გაუმართაობას. გაკვირვებას იწვევს ის, რომ სს "საქრუსენერგოს" "კავკასიონის" ამუშავებისთვის თითქმის ოთხი წელიწადი დასჭირდა, რაც ადასტურებს, რომ სს "საქრუსენერგოს" შექმნასთან დაკავშირებით საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნები რუსეთის მხარემ უხეშად დაარღვია. ამის გამო საქართველოს ხელისუფლებას სრული უფლება ჰქონდა, მიეღო კანონიერი გადაწყვეტილება ამ საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე. მაგრამ ასე არ მოიქცა, რაც, სულ მცირე, გაკვირვებას იწვევს.
ზარალი კი დღემდე არ ანაზღაურებულა. მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ არ ჩათვალა საჭიროდ, აღეძრა სისხლის სამართლის საქმე "ვინგფილდი"-საქართველოს ურთიერთობის ფაქტთან დაკავშირებით და მხოლოდ ი. ქუტიძის მიმართ სადამსჯელო სანქციის გატარებით შემოიფარგლა. შექმნილ მდგომარეობაში საქართველოს ხელისუფლებამ (არც ე. შევარდნაძის და არც მ. სააკაშვილის ხელმძღვანელობით) არც ჩვენი ქვეყნის და არც საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს არ მიმართა, რითაც დაადასტურა, რომ ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება საქართველოს საწინააღმდეგოდ იცავდა რუსეთის ინტერესებს, რაც საერთაშორისო სამართლის საფუძველზე სამშობლოს ღალატის ტოლფასია...
აღსანიშნავია, რომ სს "საქრუსენერგო", პრაქტიკულად, თავის საწარმოში განხორციელებულ სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო თანხებს, როგორც წესი, სესხის სახით საქართველოს ბანკებისგან იღებდა, რომელსაც ყოველთვის ფარავდა თავისივე შემოსავლებით და ფინანსური დახმარების მიღების მიზნით არც ერთხელ არ მიუმართავს "რაო ეეს"-ისათვის.
ამჟამად სს "საქრუსენერგოს" დებიტორული დავალიანება აღემატება 60 მილიონ ლარს, რაც სინამდვილეში ხელოვნურად არის შექმნილი და, გარკვეულწილად, უკავშირდება საქართველოში ელექტროენერგოტარიფის მრავალჯერად ზრდას.
2007 წელს მ. სააკაშვილის ხელშეწყობით სს "საქრუსენერგოს" დებიტორული დავალიანება, ფაქტობრივად, ისევ ხელოვნურად გაზათილდა, როცა "საბითუმო ენერგობაზარი" მოყვა ლიკვიდაციაში და მისი დებიტორული დავალიანება გაურკვეველი ვადით იყო რესტრუქტურიზებული. რაც, საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე არ არის გამართლებული, და, შესაბამისად, მოქმედი სსსკ-ს მიხედვით წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულს, რამაც მიაყენა ქვეყანას აუნაზღაურებელი მატერიალური ზარალი.
2006 წელს მ. სააკაშვილის სახელისუფლებო გუნდის წევრმა - საქართველოს იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზ. ნოღაიდელმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით გასცა დასტური სს "საქრუსენერგოს" საწესდებო კაპიტალის სრულად შევსების შესახებ.
აღნიშნულს საფუძვლად დაუდო უცხოური აუდიტორული კომპანიის "დელოიტ ტუშის" მიერ სს "საქრუსენერგოში" ჩატარებული აუდიტორული შემოწმების დასკვნა.
"დელოიტ ტუშის" დასკვნის შესახებ ზ. ნოღაიდელს წერილობრივ აცნობა "რაო ეეს"-ის იმ დროის ერთ-ერთმა მაღალი რანგის ჩინოსანმა ვ. რაპოპორტმა, რომელიც იმ დროისათვის წარმოადგენდა სს "საქრუსენერგოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ.
აღნიშნულ დასკვნას საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან (ფინანსთა სამინისტროს მიერ) არ ჩაუტარდა საფინანსო-სამართლებრივი ექსპერტიზა, რაც, ჩვენი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, დაუშვებელია. ეს დასკვნა უნდა განეხილათ საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, რაც, ცხადია, არ მომხდარა.
ზ. ნოღაიდელმა ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო ერთპიროვნულად. უფრო მეტიც, მიღებულ გადაწყვეტილებაში მან ჩაწერა, რომ მის მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული და კანონიერი ეკონომიკური ინტერესები, ძალაუნებურად დაიცვა რუსეთის ინტერესები. მაგრამ სინამდვილეში ლაპარაკია საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების პირად კომფორტულ ინტერესებზე. გამოდის, რომ, როგორც კი საქმე შეეხება ფულსა და პირად გამორჩენას, საქართველოს ხელისუფლებისთვის რუსეთი აგრესორი და ოკუპანტი კი არა, ძმა და მეგობარია.

ქართულ ღირსება-ღირებულებებზე ორიენტირებული

ამ სათაურით გაზეთმა "სახალხო განათლებამ" (№1 (4.479), 26 იანვარი, 2011 წელი) გამოაქვეყნა პედაგოგიკის დოქტორის, ბატონ ბორის მიშველაძის წერილი, რომელიც გაზეთ "ილორს" ეძღვნება. დიდ მადლობას ვუხდით ესოდენი დაფასებისათვის ჩვენს კოლეგა-მეგობრებს, მკითხველებს კი სრულად ვთავაზობთ აღნიშნულ წერილს.

ბევრჯერ მინდოდა გაზეთ **"ილორის"** შესახებ აზრის გამოთქმა, ამისათვის მხოლოდ რაიმე საბაბს ველოდებოდი. და, აჰა, ისიც: რედაქციამ ახალ წელს მისი საიუბილეო, მე-100 ნომერი მიუძღვნა.
თავიდანვე ვიტყვი: დაფუძნების დღიდანვე მიიქცია **"ილორმა"** საზოგადოების ყურადღება. გაზეთი ხელმძღვანელობს ილიას ამოსავალი პრინციპებით: **"ენა, მამული, სარწმუნეობა"** და შეგონებით: **"ერის გათახსირება და გადაშენება მაშინ იწყება, როცა იგი ივიწყებს თავის წარსულს, თავის ისტორიას"**. მოკლედ, გაზეთს ქვეყნის წარსულზე, მის გამთლიანებაზე, ქართულ-ეროვნულ ღირსება-ღირებულებებზე სწორი გეზი აქვს აღებული. თუმცა ოპონენტები, იმის გამო, რომ გაზეთი ოპოზიციური შეფერილობისაა და სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ორგანოა, მას სეპარატისტული იდეოლოგიის რუპორად ნათლავენ. ეს კი მეტისმეტია, ემოციებზე დაფუძნებული მძიმე ბრალდებაა, სრულებით არ შეეფერება სიმართლეს. როგორც იტყვიან, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს. მკითხველო, მოგახსენებთ, ილორი სამეგრელოში არ მდებარეობს, იგი აფხაზეთშია, ოჩამჩირესთან ძალიან ახლოს. ამდენად, გაზეთს **"ილორი"** რომ ჰქვია, თავისთავად ნიშნავს და მოიცავს არა სამეგრელოს განცალკევების, არამედ ქვეყნის გამთლიანების, წართმეული აფხაზეთის მშობლიურ, ქართულ წიაღში დაბრუნების იდეას. სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოც"** საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების სიმბოლოა. ცოტნე დადიანის შთამომავლობა ისტორიას არ ახსოვს, რომ სეპარატისტი ყოფილიყო. მუდამ პირიქით იყო. ამას ილიას სიტყვებიც მოწმობს: **"სამეგრელოში ვიყავი და საქართველო ვიხილე"**-ო, რომ თქვა. შევარდნაძეც კი ამბობდა: **"სამეგრელო საქართველოს ხერხემალია"**-ო. მცდელობა, რომ სამეგრელო მოეგლიჯათ დედასაქართველოს მკერდიდან, ბევრჯერ ყოფილა და ახლაც არის, მაგრამ ამას განა მეგრელები აკეთებდნენ? ყველამ კარგად ვიცით, ვერაგულად ვინ ცდილობდა ამას. მართალია, ჩვენშიც იყო შეცდომები, მტრებისგან ინსპირირებული რადიკალური ლოზუნგები, რომელთაც, სამწუხაროდ, ნაჩქარევი, მოუზომავი რეაქცია მოჰყვა. ზოგიერთმა მეცნიერმა თავის გამოკვლევებში ქართული ენის გენეზისის საკითხზე მეგრულს რადაც პრიმატი მიანიჭა, თითქოს იგი უფრო ადრინდელი წარმოშობისა არისო, მაგრამ ეს იყო ჩვეულებრივი მეცნიერული დისკუსია. მეცნიერებმა დიახაც უნდა იდაონ, იკვლიონ, ჭეშმარიტება დაადგინონ, ჰიპოტეზები და დასკვნები არ უნდა გადაიზარდოს მტრის ხატის შექმნაში. დიდი ხნის აქსიომაა: ქართული, მეგრული და სვანური ერთიანი ქართული ენის სამი თანასწორუფლებიანი განშტოებაა. როგორც გრიშაშვილი იტყოდა, **"ეს ერთი ვაზის სამი მტევანი ძმურ მარანშია დაკიდებული"**. ჰოდა, ერთი ძმის პირველობა თუ რამეში აისახა, ეს მეორეს ან მესამეს რატომ უნდა წყინდეს? ეს ენები ხომ ერთმანეთს ამდიდრებენ და ერთიან, ძლიერ სამწერლო მდინარედ მიედინებიან? საერთოდ სისულელეა ერთი ენის მეორესთან შედარებით რაიმე უპირატესობაზე სიტყვის დაძვრაც კი. ყველას გვახსოვს სამწუხარო ინციდენტი. ერთმა რუსთაველზე თავდავიწყებით შეყვარებულმა პოეტური ბუნების კაცმა გადმოამეგრულა **"ვეფხისტყაოსანი"**. ატყდა, მაგრამ რა ამბავი ატყდა: **"აი, მეგრული სეპარატიზმი! აი, როგორ დაამახინჯეს ქართული ენა!"** – იკივლა ჩირგვში შემძვრალმა აგენტმა. საუბედუროდ, მაშინ კონიუნქტურის ანკესზე ადვილად წამოეგო ყველასათვის საყვარელი პოეტი მურმან ლებანიძე, რომელმაც, პირდაპირ ვთქვათ, დაამცირა მეგრული ენა. ერთ მოზრდილ ლექსში, რომელიც **"ლიტერატურულ საქართველოში"** დაიბეჭდა, მას **"მიჯღარკულ-მოჯღარკული"** უწოდა. ენის დამცირება ხომ ამ **"მიჯღარკულ-მოჯღარკულ"** ენაზე მოსაუბრე ერის ლანძღვაა. დღესაც ვერ გამიგია, რა მიზანს ემსახურებოდა პოეტის შემდეგი სიტყვები: **"მტკვართან ენგურს ხმა არ ამოეღებაო"**.
სამწუხაროდ, ეს განწყობილება მეტ-ნაკლები ინერციით დღესაც გრძელდება. როცა რომელიმე კუთხის წარსულის, ტრადიციების, ფოლკლორის, პოეზიის, თვალმარგალიტი ხელოვნების წარმოჩინება ხდება, იწერება მასზე მეცნიერული სტატიები, გამოიცემა წიგნებად და ა.შ. მყისვე მზად არის იარლიყები: **"სეპარატიზმია!", "გამოყოფა უნდათ!"** ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კულტურული ავტონომია ვინმეს აკრძალული აქვს? ამ ლოგიკას რომ გავყვეთ, პროფესორი სერგი მაკალათია სეპარატისტი ყოფილა: მან ხომ დიდებული წიგნი **"სამეგრელოს ისტორია"** დაგვიწერა. ვერც ვაჟა-ფშაველა გადურჩება საყვედურს, რადგანაც ყველა ლექსი და პოემა მას ფშავურ კილოზე აქვს გაწყობილი. ნამდვილად იყო ასეთი ვითარება მაშინ. გაიხსენეთ ვაჟას **"დაგვიანებული პასუხი აკაკის"**. ყველა ქართველის გასაგონად აქვე მინდა მოვიტანო სტრიქონები ამ ლექსიდან: **"გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა, მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ, თუა ქართველის გვარისა"**. მსჯელობიდან გამომდინარე, იგივე ითქმის შარშანწინ გამოცემულ, მეცნიერულ და მხატვრულ დონეზე სრულყოფილ, უზადო გემოვნებით დაწერილ ღრმად ერუდირებული მეცნიერ-მკვლევარის გივი ბოჯგუას წიგნზე: **"მეგრული ხალხური პოეზია – 100 ლექსი"** და შესანიშნავი მწერლის, პედაგოგის მირიან ჯალაღონიას წიგნებზე: **"სათემო საგვარეულო-საოჯახო სალოცავები სამეგრელოსა და აფხაზეთში", "მეგრული ხალხური პოეზია"...**
დღეს ოპონენტების რისხვა აქვთ დატეხილი მათ, ვინც ფიქრობს, რომ დაწყებით კლასებში შემოვიღოთ (ეს არ არის ახალი იდეა) მეგრული და სვანური ენების სწავლება, თუნდაც ერთ კვირაში 1 გაკვეთილის რაოდენობით. ამით რა დაშავდება? პირიქით, შევასწავლით, შევაყვარებთ მოზარდ თაობას ლექსიკურად უფრო გამდიდრებულ, მოქნილ მშობლიურ ტკბილქართულს, **"სიყვარულის, ძმობის და ღმერთების ენას"**. თუ ვინმე ჯიუტად მაინც სეპარატისტულ განწყობილებას დაგვაბრალებს, პასუხი ასეთი იქნება: თუკი სრულიად უცხოური ენების პირველი კლასიდან სწავლებისათვის ძალისხმევას არ ვიშურებთ და მას სავალდებულოდ ვუხდით პატარებს, თავისი ტკბილმშობლიური დედაქართულის – მეგრულ-სვანურის სწავლება რატომ არ შეიძლება?
ქართველებო და არაქართველებო, ჩვენი ქვეყნის მკვიდრნო, თუ მართლა გიყვართ საქართველო, ამაღლდით საკუთარ ამბიციებზე, შეეშვით კინკლაობას, რადგანაც ეს ყოველივე მტრების გულს ახარებს, რა გვინდა, რას ვერჩით ერთმანეთს? პოზიციას და ოპოზიციას თანაბრად ეკუთვნის ეს ქვეყანა. მტერი ჩვენს წაკიდებას ცდილობს, თავად ბუჩქებში იმალება და როგორც ქართულ ზღაპარშია ნათქვამი, ჩვენი სიბრიყვის შემყურე მელიასავით **"იცინის, იცინის, კვდება სიცილითა"**.
შერიგდით და ერთად იბრძოლეთ წართმეულის დასაბრუნებლად!
ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა ერუდირებულ ფილოსოფოს, პოლიტოლოგ, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიაზე. **"პოზიციელებს"** იმიტომ ეჩვენებათ იგი სეპარატისტად, რომ თურმე **"ოპოზიციონერია"**. ოჩამჩირელ, აფხაზებთან გაზრდილ კაცს სეპარატისტობა რომ ნდომებოდა, ვინ დაუშლიდა? დიდი სიხარულით მიიღებდნენ მას აფხაზები, ჩაწერდნენ კიდეც აფხაზად და დევნილობაში არ იცხოვრებდა. ამ სიტყვების ავტორი კი ბევრ გააფხაზებულ წერეთელს, ლორთქიფანიძეს, გეგეჭკორს... იცნობს, რომელთაც ქართველობას ზურგი აქციეს.
ისევ გავიმეორებ სტატიის დასაწყისში ნათქვამს: მიმაჩნია, რომ გაზეთი **"ილორი"** სწორი გზით მიდის, ქვეყნის გამთლიანების, დამოუკიდებლობის, ქართული ღირსება-ღირებულებებისკენ არის ორიენტირებული და შემართული. ასეთი გაზეთის სულისჩამდგმელი-ორგანიზატორები არიან გამობრძმედილი ჟურნალისტები: **როლანდ ჯალაღანია** (რედაქტორი), **დავით ქობალია** (მოადგილე), **მიხეილ ჩოდრიშვილი** (ტექრედაქტორი), **ზურაბ ქობალია** (მენეჯერი).
მარტო ის რად ღირს, რომ გაზეთს თანამშრომლებად ჟურნალისტების, მეცნიერების, მწერლების შესანიშნავი პლეადა და მკითხველთა ფართო წრე ჰყავს შემოკრებილი. შემოქმედებით ჯგუფს ვულოცავთ ახალ წელს და წარმატებული გზით სიარულს ვუსურვებთ საქართველოს საკეთილდღეოდ!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ქართველები საქართველოდან გარბიან!

იყო დრო, როდესაც საქართველოს პატარა მოქალაქეები მგზნებარედ წარმოსთქვამდნენ რაფიელ ერისთავის საქვეყნოდ გავრცელებული ლექსის მშვენიერ სტრიქონებს. შემდეგ მათი მთელი ცხოვრების განმავლობაში სიტყვასიტყვით ახსოვდათ **"სამშობლო ხევსურისა"**, ქართული პატრიოტიზმის პოეტური საგალობელი, მამულის განიმეორებლობისა და მისი ჯიუტი ერთგულების გამომხატველი რაინდული კოდექსი – **"არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!.."**

საოცარია, შორეულ მეცხრამეტე საუკუნეში პოეტმა შეუცდარი ალღოთი განჭვრიტა მოსალოდნელი რყევები და შთამომავლობას თვითგადარჩენისა და ქართველად დარჩენის ერთადერთი უტყუარი და საიმედო გზა აჩვენა. **"არ გავცვლი!" – აი, ჩვენი მეობის შენახვისა და შენარჩუნების მართლაც ყველაზე ზუსტი ფორმულა!**

დღეს ეს ფორმულა ერთბაშად დაივიწყა დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა... გახედეთ: თითქმის მთელი საქართველო აყრილა და გასაქცევად გამზადებულა!

ბევრმა უკვე მოახერხა და უცხოეთში ჰპოვა თავშესაფარი; მათმა რაოდენობამ, როგორც სხვადასხვა არხები იუწყებიან, კარგა ხანია მილიონს გადააჭარბა.

ბევრი ჯერ ისევ დაეძებს აღთქმულ ქვეყანას, დაეძებს მონდომებითა და გაფაციცებით, დედამიწის ყველა კუთხეში, ხუთივე კონტინენტზე... ჩვენი თვისტომი დღეს შორეულ ავსტრალიაშიც დასახლდა, იქაურ ფერმერთა სამსახურში ჩადგა და სულს ძლივს ითქვამს, თან გარემოს ზვერავს და ახალი ნახტომისათვის ემზადება.

მოკლედ, ქართველები საქართველოდან გარბიან!

ასეთი ფართომასშტაბიანი მიგრაციული პროცესი ნამდვილად არ ახსოვს ჩვენს ისტორიას. არც დიდი თურქობის დროს, არც ლეკიანობისა და არც შიშიანობის პერიოდში **ქართველებს ასე მონდომებით სამშობლოსათვის ზურგი არასოდეს შეუქცევიათ!**

ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ მტრის შემოსევისას, მთებსა და გამოქვაბულებში შეხიზნულ ჩვენს წინაპრებზე, რომლებიც განსაცვიფრებელ ურთიერთთანადგომასა და სოლიდარობას ამჟღავნებდნენ. მსგავს სიტუაციებში განსაკუთრებით ბერ-მონაზვნები და სამღვდელო პირები აქტიურობდნენ, ეკლესია-მონასტრები კი მიუვალ ციხე-სიმაგრეებად იქცეოდნენ და საიმედოდ უზრუნველყოფდნენ ხიზანთა უსაფრთხოებას.

დღეს ქართველს ქართველი აღარ ეიმედება! ქრისტიანულ სათნოებას მოკლებული საზოგადოება ცივი გულგრილობით შეჰყურებს მოძმეთა უმძიმეს ყოფას და მარტოოდენ კერძო, კორპორაციული ინტერესებით აგრძელებს ცხოვრებას. ამას ემატება მრავალრიცხოვანი გადაუჭრელი პრობლემა, რომელიც ძალასა და ენერგიას აცლის ადამიანებს. **მატერიალური სიდუხჭირე კიდევ უფრო აჩქარებს პიროვნების სულიერი დეგრადაციის პროცესს.** ასეთი პიროვნება კი სულ უფრო ემსგავსება ნიკო ლორთქიფანიძის ცნობილი მინიატურის (**"ტრაგედია უგმიროდ"**) პერსონაჟს, რომელშიც სიდუხჭირის გამო იმდენადაა ჩამკვდარი სულიერება, რომ მთელი არსებით ვიტალური მოთხოვნილების მონად არის ქცეული.

სწორედ ამის შედეგია ქალაქების ქუჩებსა და მოედნებს მოდებული მზრუნველობასმოკლებული ბავშვები, მიტოვებული მოხუცები და მათი სიბერის საქვეყნოდ დაყვედრებული ლუკმა უფასო სასადილოში...

დიახ! ქართველები საქართველოდან გარბიან! ამ თავზარდამცემი სურათის შემყურეს შეუძლებელია თვალწინ ცრემლიანი ოთარაანთ ქვრივი არ წარმოგვიდგეს და მისი გულისმომკვლელი სიტყვები არ გაგვახსენდეს: **"ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც კი არ იჭერს, სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიან..."**

ქართველი ჩვეულებრივად კი არ მიემგზავრება, არამედ უკანმოუხედავად გარბის; ჩქარობს, წვალობს, ნემსის ყუნწში ძვრება, ოღონდ კი აქედან გააღწიოს. **უცხოეთში დასარჩენად საჭირო ვერსიების შეთხზვაში ხომ ბადალი არ ჰქვავს. ამ მხრივ მისი შესაძლებლობები არაფრით ჩამოუვარდება ბელეტრისტის ფანტაზიებს.** არადა, როგორც საქართველოს ხელისუფალნი დღენიადაგ ამაყად გვიცხადებენ, ქვეყანაში შესაშური სტაბილურობა და სამართლიანობა სუფევს. თურმე, ნუ იტყვით და, ჩვენი წარმატებები თვით მოწინავე სახელმწიფოთა აღტაცებებსაც კი იწვევს. მრავალი მაჩვენებლით მსოფლიოში პირველებიც ვყოფილვართ და ა.შ. (ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის თაობაზე, რომ ტაშ-ფანდურას გადაყოლილი სააკაშვილის **"ჯიბის ტელევიზიები"** გულმოდგინედ მალავენ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, **"ვარდოვანთა"** მიერ ფართოდ რეკლამირებული **"ქართული ეკონომიკური სასწაული"**, არც მეტი – არც ნაკლები, უნიჭო და ავანტურისტული ბლეფი გახლავთ, რადგან **"მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის"** მიერ მომზადებული ავტორიტეტული ანგარიშით, 2010 წლის ეკონომიკური შედეგებით საქართველო 139 ქვეყანას შორის სამარცხვინო 93-ე ადგილზე გავიდა – **"ილორი"**).

მუდამ თანაბრად **"ამაყი და ბედნიერი"** პრეზიდენტი, სპიკერი და პრემიერი ურცხვად ცრუობენ, როდესაც შელამაზებულად წარმოსახავენ არსებულ უმძიმეს მდგომარეობას. ბატონი სააკაშვილი გამუდმებით ცდილობს საზოგადოების დარწმუნებას, რომ ჩვენში მიგრაციული პროცესი საგრძნობლად შესუსტებულია და თითქოს ახლა უკვე უცხოეთიდან შინ მოიჩქარიან ჩვენი ემიგრანტები.

მსგავსი სიცრუის მიღმა გაცილებით სახიფათო პერსპექტივები იმალება, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ. დაინტერესებული მკითხველისათვის, ალბათ ცნობილია გაეროს შესაბამისი სამსახურის მიერ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად გაკეთებული ფრიად შემაშფოთებელი დასკვნები, სადაც ქართველი ერი აღიარებულია როგორც დემოგრაფიულად მომაკვდავი ერი. **ეს იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ორმოცდაათ წელიწადში დედამიწაზე ჩვენი, როგორც ეთნიკური ერთეულის არსებობაც კი ეჭვის ქვეშ დადგება.**

ასეთ ვითარებაში დანაშაულის ტოლფასია ხელისუფლების მოქმედება, რომელშიც საერთოდ არაა გათვალისწინებული უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემები. უფრო მეტიც: ხელისუფლების ცინიზმი ბოლო დროს იქამდეც მივიდა, რომ მან 26 მაისს თბილისში ოფიციალურად მოიწვია შოუბიზნესის მეორეხარისხოვანი წარმომადგენელი – ჯენიფერ ლოპესი, ვისთვისაც ჰონორარის სახით ნახევარი მილიონი უნდა გადაეხადათ.

მსგავსი მასკარადი არაერთხელ მოუწყვია პიარკამპანიით სიგიჟემდე გატაცებულ ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც ასეთ დროს რატომღაც მუდამ ავიწყდება, რომ **ქართველი ერის წინაშე დღეს გაცილებით სერიოზული ამოცანები დგას, ვიდრე ყავლგასული მოდელებისათვის ფულის დარიგებაა...**

ქართველი ერის დღეს დიდი საფრთხის წინაშე დგას! მისი ერთი ნაწილი, საკმაოდ ენერგიული, აქტიური და უნარიანი მილიონნახევარი ქართველი უცხოეთში დამკვიდრდა და როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, მათგან მხოლოდ უმცირესობა აპირებს უკან დაბრუნებას.

მეორე ნაწილი კი შინაემიგრანტის დამამცირებელ მდგომარეობაში იმყოფება და სახელმწიფოსაგან მინიმალურ მზრუნველობას მოკლებულს, თვალი ბაძცევაზე უჭირავს.

იმის გაფიქრებაც კი შემაძრწუნებელია, რომ მალე პარლამენტი გვარების შეცვლის კანონს მიიღებს, რაც მექანიკურად ეროვნების შეცვლასაც გამოიწვევს.

ეს კი სრული კატასტროფის მომასწავებელი იქნება! ქართულმა საზოგადოებამ ასეთი რამ არ უნდა დაუშვას. **დამშვიდების უფლება მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა ქართველები საქართველოდან აღარ გაიქცევიან და კვლავ ქართველთა სამშობლო გახდება.**

თემურ ძორიძე,
ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის" მთავარი რედაქტორი

„ქორთიარდ მარიოტში" საფრანგეთის მოქალაქე მოკლეს

დღეს, გამთენიისას, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის" მე-3 სართულზე, თავის ნომერში, საფრანგეთის მოქალაქე სტეფან კოხენი მოკლეს. სტეფან კოხენი ფრანგულ კომპანია **„სისტრაში"** მუშაობდა. ის თბილისში რამდენიმე დღის წინათ ჩამოვიდა და თბილისის მერიასთან ერთად ახორციელებდა სატრანსპორტო მარშრუტების რეგულაციის პროექტს. ამ პროექტს მთლიანად ფრანგული კომპანია აფინანსებდა.
პროექტის პრეზენტაცია 24 **იანვარს „ქორთიარდ მარიოტში"** გაიმართა. ღონისძიებას სტეფან კოხენიც ესწრებოდა, რაც **„pali-tratv"**-ის ვიდეომასალაშიც არის დაფიქსირებული.

აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება სსსკ–ის 108-ე, მკვლელობის მუხლით დაიწყო. ამჯერად გარდაცვლილის ცხედრი ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი. სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის" დაცვის სამსახურმა უკვე კომენტარი გააკეთა. **„ჩვენ ვადასტურებთ, რომ სასტუმროში, ერთ-ერთ ოთახში, მართლაც მოხდა სამწუხარო ინციდენტი ჩვენს ერთ-ერთ სტუმარსა და მის პირად სტუმარს შორის. თუმცა, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენი შინაგანაწესის მიხედვით, სასტუმროს ოთახში უცხო პირი იქ მცხოვრები პიროვნების ნებართვის გარეშე და ვერ მოხვდება",** - განაცხადა დაცვის სამსახურის უფროსმა ზაზა კვარაცხელიამ. სასტუმროს ადმინისტრაცია სხვა დამატებითი დეტალების დაზუსტებისაგან და კომენტარებისგან თავს იკავებს.

გამოძიების ერთ–ერთი ვერსიით მკვლელი, ინციდენტის შემდეგ, სავარაუდოდ, **„ქორთიარდ მარიოტის"** ცენტრალური გასასვლელიდან არ გასულა. სავარაუდოდ, მკვლელი სასტუმროს უკანა ეზოში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულიდან გ. ლეონიძის ქუჩაზე უნდა გასულიყო. აღნიშნულის საფუძველს ის გარემოება იძლევა, რომ სასტუმროს უკანა ეზოში მდებარე კორპუსის მეორე სართულის აივანზე, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ზეწარი იპოვეს, რომლის მეშვეობითაც მკვლელი, სავარაუდოდ, შენობიდან უნდა ჩასულიყო.

გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელი მსხვერპლს კარგად იცნობდა. როგორც სასტუმროს ადმინისტრაციაში აცხადებენ, მკვლელობის შესახებ მალევე შეიტყვეს, რადგან ოთახიდან, სადაც მკვლელობა მოხდა, ხმაური გამოდიოდა, რის გამოც შეწუხდნენ მეზობელი ნომრის სტუმრები და სწორედ მათ აცნობეს ამის შესახებ ადმინისტრაციას.
სამართალდამცავებმა ამოიღეს ის ვიდეოც, რომელშიც ჩანს, თუ ვისთან ერთად ავიდა გარდაცვლილი საკუთარ ნომერში. მათ უკვე იციან, თუ როგორ გამოიყურება ეჭვმიტანილი, თუმცა ჯერჯერობით იგი დაკავებული არაა.

პრეზიდენტ სააკაშვილის ტელეხიდი: რომელ შეკითხვებს არ გაეცა პასუხი...

გუშინ, 25 იანვარს, პრეზიდენტი სააკაშვილი რიგით მეორე ტელეხიდის დროს, რომელსაც საქართველოს ძირითადი ტელევიზიები გადასცემდნენ, საქართველოს მოსახლეობის კითხვებს თითქმის სამი საათის განმავლობაში პასუხობდა.

პროექტი სახელწოდებით **„პრეზიდენტი პასუხობს შეკითხვებს"** თბილისის ტელესტუდიიდან გადმოიცემოდა. გადაცემას ორი წამყვანი ჰყავდა და აუდიტორიაში დამსწრე საზოგადოებაც შერჩეული. ჟურნალისტების ჯგუფი ცალკე სტუდიაში იყო მიწვეული. ტელეხიდის დროს პრეზიდენტისათვის კითხვების დასმა მოსახლეობას ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის მეშვეობითაც შეეძლო, ხორციელდებოდა პირდაპირი ჩართვები რაიონებიდან.

ტელეხიდის ორგანიზატორი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის რუსულენოვანი პირველი საინფორმაციო კავკასიური არხი (PIK), რომელმაც სატელიტური მაუწყებლობა იმ დღეს განაახლა.

მიუხედავად ამისა, სააკაშვილმა ზოგიერთ შეკითხვას პასუხი მაინც ვერ გასცა.

"თავისუფალ დემოკრატებს" პრეზიდენტისგან სურდათ პასუხის მიღება მათ მიერ დასმულ ხუთ კითხვაზე, რომლებიც ძირითადად, სოციალურ და ადამიანის უფლებათა თემატიკას ეხებოდა.

კერძოდ, შეახსენა რა პარტიამ მიხეილ სააკაშვილს პენსიის 100 აშშ დოლარამდე გაზრდის სამი წლის წინანდელი წინასაარჩევნო დანაპირები, მოსთხოვა კონკრეტული პასუხი, თუ როდის მოვა შესაბამისობაში პენსიების ოდენობა საარსებო მინიმუმთან ან თუნდაც ინფლაციის პროცესთან და რატომ იზრდება ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლები. ასევე, რაში იხარჯება სარეზერვო ფონდები? როდის დაინტერესდება პრეზიდენტი საქართველოში არსებული **„უამრავი უკანონო პატიმრის"** ბედით? ვინ უნდა აგოს პასუხი **„დევნილთა დევნაზე"** და **„კანონისა და ევროპული სასამართლოს მითითებების დარღვევით"** მათ გამოსახლებაზე?

შეეხნენ ვეტერანების პრობლემებსაც: **"რა არ მოგეწონათ, როდესაც გმირთა მოედანზე ჩაიარეთ და ვეტერანთა კანონიერი აქცია დაინახეთ? ეკადრება თუ არა მთავარსარდალს, გასცეს ბრძანება კანონიერი პროტესტის გამომხატველი საკუთარი ჯარისკაცის დარბევის შესახებ?"** – ეკითხებოდენ **„თავისუფალი დემოკრატები"** პრეზიდენტს.

დევნილთა პრობლემებსა და ანტიინფლაციურ გეგმებზე აინტერესებდათ ასევე პრეზიდენტის პასუხები **,,ახალ მემარჯვენეებს".**

"მემარჯვენეები" ასევე იმედს გამოთქვამდენ, რომ სააკაშვილი 2013 წელს, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ, შეცვლილი კონსტიტუციის ფარგლებში უმაღლესი თანამდებობის დაკავებას აღარ დააპირებს, თუმცა ეკითხებოდენ: **„ორი ვადის ამოწურვის შემდეგ რამდენ მილიარდიანი ვალი დარჩება საქართველოს და შეუქმნის თუ არა ეს საფრთხეს ქვეყნის ფინანსურ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს?".**

თავიანთ მეოთხე შეკითხვაში ახალი მემარჯვენეები პრეზიდენტს **„ქამრების შემოჭერის"** დეკლარირებულ პოლიტიკას ახსენებდნენ და ეკითხებოდნენ: **„რატომ არ ასრულებთ საკუთარ დაპირებას, რომ არც საკუთარ თავს და არც მაღალჩინოსნებს არ მისცემდით უფლებას, ხალხზე უკეთ ეცხოვრათ და მუდმივად გააკონტროლებდით მათ შემოსავლებს„?**

პარტია ასევე ითხოვდა, რომ პრეზიდენტმა ტელეხიდის ფორმატში საჯაროდ უარყოს ინფორმაცია, რომ აპირებს **„ბოინგ 787–ის" ყიდვას, რომლის ყველაზე იაფი მოდელის ფასი 150 მლნ ამერიკული დოლარია".**

ლეიბორისტულ პარტიის ერთადერთი შეკითხვა პრეზიდენტისადმი მის გადადგომას შეეხებოდა.

„დღეს ჩვენი სამშობლოს უბოროტესი მტერი, პრეზიდენტად თვითწოდებული, ხალხის შიმშილობით გამამღარი არსება საკუთარი ტელევიზიებიდან აწყობს მორიგ ფარსს, სახელწოდებით ,,კითხვა-პასუხი'' და ამ დროს სრულიად საქართველოს სააკაშვილთან აქვს ერთადერთი კითხვა – ამდენი ნგრევის, დაშლის, სისხლის შემდეგ როდის გადადგება უკანონოდ მიტაცებული თანამდებობიდან, ანუ გასაგები ენით თუ ვიტყვით, როდის წაეთრევა პრეზიდენტობიდან,"– განაცხადა შალვა ნათელაშვილმა იმავე დღეს გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

პირველყოფილი ცოდო ქართველი ერის ისტორიისა“, თუ მაღლი უკვდავებისა?

იყო დრო, როცა მეტყველებაში გრამატიკული საფიქსაციო საშუალებები არ არსებობდა. მაშინ ყველა სიტყვა დამოუკიდებელი იყო. თ. გამყრელიძისა და სხვათა „ენთამეცნიერების თეორიულ კურსში“ მოყვანილია დამოუკიდებელ სიტყვათა (ცხვარი, მთა, კალთა, შეფენა) შემადგენლობით წარმოდგენილი წინადადების თანამედროვე ენით გადმოცემის მაგალითი: ცხვარი მთის კალთებზე შეფენილიყო.

მსგავსად ამისა, წერილში „იბერიული მისასალმებელი სიტყვები და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა“ გავარკვიეთ ჩვენი მისასალმებელი სიტყვების „გამარჯობა“ - „გაგიმარჯოს“ თავდაპირველი მნიშვნელობა და ჩამოყალიბების გზა [გ,, მ,, რჯ,, „ ,ოფა (იგე, მე რჯა, ქმნაობა) = იგეს (მოიგეს) მეს გარჯით ქმნაობა, ანუ **სარგებლის მეს გარჯით ქმნაობა)** ამ არქაული ფორმის გ,, მ,, რჯ,, „ ,ოფა გახმოვანებითა და ფონეტიკური ცვლილებების გავლით მივიღეთ მისასალმებელი სიტყვა გამარჯობა (გ,, მ,, რჯ,, „ ,ოფა —- გამარჯ„ოფა —- გამარჯოფა —- გამარჯობა)].

ასევე, გ,, გ,, მ,, რჯ,, ორდას (იგე, იგე, მე, რჯა, იყოს) = იგე, იგე, (მოიგე, მოიგე) მეს გარჯით იყოს) ანუ **მოგება, მოგება, მეს გარჯით იყოს** ჩამოყალიბდა სიტყვა **გაგიმარჯოს**. [გ,, გ,, მ,, რჯ,, ორდას —- გაგიმარჯო (რდა)ს —- გაგიმარჯოს]. ამ მისასალმებელ სიტყვათა კომპოზიტში „ოფა“ და „ორდას“ უფრო გვიან უნდა იყოს დამატებული.

აღნიშნული მისასალმებელი სიტყვები საზოგადოებაში, ჩვენი აზრით, დაინერგა ადამის ეპოქიდან, როცა ველურმა ცხოველებმა ადამმა და ევამ, რომლებიც ვერ აცნობიერებდნენ თავიანთ სიშიშვლეს, შეიცნეს (შეჭამეს) სიკეთისა და ბოროტების არსი (სიკეთისა და ბოროტების ცნობადი ხის ნაყოფი), დაგმეს უშრომლად სარგებლის მიღება, რომელსაც ადრე ბუნებისგან ღებულობდნენ და ხშირად ერთმანეთსაც ართმევდნენ, შეიძლება, ხოცავდნენ კიდეც ერთმანეთს და როცა მიხვდნენ გადაშენების საფრთხე ემუქრებოდათ, შეთანხმდნენ, რომ სარგებლის მომპოვებლის ნებართვის გარეშე არ მიკარებოდნენ სხვის მონაპოვარს და თვითონ გარჯილიყვნენ სარგებლის მოპოვებისათვის. ეს იყო ღვთიური სულის გაღვიძება ადამიანში. ბიბლიის მიხედვით, თითქოსდა, ღმერთმა დასწყევლა ადამი ღვთიური ნების დარღვევისათვის: „პიროფლიანი ჭამდე პურს სანამ მიწად მიიქცეოდეო“. ეს სიტყვები, სინამდვილეში, ადამს მისმა შინაგანმა ღმერთმა – საკუთარმა ჭეშმარიტმა „მე“-მ უთხრა. სწორედ, ამ ღვთაებრივმა აზრმა აქცია ველური ცხოველი ადამიანად.

აღნიშნული მისასალმებელი სიტყვები გარკვევით მიუთითებს უძველეს ხანაში წინაპართა ამაღლებულ სულიერ – ზნეობრივ დონეზე, მათს სწრაფვაზე პროგრესიული წესის დამკვიდრებისაკენ; ამ სიტყვებში ნათლად ჩანს თუ რა დონეზე ჰქონდათ გაცნობიერებული პატიოსანი შრომის საფუძველზე სარგებლის ღირსეულად, მხოლოდ დამსახურების შესაბამისად მიღების რაციონალიზმი ადამიანის და საზოგადოების სულიერ – ზნეობრივი დონის სრულყოფისათვის.

ცხოვრების ასეთი წესის დამკვიდრება (გარჯით, საკუთარი ენერგიის ხარჯვით სარგებლის მიღება, **ანუ გაცემა მიღებისათვის**) ტრიუმფალური ნახტომი იყო კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, რამაც ველური ორფეხა ცხოველი ადამიანად აქცია. ცხოვრების ასეთმა წესმა საკმაოდ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურ ადმავლობას, რასაც ფართო გავრცელება უნდა ეპოვა და ჰპოვა კიდეც: „იბერიული ცივილიზაცია ვრცელდებოდა პირინეიდან ინდოეთამდე“ (ვილჰელმ ჰუმბოლტი). ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი გამოკვლევებით ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში გამოვლენილია ქართველური ენების ლექსიკასთან იდენტური 5000-მდე სიტყვა (ფურნეე, რისმაგ გორდეზიანი, ვლადიმერ ალფენიძე და სხვა). ამასთან, ცნობილია, რომ ჩვენს უძველეს წინაპრებს ჰქონდათ „აყვავებული კულტურა“ (ნიკო მარი). უეჭველია, შესაბამისად ჰქონდათ იმდროინდელი დონისათვის ბედნიერი ცხოვრებაც და წარმოუდგენელია აღნიშნული ცხოვრების წესის მქონე საზოგადოება მოშვებულიყო, უთავბოლო ჰედონიზმს მისცემოდა და გარდაუვალი დაცემა ვერ გაეთვალისწინებინა. არადა, ფაქტია, რომ ერთ დროს უმაღლეს კულტურასა და განვითარებას ნაზიარები ერი დაახლოებით 5000 წელია, რაც, ეპიზოდური გამობრწყინებების გარდა, მუდმივ დეკადანსს განიცდის და, უკვე, ისე სამარცხვინოდ დაეცა, რომ ცხოვრების ველურ დონეს დაუბრუნდა: ჩვენი საზოგადოება გათითოკაცდა და უდიდესი უმრავლესობა ცხოვრობს მხოლოდ **მიღებისათვის** (**მიღება ჩემთვის** ველურთა ცხოვრების წესია).

ცხადია, უმიზეზოდ არაფერი ხდება, ეს მიზეზ-შედეგობრიობის უცვლელი, თანაც, შეუვალი კანონია და ქართველი ერის დღევანდელ მძიმე ავადმყოფურ მდგომარეობას, უეჭველია, თავისი მიზეზი აქვს. თუ ვერ გავიაზრეთ წინაპართათვის უხსოვარი დროიდან შეყრილი ამ სენის გამომწვევი მიზეზი, ჩვენი აღდგომა გამორიცხულია.

იქნებ მე ვარ ავად და მეჩვენება მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ქვეყნის ეკონომიკური და სულიერ-ზნეობრივი დაცემა, თორემ, როგორც ჩვენი პრეზიდენტი გვარწმუნებს არასდროს გაკეთებულა იმდენი სიკეთე, რაც მისი პრეზიდენტობის დროს გაკეთდა, ჰყვავის ქვეყანა და, სულ მალე, ასე თუ გაგრძელდა, ეკონომიურად და სულიერ-ზნეობრივად საქართველო ხელისუფლებიან – ხალხიანად სამაგალითო და პირველი ქვეყანა გახდება მსოფლიოში. ფაქტები კი სულ სხვაზე მეტყველებენ: ბევრ მოქალაქეს პატიმრებისთვის გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართის ნახევარიც არა აქვს (ბაგების სტუდქალაქი მაქვს მხედველობაში), როცა ამავე დასახლებაში სტადიონივით სათავსოები და მრავალი სტუდენტური ოთახი ნაგავსაცავად არის ქცეული და გამოკეტილია, არც თვითონ სარგებლობენ და არც სხვას ანებებენ, ზღაპრულ ვეშაპივით დააჯდნენ თავზე და შესაწირის გარეშე არავის აკარებენ; ასეთი ფაქტები უთვალავია; გზებს კი აშენებენ, მაგრამ ქართველი მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ამ გზებით სარგებლობის საშუალება გამოგვაცალეს, სამუშაო ადგილები შეკვეცეს, სამუშაოდ უცხოელები ჩამოჰყავთ საქართველოში; მოკლედ, დღევანდელმა ხელისუფლებამ ნელმოქმედი გენოციდი მოუწყო ქართველ ხალხს და ეროვნული გენოფონდი დღითიდღე კლებულობს; იქნებ მე მეჩვენება, თორემ არაფერი გვიჭირს და არც არასდროს გაჭირვებია საქართველოს; რაც იბერია დაეცა და ქართებმა ძალაუფლება ხელთ იგდეს, ყველა პრობლემა მოიხსნა; იქნებ ეჩვენებოდა დავით გურამიშვილს როცა „ქართლის ჭირს“ წერდა, თორემ ყვაოდა ქვეყანა; იქნებ აზვიადებდა ილია ჭავჭავაძე, თორემ, მართლაც „ბედნიერი ერი“ ვართ ქართველები; იქნებ ტყუილად წუხდა გრიგოლ რობაქიძე, რომელმაც აკაკის გასვენებასთან დაკავშირებით გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე ბრძანა: **„ამბობენ მრავალი მტერი ჰყავსო ქართველებს. შესაძლოა, მე კი სხვა რამ მაფიქრებს: ქართველ ერს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს, ეს არის თვითონ ქართველი ერი. პირველყოფილი ცოდო ქართველი ერის ისტორიისა: დაუნდობლობა, გაუტანლობა, შური, ღვარძლი ერთმანეთში. უნდა მოისპოს ეს ცოდო. რითი? სწორედ იმ ნიჭის გაღმავებით, რომელიც შემოქმედებით შეიყვანს ქართველობას მსოფლიოში და გულის ცეცხლი, სიყვარული ცეცხლი, რომელიც განწმენდს ქართველთა დაბერებულ თვისებას. ვიწვოდეთ ამ ორი ცეცხლით“.**

იცოცხლე, ბრწყინვალეა და დიდად სასიამოვნო ეს სიტყვები, მაგრამ ისტორიული გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მხოლოდ მოწოდება და სურვილი არ არის საკამარისი ეროვნული სენისგან (პირველყოფილი ცოდვისგან) გასანთავისუფლებლად. დასადგენია მიზეზი, რამაც გამოიწვია ეს ცოდვა, რომელიც თანდათანობით, მიზანმიმართულად და აბსოლუტურად კანონზომიერად ხრავს ქართველი ერის ერთიან ორგანიზმს; დასადგენია, **„რატომ არ მიაჩნდა საჭიროდ მროველს და სხვა ავტორებს მოეხსენებინათ ერთი სტრიქონით მაინც ის, რაც აღაფრთოვანებდა ევრიპიდეს, სენეკას, ჰეროდოტეს, კანტს? რატომ? რატომაა გაბზარული ჩვენი ისტორია და ცნობიერება საწყისიდანვე, ფარნავაზიდან და ლეონტი მროველიდან მოყოლებული დღემდე? რატომ წერდნენ ოქროს საწმისზე ჰომეროსი, ჰესიოდე, ვერგილიუსი, აპალონიოს როდოსელი, ევრიპიდე, სენეკა და რატომ სდუმან ქართველები თითქმის სამი ათასი წელია?“** (ვლ. ალფენიძე); პირდაპირ, რომ ვთქვათ, დასადგენია, **რატომ ცდილობდნენ იბერიული დედატანიდან ამოზრდილი ქარდები (შემდგომ ქართები) იბერიისგან გამოყოფას, რატომ დაუპირისპირდნენ იბერები და ქარდები ერთმანეთს, რა დანაშაული მიუძღვით ქარდების წინაშე იბერებს ისეთი, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ქარდებმა პირისაგან მიწისა აღგავეს ყველა იბერიული მონაპოვარი, მოგვიანებით კი (7-8 საუკუნის შემდეგ) მოახდინეს თანამედროვე იმერეთსა და გურიის ტერიტორიაზე იბერიული (ე.წ. მეგრული) მოსახლეობის ქართულიზაცია და ეს პროცესი, თითქოსდა, წინასწარდასახული გეგმის თანახმად შეაჩერეს მდ. რიონის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, როცა თავისუფლად შეეძლოთ მთელი იბერიული მოსახლეობის მთლიანად ქართულიზაცია და, საერთოდ, წაშალათ იბერიული კვალი, მაგრამ მთლად ამისათვის ვერ გაიმეტეს და ძალზე მცირე (ენგურსა და რიონს შორის) ტერიტორიაზე შეუნარჩუნეს არსებობა, თუმცა, დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ არასრულყოფილების სინდრომი შთაენერგათ, განვითარების საშუალება და სურვილი ჩაეკლათ და მუდამ დაჩაგრულად ჰყოლოდა?** ამ მიზნით უნერგავდნენ ე.წ. მეგრელებს, რომ ისინი ბუნებრივად მდაბიო ხალხია და გლეხზე მაღალი საზოგადოებრივი ფენა არასდროს ჰყოლიათ. ამიტომაა, რომ მე-13 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე ე.წ. მეგრელი მოღვაწენი არ ჩანან ქართველი ერის ცხოვრებაში.

დიდი დასტაქარი – აკად. ეგნატე ფიფია თავის მოწაფეებს ხშირად მოძღვრავდა თურმე: **„ექიმს არ უნდა დარჩეს ავადმყოფის სენის მიზეზი და მასთან დაკავშირებული არცერთი უჯრედი შეუსწავლელი, რომ სენთან ბრძოლაში გამარჯვება იზეიმოსო“.**

თუ გვინდა განვკურნოთ საქართველო დამანგრეველი სენისაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავადგინოთ ქართველი ერის დაავადების მიზეზი.

საზოგადოება, რომელმაც შეიგნო მხოლოდ პატიოსანი შრომით სარგებლის მიღების რაციონალიზმი და შეძლო ისე აღზევებულიყო, რომ მისი „ცივილიზაცია ვრცელდებოდა პირინეიდან ინდოეთამდე“, შეუძლებელია, თავისი ნებით მოდუნებულიყო და დაცემულიყო, უფრო ძლიერი გარე ძალის ნებისა და მოქმედების გარეშე. მაშ, რა მოხდა?

ზემოთ ავღნიშნეთ, რომ უზენაესის ნების გარეშე არაფერი ხდება. თუ ასეა, რატომ გაგვწირა ღმერთმა?

უზენაესი შემოქმედი აბსოლუტური სიყვარული და სიკეთეა. ჩვენ რაც ბოროტებად მიგვაჩნია და წინააღმდეგობებად გვეღობება, ღმერთი გვივლენს იმისათვის, რომ ჩავწვდეთ მის არსში და გაიცნობიეროთ მისი აცილების საშუალებანი. მაგრამ მთელი პრობლემა იმაშია, რომ ხშირად ვერ ვარჩევთ რაა სიკეთე და რა ბოროტება, ვერ ვაცნობიერებთ ბუნებრივ (ღვთიურ) კანონზომიერებებს და ხშირად გვიხდება უქმი და ზედმეტი ენერგიის ხარჯვა მცირე სარგებლის მისაღებად. ასეთ საზოგადოებაში სულიერ-ზნეობრივი დონეც დაბალია და თუ ვერ მიაგნებენ ენერგიის რაციონალურად ხარჯვის პირობებში მაქსიმალური მოგების მიღების გზებს, არც თაკილობენ სხვათა შრომის ხარჯზე სარგებლის მიღებას. ცხოვრების ასეთი წესი უფრო ადვილად გავრცელებადია, ვიდრე ჯანსაღი ცხოვრების წესი, რადგან ის ამაღლებულ აზროვნებას, ტვინის ჭყლეტვას არ მოითხოვს და ველურ დონეზე წყდება, მაგრამ ქვეყნის სულიერ-ეკონომიკური ძლიერება კატასტროფულად ეცემა. ე.ი. იმიტომ გვივლენს ღმერთი წინააღმდეგობებს (ბოროტებებს), რომ გავეკრვეთ მის არსში, ვიჭყლიტოთ ტვინი და მოვძებნოთ ამ წინააღმდეგობათა თავიდან აცილების მექანიზმი, ანუ ავმაღლდეთ ინტელექტუალურად.

„ღმერთმა შექმნა კაცი ხატად (მსგავსად, კ.ფ.) თვისად“ და უზენაეს შემოქმედს ვერ აკმაყოფილებდა ის დონე, რამაც ჩვენმა უძველესმა წინაპარმა „საჭიროს მიღებისათვის ენერგიის გაცემის“ (საზოგადოების განვითარების II საფეხური) რაციონალიზმის შეცნობით მიაღწია. საჭირო იყო სულიერ-ზნეობრივი დონის უფრო ამაღლება და ღმერთთან მიახლოება მისი თვისებების შეცნობისა და ცხოვრების წესად დამკვიდრების მიზნით, მაგრამ ამისათვის, თურმე, საჭირო ყოფილა ისე ძლიერ დაცემა და სულისშემძვრელი ტკივილის შეგრძნება, რომ ადამიანი სულიერად აუჯანყდეს საკუთარ ეგოისტურ ამბიციებს, ღვთიური თვისებების შეძენით მართოს იგი და შეითვისოს ის ცოდნა, რომლითაც შეძლებს ხუთი ათასი წლის წინანდელი ამაღლებული აზროვნების ზეობის დონიდან (განვითარების II საფეხურიდან) დაცემის შემდეგ აღდგომას და ბევრად უფრო მაღალ სულიერ-ზნეობრივ დონემდე ასვლას, ე.ი. გაცემა მიღებისათვის ცხოვრების წესის ზეობის ხანის აზროვნების დონიდან ამაღლებას, ანუ დღემდე არსებული აზროვნების უკეთესობისკენ შეცვლას. რას ნიშნავს ეს?

ადრე არსებული „უმაღლესი“ დონის აზროვნება ქადაგებდა სარგებლის მხოლოდ საკუთარი გარჯით მიღებას, მაგრამ ადამიანის აზროვნების ზრდას წინ უსწრებს მისი ყოფითი მოთხოვნების ზრდა. ეს ითხოვს ბუნებრივი (ღვთიური) კანონზომიერებების სიღმრმეებში წვდომას, რაც თავის მხრივ საკუთარი „მე“-ს, სამყაროს და ღმერთის (თუ მთლიანად არა, გარკვეულ წილად მაინც) შეცნობას, რაც მეტად რთული პრობლემაა და ითხოვს უდიდეს ძალისხმევას, მთელი სულიერ-ზნეობრივი ძალების მაქსიმალურად მობილიზებას, რაც, ასევე, დროის მოთხოვნაცაა. მაგრამ როდის შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოება ოდესდაც არსებული ამაღლებული აზროვნების ზეობის დონიდან ამაღლებულად?

მოგების (სარგებლის) მხოლოდ საკუთარი გარჯით მიღება საზოგადოების განვითარების ყველა დონეზე აუცილებელია, მაგრამ ღვთის ხატისათვის არასაკმარისი.

წარმოვიდგინოთ ქვეყნის, თუ კაცობრიობის ცხოვრების დონე, როცა მის ყველა მოქალაქეს (მხედველობაში გვაქვს სრულწლოვანი და ჯანმრთელი) ღრმად აქვს შეგნებული ღვთიური კანონზომიერებების შეცნობის, ანუ სიკეთისა და ბოროტების გარჩევის აუცილებლობა და რაციონალიზმი, ფლობს ამ სიბრძნეს და უანგაროდ გასცემს მას მოზარდ ახალგაზრდობას და ყველას, ვისაც ამ სიბრძნის მიღების სურვილი და განზრახვა გააჩნია, თუმცა, ეს არ იქნება მთლად უანგარო გაცემა, რადგან, შედეგად ამისა, ბედნიერი ცხოვრება დაივანებს და თვითონაც გაიხარებს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში უნაყოფო გარჯა მაქსიმალურად აღმოიფხვრება, ადამიანი ადამიანისათვის მგელი კი არა, ღვთიური ცხოვრების გარანტად მოგვევლინება, ურთიერთ სიყვარული დაივანებს და თითოეული ადამიანისათვის სულიერ-ზნეობრივად ასე ამაღლებულ და განათლებულ ადამიანთა გარემოცვაში ცხოვრება ბედნიერება და ნეტარება იქნება. თუმცა, ასეთი ამბიცია თვით უზენაეს შემოქმედსაც, რომ არ ჰქონოდა და მისი უდიადესი შემოქმედების რამდენადმე მაინც დამფასებელი და თაყვანისმცემელი ადამიანი (ხატი ღვთისა) – გვირგვინი სამყაროსი არ გაეჩინა, რა აზრი ექნებოდა სამყაროს და თვით უზენაესის არსებობას? – ალბათ, არავითარი.

კუკური ფიფია,
“ფაზისის” აკადემიის
ნამდვილი წევრი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

შეშფოთება საქართველოში ადვოკატებთან დაკავშირებით არსებული სიტუაციის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტს ბ-ნ **მიხეილ სააკაშვილს**

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას

თქვენო აღმატებულებავ,

გწერთ ევროპის ადვოკატთა და სამართლებრივი საზოგადოების საბჭოს (CCBE) სახელით, რომელიც ევროკავშირის და ევროპის ეკონომიკური არეალის წვერი ქვეყნების სამართლებრივი საზოგადოებების და ადვოკატების ეროვნულ გაერთიანებებთან ერთად წარმოადგენს ევროპის ერთ მილონზე მეტ ადვოკატს. გარდა იმისა, რომ იგი ევროკავშირის ადვოკატთა ასოციაციის წევრია, მას აგრეთვე გააჩნია დამკვირვებლის წარმომადგენლობა დანარჩენი თერთმეტი ევროპის ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციისგან.

CCBE, ადამიანის უფლებათა კომიტეტთან ერთად, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებებს და სამართლის ნორმებს.

ამ წერილით გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი სერიოზული შეშფოთება საქართველოში ადვოკატთა წინაშე შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. CCBE-მ მიიღო ინფორმაცია სახელმწიფოს წარმომადგნელებისაგან, განსაკუთრებით ციხის თანამშრომლებისა და პოლიციის წევრებისგან ადვოკატების დაშინების რამდენიმე შემთხვევის შესახებ, კერძოდ ის, რომ მათ უკრძალავენ ციხეში მყოფი კლიენტების მონახულებას.

ჩვენ შეგვატყობინეს ადვოკატების შალვა ხჭაპურიძისა და კობა სოხაძის საქმეების შესახებ, რომლებსაც პოლიციის თანამშრომლებმა მიაყენეს შეურაცხყოფა და რამდენჯერმე სცემეს. მიღებული ინფორმაციის თანახმად, არც ერთ ამ შემთხვევას შედეგად არ მოჰყოლია სისხლის სამართლებრივი ძიება ან დანაშაულის ჩამდენი პოლიციელების გასამართლება. ნათელია, რომ ადვოკატებზე განხორციელებული აღნიშნული თავდასხმები და შევიწროება მიზნად ისხავს მხოლოდ მათი კანონიერი ქმედებებისათვის ხელის შეშლას.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ადვოკატ ვალერი ტაბაღუას რუსთავის № 2 საპყრობილეში არ მისცეს თავის კლიენტთან კონფიდენციალური შეხვედრის ნება და როდესაც იგი ციხიდან კლიენტის მიერ წამების შესახებ მიცემული ჩვენების გამოტანას ცდილობდა, ულმობელი და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი გახდა.

ჩვენ აგრეთვე გვესმის, რომ ადვოკატები ციხეში მყოფი კლიენტების მონახულებისას ხშირად ხდებიან შეურაცხყოფისა და დამამცირებელი ფიზიკური მოპყრობის მსხვერპლნი. ქალი ადვოკატები უსაფრთხოების შემოწმების გავლისას ფიზიკური შეურაცხყოფისა და დამცირების სამიზნეები ხდებიან.

უფრო მეტიც, ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ციხის თანამშრომლები ხელოვნურ ბარიერებს ქმნიან, რათა ადვოკატებს ციხეში მყოფი კლიენტების მონახულება აუკრძალონ. ადვოკატებს საათობით უწევთ რიგში დგომა, ან იძულებულნი არიან, რამდენიმე დღე ელოდონ თავიანთი დაკავებული თუ დაპატიმრებული კლიენტების მონახულების ნებართვას. ჩვენ აგრეთვე შეგვატყობინეს, რომ ადვოკატებს არ აქვთ უფლება, დაეხმარონ კლიენტებს და კონფიდენციალურად გაუწიონ მათ კონსულტაცია.

CCBE აგრეთვე შეატყობინეს, რომ მრავალი ადვოკატი ამჟამად ციხეში იმყოფება. CCBE შეშფოთებულია ამ ფაქტით. ჩვენთვის არ არის ცნობილი ამ ადვოკატებისადმი წაყენებული სრული ბრალის შესახებ, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს ბრალდებები მოიცავს ისეთ ფართო სპექტრს, როგორიცაა თაღლითობა, მოწმეებზე ზეგავლენა, იურიდიული მომსახურების ცუდი ხარისხი და სასამართლო მოსმენების გაცდენა. გარდა ამისა, ჩვენ გაოცებულნი ვართ იმ ფაქტით, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისათვის არ არის ცნობილი მისი წევრი ადვოკატების დაპატიმრების შესახებ და აგრეთვე მათ არ იციან იმ ადვოკატების ზუსტი რიცხვი, ვის წინააღმდეგაც ხორციელდება სისხლის სამართლებრივი დევნა.

ეს სიტუაცია წარმოშობს სერიოზულ საკითხს, რაც დაკავშირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, თვით-მამართველი ორგანოს დამოუკიდებლობასთან, რომელიც ახორციელებს იურიდიული პროფესიის მართვასა და რეგულირებას. ეს წარმოშობს შეშფოთებას საქართველოს სამართლებრივ სისტემაში მომუშავე ადვოკატებთან დაკავშირებით და მიგვითითებს ხელისუფლების უუნარობაზე, დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტები. ჩვენ ვწუხვართ, რომ ადვოკატების დაპატიმრებამ აგრეთვე შესაძლოა სერიოზული შედეგები მოიტანოს სამართლის ადმინისტრირების სფეროში, რადგან კლიენტები სათანადო წარმომადგენლობის გარეშე რჩებიან.

ამ კონტექსტში, CCBE სურს, მიაქციოს თქვენი ყურადღება გაერთიანებული ერების ძირითად პრინციპებს ადვოკატთა როლთან დაკავშირებით (1990):

მუხლი 7 მიუთითებს, რომ

ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს, ბრალის წაყენებით ან მის გარეშე, დაუყოვნებლივ უნდა მიუწვდებოდეს ხელი ადვოკატზე, ნებისმიერ შემთხვევაში არა უგვიანეს ოცდაოთხი საათისა დაკავებიდან ან დაპატიმრებიდან.

მუხლი 8 მიუთითებს, რომ

"ყველა დაკავებულ, დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს ადეკვატური შესაძლებლობა, დრო და პირობები, რათა ისინი მოინახულონ, დაუკავშირდნენ და კონსულტაცია გაუწიონ ადვოკატებმა, დაყოვნების, დაბრკოლების ან ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალურობის დაცვით. ამგვარი კონსულტაციები უნდა მოხდეს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების თვალთახედვის, მაგრამ არა მოსმენის ქვეშ".

მუხლი 16 მიუთითებს, რომ:

"ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ადვოკატებს (ა) შეუძლიათ, შეასრულონ თავიანთი პროფესიული ფუნქციები დაშინების, დაბრკოლების, შევიწროების ან უადგილო ჩარევის გარეშე; (ბ) აქვთ შესაძლებლობა, შეხვდნენ და გაუწიონ კონსულტაცია თავიანთ კლიენტებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც; (გ) არ განიცდიან და არ ემუქრებათ სამართლებრივი დევნა, ადმინისტრაციული, ეკონომიკური ან სხვა სანქციები აღიარებული პროფესიული მოვალეობების, სტანდარტების და ეთიკის შესაბამისად მოქმედებისას".

მუხლი 22 მიუთითებს, რომ:

"ხელისუფლებამ უნდა აღიაროს და პატივი სცეს იმ ფაქტს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის პროფესიული ურთიერთობების ფარგლებში განხორციელებული კომუნიკაციები და კონსულტაციები კონფიდენციალურია".

მსგვასი დებულებები არის ჩადებული ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციაში ადვოკატის პროფესიული მოვალეობების თავისუფალი განხორციელების შესახებ (Rec 2000)21, (ოქტომბერი 2000).

ზემოთ განხილულის გათვალისწინებით, CCBE მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს დაუყოვნებელი და ქმედითი ზომები ზემოთ აღნიშნული ფაქტების გამოსაძიებლად და გაათავისუფლოს უკანონოდ დაპატიმრებული ადვოკატები, თუ მათ არ წაუყენებენ დასაბუთებულ სისხლის სამართლებრივ ბრალს. CCBE აგრეთვე მოუწოდებს, რომ დაუყოვნებლივ იქნას აღკვეთილი ადვოკატთა წინააღმდეგ მიმართული ყველანაირი ქმედება და მუქარა, რაც მათ ხელს უშლის პროფეიული მოვალეობების კანონიერ განხორციელებაში.

პატივისცემით

პრეზიდენტი **ხოსე-მარია დავო-ფერნანდესი.**

ხელმოწერილია

ასლები ეგზავნება:

ქ-ნი **ჰეიდი ჰაუტალა,** ევროპარლამენტის ადამიანის უფლებების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

ბ-ნი **მილან კაბრნოჩი,** ევროპარლამენტის ეკ-სომხეთის, ეკ-აზერბაიჯანის და ეკ-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის დელეგაციის თავმჯდომარე.

ბ-ნ **კრისტიან ვიგენინი,** ევროპარლამეტის ევრონესტ საპარალამენტო ასამბლეის დელეგაციის თავმჯდომარე.

ბ-ნი **ჯიკკა ლესკელა,** აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების თავმჯდომარე

ევროკავშირის საბჭოს გენერალური სამდივნო.

ბ-ნი **ბერნარდ ფილიპი,** წარმომადგენელი საქართველოში.

ევროპის კომისია, საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატი.

პოლიციის მიერ ვეტერანთა აქციის დაშლა ნაციონალურმა ტელეარხებმა ვერ შეამჩნიეს

საახალწლო ღონისძიებები და უცხოეთის სხვა ახალი ამბები ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთ მაუწყებელი წამყვანი სატელევიზიო არხების საინფორმაციო გამოშვებების ბადეში მოხვდა 3 იანვარს. შინა არეულობები კი გამორჩა მათ ყურადღებას.

კერძოდ, **„რუსთავი 2"**-ის, **„იმედის"** და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ყურადღების მიღმა დარჩა 3 იანვარს გმირთა მოედანზე, პოლიციის მიერ მოშიმშილე ომის ვეტერანების აქციის დაშლა.

გმირთა მოედანზე მომხდარი ამბავი ტელეკომპანია **"კავკასიის"** საინფორმაციო გამოშვების მთავარი თემა იყო. **"მაესტროზე"** კი ახალი ამბების გამოშვებები კვლავაც შეჩერებულია, როგორც მისი მფლობელები ამბობენ, ფინანსური პრობლემების გამო.

პედაგოგებს კვლავ ამცირებენ

ახალი სასწავლო სემესტრი საჯარო სკოლებში პედაგოგების შემცირებით დაიწყო. ამჯერად ამის მიზეზი დაფინანსების სისტემის შეცვლა გახდა. სკოლის დირექტორების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიუჯეტი არსებული საშტატო ერთეულების შენარჩუნების საშუალებას არ აძლევთ. პედაგოგების შემცირებას თავისთავად მოჰყვა კლასების გაერთიანება, რაც მშობლების უკმაყოფილებას იწვევს. დაფინანსების ახალ წესს, რომელიც 2011 წლიდან ამოქმედდა, სპეციალური ფორმულით განსაზღვრავენ, რომელსაც სკოლაში მოსწავლეების რაოდენობის, სკოლის მდებარეობისა და „სკოლის საჭიროებების" მიხედვით ითვლიან. მანამდე კი, სკოლები მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით ფინანსდებოდნენ, რამაც, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის – დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ვერ გაამართლა და სკოლებს გარკვეული პრობლემებიც კი შეუქმნა. სწორედ ამიტომ დღის წესრიგში დადგა სკოლების დაფინანსების სრულიად ახალი ფორმულის შექმნის საკითხი.

ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთი" ხელისუფლების ზეწოლაზე საუბრობს

ტელე-რადიო კომპანია **„თრიალეთის"** განცხადება, რომელიც გორის რაიონის სოფელ ვარიანში, ტელეანძის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის პრივატიზებას ეხებოდა, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ არ დააკმაყოფილა. ეს ინფორმაცია **„თრიალეთმა"** საკუთარ ვებგვერდზე განათავსა.

ტელეანძის მიმდებარე მიწის ფართობის შეძენა ტელე–რადიო კომპანიას სურდა, თუმცა ამ

ტერიტორიის მფლობელი შპს **„კავკაზუს ონლაინი"** გახდა.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებას ტელეკოპანია ხელისუფლების მხრიდან თავისუფალი სიტყვის შეზღუდვად მიიჩნევს.

„ზეწოლა დაიწყო მას შემდეგ, რაც „თრიალეთის" ეთერში გადის ტელეკომპანია „მაესტროს" გადაცემები, სტუდია „მონიტორის", „რეპორტიორის" ჟურნალისტური გამოძიებები და თოქ-შოუ „ცხელ ხაზში" სტუმრად მოდიან ოპოზიციური პარტიების ლიდერები", - აღნიშნულია ტელეკომპანიის ვებგვერდზე.

გორის საკრებულოს დარგობრივი და კომუნალური კომისიის თავმჯდომარემ ავთო შოშიაშვილმა ტელეკომპანია **„მაესტროს"** სატელეფონო საუბარში განუმარტა, რომ ანძის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც **„თრიალეთს"** ტელეანძის განთავსებისთვის სურს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და მის პრივატიზებას ვარიანის მოსახლეობა ეწინააღმდეგება.

ხურჩელთა გასაჭირი

ენგურს გაღმა მდებარე სოფელი ხურჩა ზუგდიდის რაიონს ეკუთვნის. სოფლის მცხოვრებთ ზუგდიდში ჩასვლა (18კმ.) 4 ლარზე მეტი უჯდებათ, რადგან არ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი უვარგისი გზის გამო. უგზოობისა და უტრანსპორტობის გამო, ხურჩელი ბავშვები სოფელ ნაბაკევის სკოლაში დადიან. რადგან ხურჩაში საშუალო სკოლა არ არსებობს, სოფელ კოკის სკოლამდე კი 4 კილომეტრია.

ჯერჯერობით ბავშვები ახერხებენ ხურჩიდან ნაბაკევში გადასვლას, მაგრამ რუსებისა და აფხაზების მხრიდან ყოველ წუთს მოსალოდნელია, რომ ხურჩელ მოსწავლეებს ე.წ. საზღვარზე გადასვლა აუკრძალოს.

მარტვილის რაიონის ჩანჩქერები

მთის მდინარეები ბევრგან აჩენს ჩანჩქერებს, რაც გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტორების მიერ – პროფილების დარღვევით, განსაკუთრებით იგი ხშირია კირქვული კარსტის, ახალგაზრდა ვულკანიზმისა და ძველი გამყინვარების რეგიონებში. რაიონის საზღვარი, რომელიც გადის კავკასიონის მთავარი ქედის, სამხრეთით გვერდითი ქედების ზონაში ჩანჩქერების წარმოშობის კარგ პირობებს ქმნის. ყოველივე ამის გამო ჩანჩქერების სიუხვით მარტვილის რაიონი პირველ ადგილზეა მთელ საქართველოში. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია ხუთი ჩანჩქერი. მათ შორის სამი მარტვილის რაიონის ტერიტორიაზეა.

აბაშის ჩანჩქერი სოფელ გაჭედილის ტერიტორიაზეა, მდინარე აბაშის სათავეებთან, ზღვის დონიდან 760 მეტრზე, ასხის (ალპური საძოვარი) კირქვული მასივის რეგიონში. ჩანჩქერი მდინარე აბაშის მარცხენა შენაკადია, კირქვის ქარაფში გამოდის მღვიმიდან და იქვე ეცემა 30 მეტრის სიმაღლიდან. მოგუგუნე წყალვარდნილის ძირში გაუჩენია ორმო, რომლის დიამეტრიც 12 მეტრია. წყალი ორმოში მდუღარესავით ბობოქრობს. ჩანჩქერის შხეფებში ხშირად ცისარტყელა წარმოიშობა. მთავარი ჩანჩქერის მარჯვნივ არის კიდევ ორი მომცრო ჩანჩქერი. საერთოდ, ჩანჩქერებს დაჰყურებს 200 მეტრის სიმაღლის კირქვული ქარაფი.

ჩანჩქერის მიდამოები აგებულია ზედაცარცული კირქვებით და ხშირი ტყითაა შემოსილი. აღსანიშნავია ბზის ხშირი ტევრები, რომლებშიც საკმაოდ ძნელია გავლა. იმავე სანახებში მდებარეობს ადგილი **"რაჩხა"**, კარსტული წყლების უხვი გამოსვლებით მოჩუხჩუხე ანკარა ნაკადულების რაკრაკი. ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებულ ბუნებაში ფრინველთა გალობა ერთ მთლიანობაში ქმნის აღმაფრენ მელოდიას და კირქვულ ქარაფებზე შემდგარ ადამიანს, როცა ამ საოცრებას ხედავს და ისმენს, უნებლიედ აღმოხდება: **"სხვა საქართველო სად არის"?!**

აბაშის ჩანჩქერამდე მისასვლელია სოფელ ბალდიდან ადგილ **"რაჩხამდე"** 7-კილომეტრიანი ცუდი საავტომობილო გზა. ხოლო აქედან 1,5 კილომეტრი რჩება აბაშის ჩანჩქერამდე, რომლის გავლა ფეხით მოსიარულეს შეუძლია. ოჩხომურის ჩანჩქერი მდებარეობს მარტვილის რაიონის სოფელ კურზუს ტერიტორიაზე, მთა მიგარიას კირქვულ მასივში, ხოლო მდინარე ოჩხომურის სათავე ზღვის დონიდან 800 მეტრ სიმაღლეზეა. მიგარიას მთა ოდიშის ჩრდილოეთ ნაწილში, მრავალმხრივ არის შესანიშნავი. მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ოჩხომურის ზემო დინებაზე არსებული ჩანჩქერი. გარდა ამისა, მიგართაზე იშვიათი რელიქტური მცენარეების (მაგალითად მეგრული არყის, სოხაძის როდოდენდრონისა და სხვა) ადგილსამყოფელია. აქვეა არჩვების იზოლირებული თავშესაფარი მდინარე ხაფადალის სათავის კლდეებში და ა.შ. ჩანჩქერის ერთობლივი სიმაღლე 100-120 მეტრია. იგი შედგება სამი საფეხურისაგან, მაგრამ შორიდან შეხედვისას ერთ მთლიან ბროლის სვეტად გამოიყურება. საფეხურების ძირში პატარა ტბებია, რომლებშიც ანკარა წყალი მდუღარესავით ბობოქრობს. ჩანჩქერი ხშირი კოლხური ტყით მოსილ ადგილშია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის სილამაზეს.

სოფელი კურზუ საავტომობილო გზებით დაკავშირებულია მარტვილისა და ჩხოროწყუს რაიონებთან. ხოლო სოფელ კურზუდან, მდინარე ოჩხომურის ხეობის ბილიკით, ჩანჩქერამდე სამი კილომეტრია.

ტობის ჩანჩქერები სოფელ გაჭედილის ტერიტორიაზეა. ალპური საძოვარი ასხის კირქვული მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთი სექტორია – მდინარე აბაშის მარცხენა შენაკადის – ტობას სათავის მიდამოები, რომლის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 600-800 მეტრს.

ტობის სათავეში ამართულია ზედაცარცული კირქვის ქარაფი, რომელიც მდიდარია კარსტული მღვიმეებიდან გამომავალი მდინარეების ჩანჩქერებით. არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმიდან (სიგრძე – 1.300 მეტრი, არის რამდენიმე მოზრდილი დარბაზი) გამომავალი რამდენიმე კარსტული მდინარე (ხონის რაიონში მდებარე თურჩუას ტაფობის ნაკადულის ერთ-ერთი გაგრძელება) 234 მეტრი სიმაღლის ჩანჩქერს აჩენს. მღვიმე ტობა-1-ის ნაკადული წარმოშობს ეფექტურ ჩანჩქერს, თვით ამ მღვიმის შიგნით წყალი ერთგან 21 მეტრის სიმაღლიდან ვარდება; ამავე მღვიმეში ოთხი ტბაა. აქაური ჩანჩქერები და მღვიმეები ქმნიან ფრიად საინტერესო და პერსპექტიულ ტურისტულ კომპლექსს.

ქალაქ მარტვილიდან სოფელ მეორე ბალდამდე 14 კილომეტრი საავტომობილო გზაა, ხოლო შემდეგ ოთხი კილომეტრია ტობის სათავის ქარაფის ძირამდე (4 კილომეტრიდან, ამჟამად, გარკვეულ მონაკვეთზე მანქანისათვის ძნელად სავალი გზაა).

ასე რომ, მარტვილის რაიონის ჩანჩქერები და მღვიმეები ქმნიან ფრიად საინტერესო და პერსპექტიულ ტურისტულ კომპლექსს. მით უმეტეს, 2010 წელს, მდინარე აბაშის ხეობაში, სოფელ ინჩხურის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა დინოზავრის ნაკვალევი, რომელიც კოლორიტულ ელფერს მისცემს და აამაღლებს ტურისტული კომპლექსის ღირსებას, რადგანაც **"იგი მეცნიერული თვალსაზრისით უპირველესია მთელ ამიერკავკასიაში"** (პროფესორი დ. გაბუნია, ექსპედიციის ხელმძღვანელი). მდინარე აბაშის ხეობის ის მონაკვეთი, სადაც დინოზავრის ნაკვალევია ნანახი – ულამაზესია, თითქოს ბუნება ზღაპრული მელოდიებით გესაუბრება და ნათლად წარმოიდგენთ, რომ **"ბუნება ჩვენშია, ჩვენ ბუნებაში ვართ"** (ვაჟა-ფშაველა).

ვაჟა მორგოშია,
რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი

ზუგდიდის მოსახლეობას დღემდე შეშა არ აქვს

შარშან ზაფხულს დაწყებული პროცესი შპს **„ზუგდიდის სატყეო მეურნეობაზე"** რიცხული ადგილობრივი ტყის ფონდის ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადმოცემის შესახებ დღემდე დამთავრებული არ არის.

შპს ზუგდიდის სატყეო მეურნეობა დღემდე ეკუთვნის ეკონომიკის სამინისტროს, რომელმაც შეუჩერა ამ ორგანიზაციას შეშის დამზადების ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტის, ანუ მკაცრი აღრიცხვის ფურცლის გაცემა, რომლის საფუძველზე ზუგდიდის მოსახლეობა შეშას ამზადებდა ადგილობრივ ტყის ფონდში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოთხოვნის წერილი გაუგზავნა ეკონომიკის სამინისტროს, რომ გადმოეცეს ზუგდიდის სატყეო მეურნეობის ტყის ფონდი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მმართველობას. წერილი ეკონომიკის სამონისტროშია. ზუგდიდის მოსახლეობა მინისტრის ხელმოწერას ელოდება, ამასობაში კი შუა ზამთარიც დადგა. ზუგდიდის მოსახლეობა ამ ბიუროკრატული პროცესის გამო შეშას ვერ ამზადებს, წინ კი იანვრისა და თებერვლის სუსხიანი დღეებია.

საქართველო - აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო საკითხი კიდევ დიდხანს იქნება განხილვის პროცესში

„საქართველო - აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო საკითხი კიდევ დიდხანს იქნება განხილვის პროცესში. არც ერთი მხარისგან პოლიტიკური თანხვედრა არ არის. სახელმწიფოებს ერთმანეთის სასარგებლოდ დათმობებზე წასვლა არ სურთ", - ამ ინფორმაციას აზერბაიჯანული გაზეთი **„ეხო"** აქვეყნებს. **„ასეთ სიტუაციაში ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების მიღწევა ძალიან რთულია"**, - ნათქვამია სტატიაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრების საერთო სიგრძე 2148 კილომეტრია. აქედან, 446 კილომეტრია აზერბაიჯანთან. საქართველო - აზერბაიჯანის საზღვრების სადელიმიტაციო ორმხრივი სამთავრობოთაშორისო კომისია 1993 წლიდან მუშაობს. 17 წლის განმავლობაში საზღვრის დაახლოებით 65% (300 კმ) დაზუსტდა, თუმცა საზღვარი დადგენილი ამ დრომდე არ არის. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, საქართველო - აზერბაიჯანის საზღვრის დადგენას დავით გარეჯი აფერხებს. აზერბაიჯანის მიწისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის – გარიბ მამედოვის განცხადებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, კეშიკჩის გორაზე, განლაგებული მონასტერი ალბანური წარმოშობისაა.

საგარეო ვალის მოცულობა ერთი წლის განმავლობაში 16.4 პროცენტით გაიზარდა

საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა ერთი წლის განმავლობაში 16.4 %-ით გაიზარდა.

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალდებულებები 3 936 882 000 აშშ დოლარით განისაზღვრა, მაშინ, როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მონაცემი 3 381 513 000 აშშ დოლარს შეადგენდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2010 წლის 31 დეკემბრისათვის ქვეყნის ორმხრივი კრედიტორების მიმართ ვალის ნაშთი 556.953 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, მათ შორის ავსტრიის მიმართ - 470 ათას აშშ დოლარს; აზერბაიჯანის მიმართ – 14.186 მლნ აშშ დოლარს; თურქმენეთის მიმართ - 211 ათას აშშ დოლარს; თურქეთის მიმართ – 29.972 მლნ აშშ დოლარს; ირანის მიმართ – 11.081 მლნ აშშ დოლარს; რუსეთის მიმართ – 116.654 მლნ აშშ დოლარს; სომხეთის მიმართ – 16.837 მლნ აშშ დოლარს; უზბეკეთის მიმართ - 348 ათას აშშ დოლარს; უკრაინის მიმართ - 318 ათას აშშ დოლარს; ყაზახეთის მიმართ – 27.774 მლნ აშშ დოლარს; ჩინეთის მიმართ – 4.541 მლნ დოლარს; გერმანიის მიმართ – 226.11 მლნ აშშ დოლარს; იაპონიის მიმართ – 59.125 მლნ აშშ დოლარს; ქუვეითის მიმართ – 25.903 მლნ აშშ დოლარს; ნიდერლანდების მიმართ – 7.88 მლნ აშშ დოლარს; აშშ-ის მიმართ - 35.264 მლნ აშშ დოლარს, ხოლო საფრანგეთის მიმართ – 6.217 მლნ აშშ დოლარს.

ამასთან, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული საგარეო ვალი - 500 მლნ აშშ დოლარს, საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ვალის ნაშთი კი 2.85 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. მათ შორის, მსოფლიო ბანკის მიმართ (განვითარების საერთაშორისო ასოციაცია და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია) - 1.37 მლრდ დოლარს, ევროგაერთიანების მიმართ – 17.895 მლნ აშშ დოლარს; სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიმართ – 21.536 მლნ აშშ დოლარს; საერთაშორისო სავალუტო ფონდის (მიმღები - ეროვნული ბანკი) მიმართ - 1.05 მლრდ აშშ დოლარს; რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მიმართ – 46.55 მლნ აშშ დოლარს; აზიის განვითარების ბანკის მიმართ – 320.808 მლნ აშშ დოლარს, ხოლო ევროპის საინვესტიციო ბანკის მიმართ – 36.002 მლნ აშშ დოლარს.

გარდა ამისა, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ნაშთი 3.392 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანად გერმანიის წინაშე აღებული ვალდებულებაა.

ტურისტები სვანეთში ჩასვლას არ ჩქარობენ

ზამთრის სეზონის გახსნის მიუხედავად, ტურისტები სვანეთში ჩასვლას არ ჩქარობენ. რადიო კომერსანტის ინფორმაციით, ზოგიერთი ტურისტული სააგენტო აცხადებს, რომ აქტიურობა სვანეთის მიმართულებით არ შეინიშნება. **"ვიზიტ ჯორჯიაში"** განმარტავენ, რომ სვანეთში რამდენიმე პაკეტი გაიყიდა, ამასთან, უცხოელებს რეგიონის შესახებ ჯერ ისევ ნაკლები ინფორმაცია აქვთ. მათი თქმით, დღეს კურორტზე დასვენების მსურველები ძირითადად ქართველები და უკრაინელები არიან. **"გეორგიკა თრეველშიც"** აცხადებენ, რომ სვანეთი მიმზიდველი ტურისტული ადგილია, თუმცა იმისათვის, რომ სარეკლამო კამპანიამ იმოქმედოს, გარკვეული დროა საჭირო; ტურისტთა ძირითადი ნაკადი მომავალ წელს ჩამოვა. სვანეთის **"გესთ ჰაუსებში"** დასვენების ფასი 45 ლარიდან იწყება, ხოლო თვითმფრინავის ბილეთი ორივე მიმართულებით 150 ლარი ღირს.

ხელისუფლება სადაზღვევო კომპანიებს დაერია

საქინფორმის ინფორმაციით, სადაზღვევო კომპანია **„ვესტში"** სულ რამდენიმე დღის წინ ფინანსური პოლიცია შევიდა, შემოწმების შემდეგ კი კომპანია დახურეს. სააგენტოს წყაროს ინფორმაციით, ფინანსური პოლიცია ამჟამად სადაზღვევო კომპანია **„ალდაგი ბი სი აი"**–შიც იმყოფება.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რა ხერხებს მიმართავს ხოლმე **„ჯიბეგასქელებული"** ხელისუფლება, როცა ბიუჯეტს წყალი უდგება. მარკეტინგული ქსელების შემდეგ, რომელთაც **„ფინანსური შემოწმება"** გასულ წელს ჩაუტარეს და მილიონობით ლარი ამოიღეს, ჯერი სადაზღვევოებზე შეაჩერეს. როგორც წყარო ამტკიცებს, გარდა დასახელებული ორი კომპანიისა, ფინანსური პოლიციის მოლოდინში სხვა სადაზღვევო კომპანიებიც არიან, თუმცა ინფორმატორი ვერ აკონკრეტებს, რა რაოდენობის თანხის ამოღებას აპირებენ **„ნაცები"** კომპანიებისგან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქინფორმი თავდაპირველად „ვესტთან" დაკავშირებას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ. შემდეგ კი **„ალდაგს"** დავუკავშირდით.

თავდაპირველად კომპანიის ცხელი ხაზის ოპერატორმა სააგენტოს განუმარტა, რომ მსგავს ინფორმაციას ის ვერ გასცემს და ამისთვის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელთან გადაგვამისამართა.

კომპანიის პრესსამსახურის უფროსის – მაიკო ივჩენკოს კომენტარი კი შეუძლებელი აღმოჩნდა. რამდენიმესაათიანი მცდელობის მიუხედავად, ის **„მნიშვნელოვან შეხვედრას"** ვერ მოვწყვიტეთ. რაც შეეხება სხვა კომპეტენტურ პირებს, ცხელ ხაზზე გვიპასუხეს, რომ ასეთი პირი მხოლოდ ივჩენკოა.

აქვე, აღსანიშნავია ერთი დეტალიც: მაშინ, როდესაც **„ალდაგს"** ფინანსური პოლიცია **„ამოწმებდა"**, კომპანიის გენერალური დირექტორი სასტუმრო **„თბილისი მარიოტში"** პრესას ახალ პროექტებზე ესაუბრებოდა და გასულ წელს აჯამებდა.

როგორც ნიკოლოზ გამყრელიძემ დღევანდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, მიმდინარე წელს სადაზღვევო კომპანია **„ალდაგი ბისიაი"** მოსახლეობას ჯანმრთელობის დაზღვევის ახალ პროდუქტს შესთავაზებს. თუ გამყრელიძე საზოგადოებას სიახლეებს სთავაზობს, სავარაუდოა, რომ **„ალდაგს"** არ დახურავენ და ხელისუფლება მას მხოლოდ **„დააჯარიმებს"**.

შუახევის რაიონში მგელმა 2 ადამიანი დაკბინა

ზემო აჭარაში, შუახევის რაიონში, მგელმა ორი ადამიანი დაკბინა. 77 წლის კარლო ესერიძეს მტაცებელი თავს სოფელ თერნალში გზაზე დაესხა და სხეულზე მრავლობითი დაზიანება მიაყენა. მტაცებლისგან დაკბენილი პაციენტი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ შუახევის რაიონის საავადმყოფოში მოათავსა, სადაც მას პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიეს და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა გაუკეთეს. 77 წლის პენსიონერს სხეულზე 8 ჭრილობა აქვს და მედიკამენტურ მკურნალობას ბათუმში გადის. გუშინ შუახევის რაიონში კარლო ესერიძის დაკბენის შემდეგ, 10 წუთში, იმავე მგელმა კიდევ ერთი მამაკაცი დაკბინა, რომელიც ამჟამად მკურნალობას სოფლის საავადმყოფოში გადის. მოსახლეობა შეშინებულია.

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

გუჟგოჟ ლიატო

დაიბადა 1950 წლის 8 აპრილს, პოლონეთში.

თამაშობდა კლუბებში: **"სტალი"** მალეცი, პოლონეთი, **"ლოკერენი"**, ბელგია, **"ატლანტე"**, მექსიკა.

გუჟგოჟ ლიატო (ფენომენალური პოლონელი გოლეადორი) ევროპაში თავისი ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი თავდამსხმელი გახლდათ. მოგვიანებით მან ნახევარდაცვაში გადაინაცვლა, რათა გუნდის ხერხემალი გამხდარიყო და ამ პოზიციაზეც მეტად საიმედოდ მოქმედებდა. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში გუჟგოჟ ლიატომ შვიდი გოლი გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა. პოლონეთის ნაკრებში ლიატოს დებიუტი შედგა 1971 წელს, როცა ამ ქვეყნის საფეხბურთო ნაკრები ესპანეთის გუნდს დაუპირისპირდა. ერთი წლის შემდეგ, პოლონეთის ნაკრებმა, სადაც ლიატო უკვე წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ, მიუნჰენში ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლები მოიგო. ხოლო 1973 წელს, როცა პოლონეთის საფეხბურთო ნაკრები, რომლის მთავარი მწვრთნელი კაზიმიერშ გორსკი იყო, აშშსა და კანადას ესტუმრა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობის მისაღებად, გუჟგოჟ ლიატო, ამ დროს, უკვე პოლონელთა გუნდის უპირობო ლიდერად ითვლებოდა. გუჟგოჟ ლიატომ პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში 104-ჯერ ითამაშა და 46 გოლი გაიტანა, რაც ამ ქვეყნისათვის მოუხსნელი რეკორდია. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ლიატომ უხელმძღვანელა პოლონეთის ნაკრების თავდასხმას და შესაფერისი ჯილდოც დაიმსახურა – მას დართეს ნება, რათა სათამაშოდ გადასულიყო ბელგიის ერთ-ერთ უძლიერეს საფეხბურთო კლუბ **"ლოკერენში"**. შემდეგ ლიატო საკმაოდ სოლიდურ თანხად შეიძინა მექსიკის **"ატლანტემ"**, სადაც დაასრულა კიდეც კარიერა ამ შესანიშნავმა ფეხბურთელმა.

მიხაელ ლაუდრუპი

დაიბადა 1094 წლის 15 ივნისს, დანიაში.

თამაშობდა კლუბებში **"ბრონდბიუ"**, დანია, **"ლაციო"**, **"იუვენტუსი"**, იტალია, **"ბარსელონა"**, **"რეალი"**, ესპანეთი, **"ვისელ კობე"**, იაპონია, **"აიაქსი"**, ჰოლანდია.

მიხაელ ლაუდრუპი და მისი უმცროსი ძმა ბრაიანი წარსულში ცნობილი დანიელი ფეხბურთელის ფინა ლაუდრუპის შვილები არიან. სწორედ მამის მწვრთნელობითა და მეთვალყურეობით გადადგეს პირველი ნაბიჯები, შემდეგ კი კარიერა გაიკეთეს დიდ ფეხბურთში ძმებმა ლაუდრუპებმა. მიხაელ ლაუდრუპმა ჯერ კიდევ სიმაწვილეში მიიქცია ევროპის წამყვანი გუნდების მენეჯერთა ყურადღება. მან რამდენიმე შეთავაზება მიიღო და ბოლოს არჩევანი გააჩერა მილანის **"იუვენტუსზე"**. შემდეგ, მილანელებმა, რომელთაც ფინანსურად მაინცადამაინც არ ულხინდათ, ლაუდრუპი გარკვეული დროით იჯარით მისცეს **"ლაციოს"**, შემდეგ კი უკან გამოიხმეს, რათა ზბიგნევ ბნონეკი შეეცვალა. **"იუვენტუსის"** შემადგენლობაში ლაუდრუპი საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი გახდა, მოგვიანებით კი, **"ბარსელონას"** შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა. ლაუდრუპმა შესანიშნავად ითამაშა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში, მაგრამ შემდეგ, სრულიად გაურკვეველი მიზეზების გამო, ურთიერთობა დაეძაბა დანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ რიჩარდ მილერ-ნილსონთან და ამიტომაც არ მიიღო მონაწილეობა 1992 წელს გამართულ ევროპის ჩემპიონატში, სადაც დანიელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს. მაგრამ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ლაუდრუპმა თავისი ადგილი დაიკავა დანიის ნაკრებში და ევროპელმა სპეციალისტებმა ამ ქვეყნის ნაკრები ტურნირის საუკეთესო გუნდად გამოაცხადეს. აქ დაასრულა კარიერა ლაუდრუპმა.

დენის ლოუ

დაიბადა 1940 წლის 22 თებერვალს, შოტლანდიაში.

თამაშობდა კლუბებში **"ჰადერსფილდი"**, **"მანჩესტერ სიტი"**, ინგლისი, **"ტორინო"**, იტალია, **"მანჩესტერ იუნაიტედი"**, **"მანჩესტერ სიტი"**, ინგლისი.

დენის ლოუ და ჯიმი გრივსი ერთიდაიგივე წელსა და ერთ თვეს დაიბადნენ, მხოლოდ რამდენიმე დღის განსხვავებით. ისინი გამორჩეული ბომბარდირები იყვნენ და ერთმანეთის მოქიშპე გუნდებში თამაშობდნენ. ლოუ მომცრო ტანის იყო, ლამის კაფანდარა, მაგრამ მას ჭეშმარიტად ლომის გული ჰქონდა და ნახტომისას ერთ მეტრზე მეტით შეეძლო ჰაერში ფეხების აწევა. მას ბევრი ბურთი სწორედ თავით, ან ისეთი აკრობატული ილეთებით აქვს გატანილი და ცირკის ეკვილიბირისტებსაც კი შეშურდებოდათ იგი, ამავე დროს ფილიგრანული სიზუსტით ამარაგებდა თავდასხმის წინა ხაზს საგოლე პასებით და გამარჯვებისაკენ გასაოცარი მიდრეკილება გააჩნდა. რომ არა გახშირებული დისკვალიფიციები და ტრავმები, დენის ლოუ ბევრად მეტი გოლების გატანას შესძლებდა, ვიდრე მას აქვს გატანილი. 1964 წელს ფეხბურთის სპეციალისტებმა დენის ლოუ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ამ შესანიშნავმა ფეხბურთელმა 1963 წელს ინგლისის ჩემპიონონის ტიტული მოიპოვა, მოგვიანებით კი ორჯერ გახდა ინგლისის თასის მფლობელი. ინგლისის ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებში დენის ლოუმ 55 მატჩი ჩაატარა და 30 გოლი გაიტანა. სწორედ ლოუს უიღბლობა გახლდათ ის, რომ ტრავმის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო **"მანჩესტერ იუნაიტედის"** შემადგენლობაში 1968 წელს, როცა ინგლისელმა ფეხბურთელებმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

– რომელ უცხო ენაზე ატარებ შვილს?
– იტალიური, ინგლისური, გერმანული მოათავა, ახლა ქართულზე გადამყავს.

* * *

– მარო, მიდი, ერთი, იმღერე.
– კი მარა, რაღა დროს სიმღერაა, შე კაი ადამიანო, სტუმრები ხომ უკვე შინ წასვლას აპირებენ.
– რომ, აპირებენ და აღარ მიდიან, იმიტომ იმღერე. დააჩქარებენ.

* * *

ექიმთან.
– სვამთ?
– არა
– ეწევით?
– არა.
– ქალები?
– არა!
– გახდები ავად, აბა რა იქნება, შე ჩემა!

* * *

ხანდაზმული, მდიდარი მამაკაცი მეგობარს ეკითხება:
– ერთი გოგონა შემიყვარდა... არა და, 68 წლის ვარ. როგორ გგონია, 50 წლის ვარ-მეთქი, რომ ვუთხრა, ცოლად გამომყვება?
– თუ 86-ს ეტყვი, ნამდვილად გამოგყვება,– ღიმილით პასუხობს მეგობარი.

* * *

– ვერ გადამიწყვეტია, ცოლს საშობაოდ რა ვაჩუქო.
– რატომ?
– არაფერი მოსწონს და მაშინვე ტირილს იწყებს.
– შენც ადექი და ცხვირსახოცები აჩუქე.

საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული 100.252 ადამიანიდან 74 ათასი ძალოვან სტრუქტურებში მუშაობს!

საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა 77 პროცენტი ძალოვან უწყებებში მუშაობს – ეს დაადგინა საქართველოს მწვანეთა პარტიის მიერ ჩაატარებულმა კვლევამ. „მწვანეები" დაინტერესდნენ, თუ რამდენი ადამიანია საერთოდ დასაქმებული სახელმწიფო სტრუქტურებში სხვადასხვა სფეროების მიხედვით და როგორია მათი გადანაწილების თანაფარდობა.

როგორც მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ აღნიშნა, კვლევამ აჩვენა, რომ **ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული 100 252 ადამიანიდან 74 000 კაცი ძალოვან სტრუქტურებში - თავდაცვის სამინისტროში, შსს-ში და სასჯელაღსრულების სამინისტროში მუშაობს, დანარჩენ სფეროებზე კი მხოლოდ 26 000 მოდის.**

გიორგი გაჩეჩილაძე აგრძელებს: ***"ხელისუფლება აქცენტს აკეთებს ძალადობაზე, რადგან უნარი არ შესწევს, ეკონომიკურად ააწყოს სახელმწიფო. ქვეყნის სამართავად და სიტუაციის გასაკონტროლებლად ის ძალას იყენებს, შესაბამისად, ხელისუფლების პრიორიტეტი ძალოვანი სტრუქტურები გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ 100 000 კაცზე ცენტრალური ბიუჯეტიდან ხელფასებისთვის 1 მილიარდ 400 მილიონი ირიცხება, მაშინ, როცა მთლიანად სოციალურად დაუცველ კატეგორიაზე, პენსიონერებზე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანებზე, ვეტერანებზე და ა.შ. მხოლოდ 1 მილიარდ 300 მილიონი ლარი მოდის".***

ეს სტატისტიკა არ ეხება იმ დასაქმებულებს, რომელთაც ხელფასი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერიცხებათ.

„მწვანეთა" ლიდერის ცნობით, საინტერესო და საყურადღებოა ისიც, რომ ქამრების შემოჭერის პოლიტიკის მიუხედავად, როგორც ამას ხელისუფლება საჯაროდ აცხადებს ხოლმე, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა. **2009 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან ხელფასი ერიცხებოდა 92 934 ადამიანს, წელს კი ეს რიცხვი 100 252 კაცამდე გაიზარდა.**

"არ დავიწყებ იმის განსჯას, დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა ცუდია თუ კარგი. რა თქმა უნდა, ამას თავისი დადებითი მომენტები აქვს და, რაც მეტი დასაქმებული იქნება, მით უკეთესი, მაგრამ აქ საქმე ეხება სახელმწიფო დაწესებულებებში შტატების ზრდას, რომლებიც ეწინააღმდეგება კრიზისულ ვითარებას და ე.წ. ქამრების შემოჭერის პოლიტიკას. შესაბამისობაში არ მოდის, ასევე , მინისტრების ა და მაღალჩინოსნების ხელფასები, მაგალითად, 2010 წელს გარემოს დაცვის მინისტრმა პრემიებიანად ჯამში 170 000 ლარის ოდენობის ხელფასი აიღო. გასათვალისწინებელია, რომ მთლიანობაში სამინისტროს ბიუჯეტი 5 200 000 შეადგენს. წარმოიდგინეთ მხოლოდ მინისტრის ხელფასი როგორ თანაფარდობაში მოდის მთლიანი სამინისტროს ბიუჯეტთან. დარწმუნებული ვარ, სხვა სამინისტროებში გაცილებით უარესი თანაფარდობებია ", - აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე. მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რამდენად დემოკრატიულია ხელისუფლების მოქმედებები, რომელთა მსხვერპლი რეგულარულად ხდება ქვეყნის მოსახლეობა.

ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი ოჯახის წევრები საქართველოდან გახიზნა

გავრცელებული ინფორმაციით, ივანიშვილმა საქართველოში ყველა პროექტი შეაჩერა, რასაც აქამდე ახორციელებდა. ამის მიზეზი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ივანიშვილის უკიდურესი შევიწროვება გახდა. ერთ-ერთი ვერსიით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილს უზარმაზარი თანხა მოსთხოვა.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილი მთელი ამ ხნის განმავლობაში აქტიურად აფინანსებდა. როგორც მასთან დაახლოებული პირები აცხადებენ, **„სააკაშვილის კეთილგანწყობისა და სიყვარულისთვის"** ივანიშვილმა ასეულობით მილიონი დოლარი გადაიხადა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სააკაშვილი მას სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას სთხოვდა. მაგალითად, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს სპორტის სასახლეში გამართული წინასაარჩევნო პიარ-აქცია ბიძინა ივანიშვილს 1 მილიონი დოლარი დაუჯდა.

შეესაბამება თუ არა გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს, ამის გადამოწმება იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ ხერხდება, რომ ივანიშვილითან და მისი ოჯახის წევრებთან დაკავშირება როგორც ყოველთვის შეუძლებელია.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა შაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27